Session 1: Perspectives - alternatives and consequences

Eyal Danon - Director and chief curator of the Israeli Center for Digital Art, Israel

Dilara Vagabova - PhD, art critic, curator, Azerbaijan

Anna-Louise Kratzsch - Founder and Director of the LIA - Leipzig International Art Programme, Germany

Mkrtich Tonoyan - artist, President of Akos Cultural NGO, Director of the ACOSS artist-in-residence programme, Armenia

Workshop: Special recipes for Georgia

Group 1, theme: World No1 - Edition Tbilisi

Moderator: Samuel Herzog - Culture Editor of Neue Zürcher Zeitung, Switzerland.

Group 2, theme: What ingredients, for the Georgian art scene for future?

Moderators: Helen Hirsch - Director of the Kunstmuseum Thun, Switzerland;

Nino Tchogoshvili - PhD, art historian, curator, Founder of the Culture and Management Lab, Georgia

Group 3, theme: Initiative in post-Soviet space

Moderator: Wato Tsereteli - Director of the Center of Contemporary Art - Tbilisi, Georgia

Final discussion



1. 4 October, Symposium opening at the Ministry of Culture and Monument Protection: Nino Tchogoshvili, Mako Chogoshvili, Werner Wöll and Gia Bughadze
 4 თებთმბერი, სიმპოზიუმის გახსნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, ნინო ჭოლოშვილი, მაკო ჭოლოშვილი, ვერნერ ვილი, გია ბუღაძე

2. Helen Hirsch and Samuel Herzog
 ჰელენ შირში და სამუელ ჰერცოგი

3. Greeting: Nino Tchogoshvili, curator of the project; Mako Chogoshvili, Deputy Minister of Culture and Monument Protection of Georgia and Werner Wöll, Director of the Goethe Institute Georgia
 მისალმება: ნინო ჭოლოშვილი, პროექტის კურატორი; მაკო ჭოლოშვილი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე და ვერნერ ვილი, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი

4. Nino Tchogoshvili, Mako Chogoshvili and Werner Wöll
 ნინო ჭოლოშვილი, მაკო ჭოლოშვილი და ვერნერ ვილი

5. Gia Bughadze, speaker
 მომხსენებელი გია ბუღაძე





6. Symposium opening at the Ministry of Culture and Monument Protection
სიმპოზიუმის გახსნა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში
7. Elene Chechelashvili and Tamuna Gurchiani
ელენე ჩეჩელაშვილი და თამუნა გურჩიანი
8. Coffee break
ყავით გამასპინძლება
9. Yingmei Duan
ინგმეი დუანი
10. Jule Reuter and Iliko Zautashvili
იულე როიტერი და ილიკო ზაუტაშვილი
11. Werner Wöll, Director of the Goethe Institute Georgia
ვერნერ ვილი, გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი





12. 4 October, Symposium Session 1:
Magda Guruli, speaker
4 ოქტომბერი, სიმპოზიუმის I სესია,
მომსენებელი მაგდა გურული
13. Khatuna Khabuliani, speaker
მომსენებელი ხათუნა ხაბულიანი
14. Wato Tsereteli, speaker
მომსენებელი ვატო წერეთელი
15. Nini Palavandishvili, speaker
მომსენებელი ნინი ფალავანდიშვილი





- 16. Symposium Session 1
სიმპოზიუმის I სესია
- 17. Claudia Jolles and
Barbara Vanderlinden
კლაუდია იოლესი და
ბარბარა ვანდერლინდენი
- 18. Mkrtych Tonoyan
მკრტიჩ ტონოიანი
- 19. Symposium Session 1
სიმპოზიუმის I სესია
- 20. Jule Reuter and Bernd Trasberger
იულე როიტერი და
ბერნდ ტრასბერგერი



21. 4 October, Symposium Session 2:
Marieke van Hal, speaker
4 ოქტომბერი, სიმპოზიუმის II სესია,
მომხსენებელი მარიეკე ვან ჰალი
22. Barbara Vanderlinden, speaker
მომხსენებელი ბარბარა
ვანდერლინდენი
23. Claudia Jolles, speaker
მომხსენებელი კლაუდია იოლესი





- 24. 4 October, Concluding discussion:
Helen Hirsch and Nino Tchogoshvili,
moderators
4 ოქტომბერი, შემაჯამებელი
დისკუსია, მოდერატორები ჰელენ
ჰირში და ნინო ჭოღოშვილი
- 25. Nino Tchogoshvili, moderator
მოდერატორი ნინო ჭოღოშვილი
- 26. Discussion: Lydia Matthews
დისკუსია, ლიდია მეთუსი
- 27. Helen Hirsch, moderator
მოდერატორი ჰელენ ჰირში
- 28. Samuel Herzog, moderator
მოდერატორი სამუელ ჰერცოგი

- 29. 5 October, Goethe Institute Georgia, Symposium Session 1: Eyal Danon, speaker
5 ოქტომბერი, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი, სიმპოზიუმის I სესია, მომსწენებელი იელ დენონი
- 30. Dilara Vagabova, speaker
მომსწენებელი დილარა ვაგაბოვა
- 31. Maya Kipiani and Nino Tchogoshvili
მაია ყიფიანი და ნინო ჭოღოშვილი





32. Anna-Louise Kratzsch, speaker
მომხსენებელი ანა ლუიზე კრატცში



33. Coffee break: Maya Kipiani, Tamar Janashia, Tamuna Gurchiani and Tamar Tchabashvili
ყავით გამასპინძლება, მაია კიდიანი, თამარ ჯანაშია, თამუნა გურჩიანი და თამარ ტაბაშვილი



34. Mkrtych Tonoyan, speaker
მომხსენებელი მკრტიჩ ტონოიანი



35. Eyal Danon and Park Byoung
იელ დენონი და პარკ ბიონგი



- 36. 5 October: Samuel Herzog's workshop at the Goethe Institute 5 ოქტომბერი, სამუელ ჰერცოგის ვორქშოპი გოეთეს ინსტიტუტში
- 37. Samuel Herzog's workshop სამუელ ჰერცოგის ვორქშოპი
- 38. Wato Tsereteli before his workshop ვატო წერეთელი ვორქშოპის წინ
- 39. Samuel Herzog's workshop სამუელ ჰერცოგის ვორქშოპი

40. 5 October: Helen Hirsch and Nino Tchogoshvili during the workshop
 5 ოქტომბერი, ჰელენ ჰირში და ნინო ტხოგოშვილი ვორკშოპის დროს



41. Claudia Jolles in discussion at the Goethe Institute
 კლაუდია იოლესი, დისკუსია გოეთეს ინსტიტუტში



42. Anna-Louise Kratzsch
 ანა ლუიზე კრატცში



43. Concluding discussion: Wato Tsereteli, Samuel Herzog and Nino Tchogoshvili
 შემჯამებელი დისკუსია, ვატო წერეთელი, სამუელ ჰერცოგი, ნინო ტხოგოშვილი



44. Concluding discussion: Helen Hirsch, Wato Tsereteli, Samuel Herzog and Nino Tchogoshvili
 შემჯამებელი დისკუსია, ჰელენ ჰირში, ვატო წერეთელი, სამუელ ჰერცოგი, ნინო ტხოგოშვილი



გოეთეს ინსტიტუტის რეგიონალური პროექტის – „კულტურა და განვითარება“ – ხელშეწყობით შეიქმნა კულტურის მენეჯერთა კომპეტენციის ცენტრი. პროექტის მიზანია კულტურის სფეროში მოღვაწეთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული ქსელის ჩამოყალიბება, რათა მომავალში ადგილობრივ გოეთეს ინსტიტუტებთან ერთად წარმატებული პროექტები განხორციელდეს. მას შემდეგ, რაც ნინო ჭოლოშვილმა გაიარა კულტურის მენეჯერთა პროგრამა, მისი ინიციატივით ჩატარდა პროექტი “TRANSRELATION” – თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი, სადაც ქართველმა და უცხოელმა მონაწილეებმა ერთობლივი მსჯელობისას განიხილეს თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების პერსპექტივები. ორი დღის განმავლობაში ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ბელგიელი, შვეიცარელი, ჰოლანდიელი, ებრაელი და გერმანელი კურატორები საუბრობდნენ ქართული და საერთაშორისო ხელოვნების ტენდენციებზე და ცდილობდნენ ამიერკავკასიისთვის შესაფერისი კონცეფციების შემუშავებას. ადგილობრივი ხელოვნების პლატფორმის განვითარებისთვის ეს პროექტი უაღრესად მნიშვნელოვანია. ამას კიდევ ერთხელ მონაწილეს პარალელურ რეჟიმში მიმდინარე თანამედროვე ხელოვნების გამოფენა „არტისტერიუმი“, რომელსაც ამ ეტაპზე, ორგანიზების გარდა, კურატორული საქმიანობის გაძლიერება სჭირდება. პროექტმა ასევე დიდად შეუწყო ხელი კულტურულ ურთიერთობებსა და გაცვლა-გამოცვლას ევროპულ ცენტრებსა და ამიერკავკასიის შორის. სხვადასხვა პარტნიორების ურთიერთკავშირები მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც უახლოეს მომავალში აუცილებლად გამოიღებს შედეგს. ეს პროექტი მომავალ წელსაც უნდა გაგრძელდეს და განივრცოს.

ვერნერ ვიოლი

საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი

წვენი ქვეყნის კულტურული პროცესების ანალიზი ითვალისწინებს როგორც ხელოვნებისა და კულტურის სექტორში მომუშავე ყველა დაწესებულებისა და ორგანიზაციის, ასევე ცალკეული პიროვნებების აქტივობებს, საგანმანათლებლო სისტემასა და მედიას, რომელიც ამ სფეროს აშუქებს.

ასეთ საერთაშორისო ღონისძიებებს, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებს შეუძლია, გამოავლინოს ამა თუ იმ კონკრეტული ინსტიტუციის მუშაობის ცალკეული ეტაპები ან მთელი სექტორი და, ამგვარად, ასახოს სოციალურ-კულტურული ციკლი; ძალუძს, წარმოაჩინოს ერთმანეთის მეტოქე დარგები და ის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც უკეთ უზრუნველყოფს საბაზრო კონკურენტუნარიანობას.

ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო აღიარებს ხელოვნებისა და კულტურის სფეროს განვითარების აუცილებლობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მთელ რეგიონში და მხარს უჭერს აქტუალურ და მნიშვნელოვან პროექტებს, რომლებსაც შეუძლია ამ პროცესების დაჩქარება და საყოველთაო დონის ამაღლება.

ანა რიაბოშენკო

ხელოვნებისა და კულტურის პროგრამის კოორდინატორი
ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო

წინათქმა

TRANSRELATION – თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში – 2010 წლის 4-5 ოქტომბერს ჩატარდა. პროექტი განხორციელდა აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნების გოეთეს ინსტიტუტების პროექტის ფარგლებში – „კომპლექციების ცენტრი კულტურის სფეროში მოღვაწე მენეჯერთათვის“, რომელიც ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნებში კულტურის მენეჯმენტის განვითარებას. სწორედ ამ პროგრამაში ნინო ჭოლოშვილის მონაწილეობისას დაიბადა თბილისში პირველი სიმპოზიუმის შემდეგ („ძიება საზღვრების გარეშე: კურატორული საქმე და კულტურათაშორისი გაცვლა ინტერკულტურულ ეპოქაში“, გოეთეს ინსტიტუტი, თბილისი, 2004) მეორე საერთაშორისო სიმპოზიუმის – TRANSRELATION¹ – მოწყობის იდეა.

ორდღიანი სიმპოზიუმის მსვლელობისას, ასევე ვორქშოფებისა და შემაჯამებელი დისკუსიების დროს, გაიმართა მსჯელობა თანამედროვე ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე, ხოლო მომხსენებლებმა თავიანთ პრეზენტაციებში წარმოადგინეს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება. ჯერ კიდევ პროექტის მოსამზადებელ სტადიაზე გამოიკვეთა სიმპოზიუმის სამი მთავარი თემა, რომელთა გარშემოც შედგა ძირითადი დისკუსიები:

- საერთაშორისო გამოფენის ან ბიენალეს ფორმატის მნიშვნელობა არტსცენის განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციისთვის XXI საუკუნეში;
- სჭირდება თუ არა ბიენალე თბილისს;
- სხვადასხვა ტიპის ინიციატივების როლი სახელოვნებო სივრცეების ჩამოყალიბების პროცესში.

აღნიშნული თემების შერჩევა და მათ შესახებ საერთაშორისო დისკურსის მოწყობის აუცილებლობა განაპირობა ამ საკითხების აქტუალობამ არა მხოლოდ ქართული არტსცენისთვის, არამედ საერთაშორისო კონტექსტშიც. უკანასკნელ წლებში მრავალი საერთაშორისო არტკრიტიკოსი და კურატორი განიხილავს და მსჯელობს XXI საუკუნეში გამოფენისა და ბიენალეს ინოვაციურ ფორმაზე და ცდილობს ახალი სახელოვნებო სტრატეგიებისა თუ მოდელის განვითარებას. ამ მხრივ ძალზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სივრცეებში ე.წ. „ექსპერიმენტული და ახალი არტსივრცეების“ ინტეგრაციის საკითხიც. სიმპოზიუმმა მონაწილეებსა და სტუმრებს საერთაშორისო დიალოგში ჩაბმისა და გამოცდილების გაზიარების საშუალება მისცა. პროექტში

¹ TRANSRELATION
(TRANSRELATION
= Translation
– გადმოტანა,
გადმოთარგმნა,
ინტერპრეტაცია,
დემონსტრაცია;
Relation –კავშირი).

მონაწილე ექსპერტებთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია სამომავლო კულტურული გაცვლისა და პარტნიორობისთვის, რაც უკვე ახლო მომავალში, იმედია, ხელს შეუწყობს მონაწილე ქვეყნებს შორის ახალი კავშირებისა და ქსელების განვითარებას, ახალი კონცეფციების ჩამოყალიბებას, ქართული არტსივრცის მიზანმიმართულ განვითარებას და დააჩქარებს საერთაშორისო არტლანდშაფტში ქართული არტსცენის ინტეგრაციის პროცესს.

სიმპოზიუმისა და პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ვორქშოფებში მონაწილეობა მიიღეს თანამედროვე ხელოვნების ექსპერტებმა, კურატორებმა, არტკრიტიკოსებმა, ხელოვნებათმცოდნეებმა, ხელოვანებმა, სტუდენტებმა და სხვადასხვა მედიის წარმომადგენლებმა. მომხსენებლები მოწვეული იყვნენ 8 ქვეყნიდან – გერმანია, შვეიცარია, პოლანდია, ბელგია, ისრაელი, სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო. მონაწილეთა შერჩევა მოხდა მათი მოღვაწეობის სფეროების გათვალისწინებით.

სიმპოზიუმი მიმდინარეობდა თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენის – „არტისტერიუმის“ პარალელურად, რომელიც თბილისში 2-10 ოქტომბერს მესამედ ჩატარდა, ხოლო 1 ოქტომბერს გაიხსნა თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისი. ამგვარად, სიმპოზიუმის მონაწილეებსა და სტუმრებს საშუალება მიეცათ, დაეთვალიერებინათ ამ პერიოდში თბილისში მოწყობილი მრავალი გამოფენა და უკეთ გაცნობოდნენ ქართულ სახელოვნებო სივრცეში მიმდინარე უახლეს პროცესებს.

სიმპოზიუმის მსვლელობა

სიმპოზიუმის პირველ დღეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ უმასპინძლა. მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ I სესია დაეთმო ქართულ არტსივრცეში მიმდინარე აქტუალური პროცესების, ტენდენციებისა და პრობლემების განხილვას. მომხსენებლებმა (მაკო ჭლოშვილი, გია ბუღაძე, მაგდა გურული, ხათუნა ხაბულიანი, ვატო წერეთელი, ნინო ფალავანდიშვილი) განიხილეს სახელმწიფო სტრუქტურებისა და კერძო ინიციატივების როლი ქართული თანამედროვე სახელოვნებო სივრცის განვითარებაში. მონაწილეებმა ასევე ისაუბრეს არტკრიტიკის, სამეცნიერო კვლევების, არტპროდუქციისა და საერთაშორისო პროექტებთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე.

II სესიის სამმა გამომსვლელმა (მარიევე ვან ჰალი, ბარბარა ვანდერლინდენი, კლაუდია იოლესი) განიხილა და აუდიტორიას გაუზიარა საკუთარი შეხედულებები და გამოცდილება ბიენალეების ისტორიასა და მრავალმხრივ მნიშვნელობაზე. დღის ბოლოს გაიმართა შემაჯამებელი დისკუსია (მოდერატორები: ჰელენ ჰირში, ნინო

ჭოლოშვილი, სამუელ ჰერცოგი), რომლის ფარგლებშიც აუდიტორიის აქტიური მონაწილეობით შედგა მსჯელობა საკითხზე: სჭირდება თუ არა ბიენალე თბილისს.

სიმპოზიუმის მეორე დღე საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში ჩატარდა. I სესია მიეძღვნა სხვადასხვა ქვეყნის სახელოვნებო სივრცეების განვითარების მაგალითებს. მომხსენებლებმა (იელ დენონი, დილარა ვაგაბოვა, ანა ლუიზე კრატცი, მკრტიჩ ტონიანი) ისაუბრეს საკუთარი ქვეყნების არტსცენების განვითარებაზე, სპეციფიკაზე, თავისებურებებზე, ასევე საკუთარ ორგანიზაციებსა და სხვადასხვა პროგრამებზე.

დღის მეორე ნაწილი დაეთმო ვორქშოფებსა და დისკუსიებს. გოეთეს ინსტიტუტში პარალელურად სამი ვორქშოფი მიმდინარეობდა. პირველი ვორქშოფი ჩაატარა სამუელ ჰერცოგმა, რომელმაც თბილისის არტსცენისთვის სპეციალური სანელებლის რეცეპტი შექმნა. მეორე ვორქშოფს უხელმძღვანელო ვატო წერეთელმა. მან ახალგაზრდა კურატორებსა და ხელოვანებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება კერძო ინიციატივების შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცეში. მესამე ვორქშოფის დროს, რომელსაც ჰელენ ჰირში და ნინო ჭოლოშვილი უძღვებოდნენ, მონაწილეებსა და აუდიტორიას კიდევ ერთხელ მიეცათ შესაძლებლობა, ემსჯელოთ საქართველოს არტსივცის განვითარების პერსპექტივებზე, უკვე არსებულ რესურსებზე, ბიენალეს აუცილებლობასა და შესაძლო მოდელებზე.

ორდღიანი სიმპოზიუმის თითქმის ყველა მოხსენება, ასევე ვორქშოფებისა და დისკუსიების ტექსტუალური და ვიზუალური მასალის ძირითადი ნაწილი, თავმოყრილია ამ პუბლიკაციაში.

პროექტის ავტორი და საორგანიზაციო ჯგუფი დიდ მადლობას უხდის სიმპოზიუმის ყველა მონაწილესა და სტუმარს, პროექტის ორგანიზატორებს, სპონსორებსა და პარტნიორებს თანადგომისა და თანამშრომლობისთვის.

ნინო ჭოლოშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კურატორი

ჰელენ ჰირში

ხელოვნებათმცოდნე, თუნის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს როლი ადგილობრივი სახელოვნებო სივრცის ხელშეწყობასა და განვითარებაში

უპირველეს ყოვლისა, მადლობას მოგახსენებთ ჩვენი ქვეყნის კულტურით დაინტერესებისა და სიმპოზიუმში მონაწილეობისათვის. არ მინდა, ჩემი საუბრით დიდხანს შეგაწყინოთ თავი, ამიტომ შევეცდები თქვენი ყურადღება შევაჩერო იმაზე, თუ როგორ უწყობს ხელს კულტურის სამინისტრო თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარებას, რას მივიჩნევთ ამ თვალსაზრისით პრიორიტეტულად და როგორ ვხედავთ პერსპექტივას. გარდამავალი პერიოდის ძირეულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს შემოქმედებით და კულტურულ ცხოვრებაზე. ვითარება კიდევ უფრო გაართულა საქართველოში მიმდინარე შიდა ომებმა, რომელთა გამოც დიდი ზიანი მიადგა ქვეყნის სოციალურ და ფინანსურ სექტორს, აქედან გამომდინარე კი, ბუნებრივია – კულტურის სფეროს. ბევრი ნიჭიერი ხელოვანი იძულებული გახდა, დაეტოვებინა ქვეყანა უკეთესი სამუშაო პირობებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების საძებნელად.

შემოქმედთა და ინტელექტუალთა ემიგრაციამ, სახელმწიფო მხარდაჭერის შემცირებამ, დონორი ორგანიზაციების არასტაბილურმა დახმარებამ და საზოგადოების ინტერესის დაქვეითებამ დაასუსტა ეს სფერო და შეუძლებელი გახდა ცვლილებებთან მისი ადაპტაცია. ამასთანავე, საქართველოში ჯერ კიდევ ძლიერი იყო საბჭოთა პერიოდის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა, რაც ხელს

უშლიდა მსოფლიო თანამედროვე ხელოვნების ტენდენციებისა და ახალი იდეების დამკვიდრებას.

არსებულმა სინამდვილემ განაპირობა ისიც, რომ 90-იანი წლების მიწურულს არტსამყაროს წარმომადგენლები მოკლებულნი იყვნენ საერთაშორისო გამოფენებში, ფორუმებსა და სხვა მხატვრულ ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობას. მათი ჩართვა მხატვრულ ღონისძიებებში ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. მსოფლიო თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებმა და ტენდენციებმა სათანადო გავლენა ვერ მოახდინა ქართულ ხელოვნებასა და კულტურაზე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი თანხები გაიღო საქტორის რეაბილიტაციის, სტრუქტურული ღონისძიებების მოწყობისათვის.

სექტორის მდგრადი და სწრაფი განვითარება საჭიროებს დამატებით ხელშეწყობას. ევროპის საბჭოს გაცნობიერებული აქვს, რომ ევროპის კულტურული სიმდიდრე ეფუძნება მის მრავალსახეობასა და საერთო კულტურულ მემკვიდრეობას. ამდენად, საბჭოს გააჩნია შესანიშნავი პოზიცია, რომ ეროვნული მთავრობები და სპეციალისტები უზრუნველყოს მათთვის საჭირო მექანიზმებითა და დახმარებით, რაც აუცილებელია კულტურის სფეროში წარმატებული პოლიტიკის განსასაზღვრად და განსახორციელებლად.

2004 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ხელახლა გააანალიზა დარგის მართვაში არსებული პრობლემები, განსაზღვრა სახელმწიფო ამოცანები, თანმიმდევრული პოლიტიკა, რამაც ასახვა ჰპოვა სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროგრამებში, სახვითი ხელოვნების კუთხით კი – „სახვითი ხელოვნების განვითარების პროგრამაში“. პროგრამა ემსახურება სახვითი ხელოვნების განვითარების წახალისებას, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას, არსებული ინოვაციური ტენდენციებისა და მიღწევების წარმოჩენას, საერთაშორისო პროექტების განხორციელების ხელშეწყობას, ხელოვანთა სტიმულირებას, შემოქმედებითი პროცესების გააქტიურებას.

2004-2005 წლებში სამინისტრომ დაამყარა პარტნიორული ურთიერთობები საქართველოში არსებულ არასამთავრობო სექტორთან და მხარი დაუჭირა სახელოვნებო ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფებისა და კერძო პირთა მიერ შემოთავაზებულ საინტერესო კურატორულ პროექტებს, რითაც ბიძგი მისცა ქვეყანაში კურატორული საქმიანობის განვითარებას. პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კონკურსები და ხელი შეეწყო 50-მდე გამარჯვებული სახელოვნებო პროექტის განხორციელებას.

2006-2007 წლებში, ვიზუალური ხელოვნების თვალსაზრისით,

პრიორიტეტად მიჩნეულ იქნა „ქართულ სეზონში“ შემავალი პროექტების მხარდაჭერა. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა დასავლეთში ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია, მათ შორის, თანამედროვე სახვითი ხელოვნების საერთაშორისო არენაზე დემონსტრირება. ამიტომაც, 2007 წელს „ქართული სეზონის“ ფარგლებში განხორციელდა ექვსი საერთაშორისო პროექტი, რომელიც გაიტანეს ისეთ ავტორიტეტულ ღონისძიებებზე, როგორიცაა ვენეციისა და სტამბულის ბინალე, პრალის კვადრიენალე და ა.შ. ვენეციის 52-ე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენაზე სახელმწიფომ პირველად წარადგინა საქართველოს პავილიონი სამი ქართველი მხატვარი ქალის მონაწილეობით.

2007 წელს პროგრამა „ქართული სეზონის“ ფარგლებში გათვალისწინებული საერთაშორისო პროექტები საზღვარგარეთ წარმატებით განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ცხადი გახდა, რომ თანამედროვე სახვითი ხელოვნების პოპულარიზაციისთვის ქმედითი ნაბიჯების გადასადგმელად, უნდა შემუშავდეს ამ პროცესის განვითარების სტრატეგია: დასავლეთის საერთაშორისო სცენაზე ადგილობრივი შემოქმედებითი პროდუქციის გატანამდე, პირველ რიგში, საქართველოშივე შესაქმნელი ლოკალური პლატფორმა, სახელოვნები სივრცე, სადაც დასავლეთიდან მონვეული ხელოვნები (ექსპერტები, კურატორები, გალერისტები, მხატვრები) ადგილობრივ არტისტებთან ერთად დაგეგმავენ ერთობლივ კურატორულ პროექტებს უკვე შემდგომ შექმნილი პროდუქციის საერთაშორისო სცენაზე წარსადგენად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანამედროვე სახვითი ხელოვნების სრულფასოვანი განვითარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, პრობლემები ქვეყნის შიგნით იყო მოსაგვარებელი. საქართველოში 2008 წლისთვის არ არსებობდა სათანადო ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო კულტურული ინსტიტუციები – თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თუ დიდი საგამოფენო სივრცეები (კერძო გალერეები არ იყვნენ და დღესაც არ არიან მზად თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მასშტაბური გამოფენების მოსაწყობად) და, რა თქმა უნდა, მრავალფუნქციური თანამედროვე ხელოვნების მუზეუმები, სადაც საგამოფენო საქმიანობის პარალელურად, უნდა არსებობდეს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიები, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აუდიტორიები სიმპოზიუმის, კონფერენციებისა თუ სემინარების ჩასატარებლად. ყველასთვის ცხადი გახდა, რომ იქ, სადაც ასეთი ინფრასტრუქტურის დეფიციტია, საერთაშორისო სახელოვნებო ფორუმის ფორმატი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს ფორმა ამ ეტაპზე ერთადერთი გზაა ჩვენს ქვეყანაში ინტერკულტურული მხატვრული კომუნიკაციის, ლოკალური სცენისა და სახელოვნებო პლატფორმის შესაქმნელად, რომელიც მოიზიდავს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ხელოვანებს. ამდენად, საქართველოში სისტემატურად ჩატარებულმა საერთაშორისო ფორუმმა შესაძლოა, შეავსოს ქვეყანაში არსებული სახელოვნებო ინსტიტუციების ვაკუუმი.

სწორედ ამ მოტივით, სამინისტროს ინიციატივით „ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების 2008 წლის პროგრამის“ ერთ-ერთი პრიორიტეტი თანამედროვე სახვითი ხელოვნების საერთაშორისო ფორუმის ხელშეწყობა გახლდათ (პროექტის შემქმნელი და განმახორციელებელია კონკურსში გამარჯვებული ფონდი – „კულტურისა და ხელოვნების გლობალური კოორდინირების ცენტრი“, დირექტორი – ილიკო ზაუტაშვილი). ღონისძიების სახელწოდება ეფუძნება თბილისში გასული საუკუნის 10-იან წლებში ჟურნალ „არსთან“ არსებული კლუბის სახელწოდებას. კლუბი ცნობილი იყო თანადროული ინოვაციური გამოფენებით, პოეზიის საღამოებით და დისკუსიებით. სახელწოდება საშუალებას გვაძლევს, აღვადგინოთ ქართული თანამედროვე ხელოვნების კავშირი თბილისურ მოდერნიზმთან და, ამდენად, საკუთარ ფესვებთან.

სწორედ 2008 წელს, ქვეყნისათვის ურთულეს ვითარებაში, რუსეთის აგრესიული პოლიტიკის ფონზე, პირველად ჩატარდა თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი „არტისტერიუმი 2008“, მიუხედავად რთული ვითარებისა „არტისტერიუმი“ მრავალი ქვეყნის ხელოვანს უმასპინძლა. ამ გარემოებამ ნათლად წარმოაჩინა ქართული სახელმწიფოს პრიორიტეტები და განვითარების ორიენტირები.

პროექტის განხორციელებაში კულტურის სამინისტროსთან და „კულტურისა და ხელოვნების გლობალური კოორდინირების ცენტრთან“ ერთად მონაწილეობა მიიღო ყველა დაინტერესებულმა არტორგანიზაციამ, დამყარდა პარტნიორული ურთიერთობები თბილისში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და საელჩოებთან (ბრიტანულ საბჭოსთან, გოეთეს ინსტიტუტთან, დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრთან, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან საქართველოში და ა.შ.). ფორუმში შეძლებისდაგვარად სრულად იქნა წარმოჩენილი თანამედროვე ხელოვნების მრავალფეროვნება, ინოვაციური ტენდენციები. ღონისძიება შევიდა 2008 წლის საქართველოს ხუთ საუკეთესო კულტურულ მოვლენათა რიცხვში.

2009 წლიდან მოყოლებული დღემდე სამინისტრო განაგრძობს პარტნიორულ ურთიერთობებს სახელოვნებო ორგანიზაციებთან, თუმცა ინიციატორიც და ძირითადი დამფინანსებელიც ხშირ შემთხვევაში თვითონ კულტურის სამინისტროა. თანამედროვე ხელოვნების პრეზენტაცია (მასში შემავალი აქტუალური მიმართულებებით – ვიდეოარტი, ფოტოხელოვნება, ვიდეოინსტალაცია, ახალი მედიები და ა.შ.) სწორედ თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებას მოითხოვს, არადა, თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარებისთვის გამოყოფილი პროგრამული ბიუჯეტი ვერ სწვდება ამდენად მასშტაბური ღონისძიებების დაფინანსებას. სუსტია ბიზნესის სექტორის (საქველმოქმედო ფონდების) როლი თანამედროვე

ხელოვნების მხარდაჭერაში.

მიუხედავად არაერთი პრობლემისა, ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში, პრიორიტეტული მიმართულებებიდან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში საქართველოს რეგიონებში საგამოფენო ცხოვრების გამოსაცოცხლებლად და ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ყოველწლიურად ხორციელდება მოძრავი რეგიონალური პროექტები.

ამ სფეროში ადგილობრივი რესურსის დადგენისა და შესწავლის საინფორმაციო და ანალიტიკური მომსახურების უზრუნველყოფისა და დარგის პოპულარიზაციის მიზნით, სამინისტროს ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა სამწლიან პროექტზე – „საქართველოს თანამედროვე სახვითი ხელოვნების ვებარქივი“ (www.art.gov.ge – მონაცემთა ბაზა). პროექტს ახორციელებს საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

თანამედროვე ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისა და ადგილობრივი სახელოვნებო სცენის განვითარების მიზნით, თბილისში წელს უკვე მესამედ ტარდება ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი „არტისტერიუმი“, რომელიც წლიდან წლამდე კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს იძენს და სახავს ბიენალეს ფორმატში გადასვლის ახალ პერსპექტივებს. თუმცა, რამდენად დროული და გამართლებული იქნება ჩვენს დედაქალაქში ბიენალეს ჩატარება, ეს უკვე მსჯელობის საგანია. სწორედ ამ საკითხებთან დაკავშირებით, „არტისტერიუმის“ პარალელური პროგრამით, გოეთეს ინსტიტუტთან და „კულტურისა და მენეჯმენტის ლაბორატორიასთან“ ერთად დღეს ტარდება თანამედროვე ხელოვნების სიმპოზიუმი.

იმედი მაქვს, ეს შეკრება კიდევ უფრო გააღრმავებს ჩვენს პარტნიორულ ურთიერთობებს, დასახავს ახალ პერსპექტივებს და ბიძგს მისცემს თანამედროვე ხელოვნების სფეროში აქტუალური და ხარისხიანი პროექტების შექმნასა და განხორციელებას.

მაკო ჭოლოშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე

კულტურა და რეალობა

3 ფიქრობ, მას შემდეგ, რაც კულტურის ცნებამ, როგორც ზოგადმა და განყენებულმა, თითქმის ჩაანაცვლა ხელოვნების ცნება და გაგება, ნამოიჭრა საკითხი მრავალცენტრიანი, სიმულტანური, კულტურული აქტივობისა ან აქტორთა გაჩენისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეალურად გაჩნდა აუცილებლობა როგორც დეცენტრალიზებისა, ასევე აქტორთა ინდივიდუალური ურთიერთშეღწევადობისა და კონტაქტისა.

რადგანაც ე.წ. ცენტრი საკუთარი სასიცოცხლო იმპულსებით ვეღარ საზრდობს, თვით „ცენტრში“ არსებული სახელოვნებო პროცესები, კომუნიკაციური საშუალებების გაფართობისა და მასშტაბურობის გამო, „გამოიფიტა“. აქედან გამომდინარე, რეალური სასიცოცხლო იმპულსების მოძიება, გარკვეულწილად, სწორედ დეცენტრალიზებულ კოორდინირებას, ან უფრო ზუსტად, რეგულირებულ დეცენტრალიზებას, სიმულტანურ რეგულაციას, სისტემატიზაციას გულისხმობს.

სიმულტანური რეგულაცია კულტურული პროცესის წიაღში ავტოქტონური, „ენდემური“ სახელოვნებო ელემენტის შეგრასთან ერთად (თუკი ასეთი ენდემურობა არსებობს), თავის მხრივ, გლობალურ უნიფიცირებასაც ითვალისწინებს, ე.ი. გულისხმობს ავტოქტონურისა და ფესვგადგმულის, ნაციონალურის, ეთნოსურ-ტრაიბალისტურის არსებობას, რომელიც ჩაერთვება უნიფიცირებულ საერთაშორისო სისტემებში. სწორედ აქ წარმოჩინდება ან განახლდება ის საუკუნოვანი ჭიდილი, რომელიც ევროპულ კულტუროლოგიაში კულტურისა და ცივილიზაციის, ეთიკისა და ესთეტიკის ურთიერთდაპირისპირებას გულისხმობს.

ხელოვნებასა და კულტურას შორის დღეს ისეთივე ბინარული ოპოზიცია აღინიშნება, როგორც არსებობდა XIX-XX სს-ის ზღვარზე კულტურასა და ცივილიზაციას შორის. ყოველივე ენდემური, ნაციონალიური, ეროვნული, ეთნიკური კულტურის ნაწილად მოიაზრებოდა, ხოლო ის, რაც უნიფიცირებულია, პირდაპირ კავშირში იყო ცივილიზაციასთან. ეს კლასიკური ოპოზიციაა და, ვფიქრობ, დღეს გარკვეულწილად ხელოვნებისა და კულტურის დაპირისპირებად ტრანსფორმირდა. ეს თითქოს აბსურდული პოლარობა დრამატულ რეალობას ასახავს.

ხელოვნებისა და კულტურის ცნებათა დაპირისპირება განსაკუთრებით რთულ ფაზაში იმყოფება და, თუკი ლოგიკურად ვიმსჯელებთ, კუტურასთან შედარებით, ხელოვნება მეტ ავტოქთონურობასა და სიღრმისეულობას უნდა გულისხმობდეს.

ავტოქთონური ყოველთვის ტრადიციის ნიშნითაა აღბეჭდილი. ტრადიციული, თავის მხრივ, მაშინ ხდება განსაკუთრებით პრობლემატური და დამაფიქრებელი, როდესაც ის წყარო, სათავე, საიდანაც ეს ტრადიცია მომდინარეობს, დაკარგულია. იქ, სადაც სასიცოცხლო იმპულსი მოკვდა ან მიიშალა, მხოლოდ ფორმა, ნაჭუჭი გვრჩება ხელში, ხოლო ნაჭუჭი, ქერქი, არ შიძლება ცოცხალი იყოს. უშინაარსოდ დარჩენილი ნაჭუჭი თვითკმარი ფორმალობით არის განსაზღვრული.

ამიტომ ის, რაც სახელოვნებოს, ავტოქთონურს, ტრადიციულს მიეკუთვნება, არ შეიძლება a priori მაცოცხლებლად ჩაითვალოს, რადგანაც თვით კულტურის გაგებამ, გლობალური უნიფიცირების პირობებში, მიუხედავად არანორმალური სიტრელისა, მრავალფეროვნებისა, მოჩვენებითი ინდივიდუალიზმისა, სრულიად დაკარგა განუმეორებლობის ეფექტი. პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა – ინდივიდუალიზმის ეპოქაში, გლობალიზაციის პირობებში, ყველაფერი მონოტონურად უნიფიცირდა.

მიუხედავად ფორმალური მრავალფეროვნებისა, შინაარსობრივად ყველაფერი ერთფეროვანი ხდება და უნიფიცირებულ სახეს იღებს. მაგალითად, მიუხედავად განსხვავებისა, ინდური, ირლანდიური და ქართული ცეკვა სცენაზე შეიძლება ერთნაირად გამოიყურებოდეს კიდევ ერთნაირი რიტმით, მოძრაობებითა და დინამიკით, რადგანაც ამას უნიფიცირების სტანდარტი ითხოვს. სტანდარტის საკითხი კიდევ ცალკე თემაა, რომელზეც ღირს მსჯელობა.

ამგვარი ფორმალური ინოვაციისა და ფორმადქმნადობის პერიოდში სრული შინაგანი სიცარიელე, მე ვიტყვოდი, უნიფიცირებული „არარა“ მივიღეთ. ისლა მამაშვიდებს, რომ ვალიარო „არარას“ რეალობის განცდა, რომელიც ინვესს სრული უკმარისობის შეგრძნებას. ეს განცდა კი არც ცხოველს გააჩნია და არც მანქანას, რაც თავისთავად არათუ სპობს, პირიქით, აძლიერებს კიდევაც ადამიანურის, ჰუმანურის, მოთხოვნილებას.

თავის დროზე ჯეიმს ჯოისი ამბობდა, რომ ყალბი ხელოვნებითი პროდუქტი ორი გზით – ცდუნებითა და შეშინებით – ცდილობს ადამიანზე ზემოქმედებას. პირველი გზიდანაც, გაცდუნებს, ექსპლოზირებს, მეორე კი, პირიქით, განგიზიდავს და ამით გატყვევებს. ჯოისს მიაჩნდა, რომ ადამიანს, როგორც ცოცხალ არსებას, ორივე მათგანი სრულიად უკლავს სიცოცხლის იმპულსს. ამგვარად, ის, გარკვეულწილად, იზიარებდა კიდევ თვალსაზრისს, რომელიც არისტოტელესეული „პოეტიკის“ ძირითად პათოსს წარმოადგენდა. ამ შემთვევაში, კათარზისულ

თანაგანცდა-თანაგრძნობას ვგულისხმობ, რომელსაც, ჭოისის აზრით, მაცდუნებელი ხელოვნება რყვნიდა.

ვფიქრობ, პროცესი ერთგვარი გარყვნისა, დღეს განსაკუთრებული ძალით ვლინდება, თუმცა კი კოორდინირებულია და პროგრამულად რეგულირებული. და მაინც, მგონია, რომ აქტიური ქმედებით, თვით ადგილზე, თვით „ენდემურ“ სახელოვნებო გარემოში ჩაღრმავებით მაინც შესაძლებელი იქნებოდა გარკვეული სასიცოცხლო „ნარჩენების“ ან „ნაჭდევების“, „ნაფეხურების“, ამოკითხვა და წარმოჩენა.

ამგვარი სიმულტანური რეგულირების ეპოქაში, ჩემი აზრით, გემოვნების პრობლემაც კი პირობით, არაკრეატიულ ინტენციად იქცა. გემოვნება, დღევანდელი გადმოსახედიდან, უფრო კრიტიკულ პათოსს განასახიერებს, ვიდრე კრეატიულ-შემოქმედებითს, ამიტომ თვით ეს საკითხი ერთგვარად რელატიურია და კრიტერიუმის, განმსაზღვრელი შეფასებითი ფორმულის, ნიველირებას ახდენს. მაშ, სად არის ის წერტილი თუ ტოპოსი, სადაც ადამიანი ადამიანად რჩება და, ამავე დროს, მისი მოქმედება არაა სწორხაზოვანი „ისტორიციტული“ გაგებით, არალინეარულია და არც საკუთარ თავში ტრიალებს სამსარას მსგავსად უმიზნოდ და უიდეალოდ?

შეუძლებელია პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს საკითხი წინ წამოსაწვია, სამსჯელოა.

მახსენდება გოეთეს შესანიშნავი ზღაპარი მწვანე გველისა და თეთრი შროშანის შესახებ, რომლის მთავარი პერსონაჟიც გველს ეკითხება: კი მაგრამ, რა არის მთავარი? სინათლე? – არა. – სითბო? – არა. – სიყვარული? – არა. მთავარი მხოლოდ საუბარია. დიახ, საუბარი, დიალოგი, თუნდაც „პოლილოგი“ ადამიანური, ჰუმანური და კრეატიული თვითრეალიზების საერთო პროცესებზე, რადგანაც ღრმად მწამს, რომ ისტორია არსებობს, რომ იგი არ დასრულებულა და ასე მარტივად არც შეწყდება, რომ არსებობს ალფა და ომეგა, ე.ი. დასაწყისი და დასასრული, ამავედროულად კი მარადიულია პალინგენეზია – განახლება და კვლავნარმოქმნა. ამავე დროს ისიც მჭერა, რომ ხელოვანის ფუნქცია დღეს, განსხვავებით შუა საუკუნეებისგან, არის არა თეოდიცია, ანუ ღვთაებრივი მოქმედების, შესაქმნის გამართლება, არამედ ანთროპოდიცია – ადამიანის ქმედებათა გამართლება და ახსნა-განმარტება.

ანთროპოდიციის ობიექტია თვით ადამიანი თავისი მიმართებით გარე და შინაგან სამყაროსთან, მიკრო და მაკროკოსმოსთან, სოციუმთან და პიროვნების თავისუფლებასთან, ტრადიციასთან და ინოვაციასთან. ყველა გადაწყვეტილებას ადამიანი იღებს, ამიტომაც ყველაფერი ადამიანთან მიმართებაში განიხილება. დღევანდელი კონფერენცია საშუალებას გვაძლევს, უფრო მჭიდროდ დავუკავშირდეთ ერთმანეთს, თავიდან ან სულაც ახლიდან აღმოვაჩინოთ ერთმანეთი, ადგილზე

მისვლით, საკითხის წამოჭრით, გარკვეულწილად, დავძლიოთ „არარას“ მიერ აღძრული უკმარისობის განცდა, თუმცა კი, როგორც იტყოდა დიდი ორტევა ი გასეტი, „ადამიანი, ხომ ცოცხალი უკმარისობა“.

გია ბუღაძე

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი

წარმოვიდგინოთ მომავალი „არტისტერიუმიდან“ ბიენალემდე

„არტისტერიუმი“, თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა და ფორუმი, მრავალფუნქციური კულტურული ღონისძიებაა, რომელიც აერთიანებს ქართული და საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების გამოფენებს, საერთაშორისო კურატორთა ორდლიან სიმპოზიუმს, საგანმანათლებლო პროგრამებსა და კულტურულ ღონისძიებებს.

2008 წელს გამოფენისთვის სახელის ძიებისას არტისტერიუმზე შევჩერდით, რადგან სახელწოდება გასული საუკუნის 10-ანი წლების თბილისის მოდერნიზმულ, კულტურულ და სახელოვნებო დინამიკას ეხმიანება. „არტისტერიუმი“ ერქვა ჟურნალ „არსთან“ მისივე შენობაში არსებულ კლუბს, სადაც ავანგარდული გამოფენები, პოეზიის საღამოები და ლექციები იმართებოდა. სახელწოდებამ საშუალება მოგვცა, ქართული თანამედროვე ხელოვნება თბილისურ მოდერნიზმთან ანუ საკუთარ ფესვებთან დაგვეკავშირებინა.

საქართველოს ბუნებრივი განვითარება მრავალჯერ შეფერხდა მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, რომელიც ყოველთვის განსაზღვრავდა ქვეყნის კულტურულ, პოლიტიკურ და ისტორიულ თავისებურებებს. საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესები, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემო, აუცილებელს ხდის ქართული ხელოვნების მრავალმხრივ წარმოჩენას მსოფლიოს კულტურულ და სახელოვნებო სივრცეში და ამ სივრცის საქართველოსთან დაახლოებას.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანამედროვე ხელოვნებაში გარკვეული წესები, კანონები და სქემები ჩამოყალიბდა. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს ეს წესები ინერგება ქვეყანაში, სადაც ახალი სოციალურ-პოლიტიკური გარემო ყალიბდება. დღეს საქართველო ისევე, როგორც მთელი სამხრეთ კავკასია, თანამედროვე ხელოვნების მსოფლიო რუკაზე საკუთარი ადგილის

ძიებაშია. ამ პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია, აღმოვაჩინოთ პრევენციის, არტპრაქტიკისა და ურთიერთობის მხოლოდ ჩვენი და მახასიათებელი გზები, რომლებიც უკვე არსებულ გამოცდილებაზე იქნება დამყარებული. მომავალში ეს დაგვეხმარება, აღმოვაჩინოთ ჩვენი ადგილი მსოფლიო სივრცეში, სადაც ჩვენი „სავიზიტო ბარათი“ სწორედ ეს განსხვავება იქნება.

სწორედ ამიტომ, „არტისტერიუმი“ მიზნად ისახავს ისეთი პლატფორმის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს მონაწილეთა შორის ღია, უშუალო დიალოგის ჩამოყალიბებას და ხანგრძლივი შემოქმედებითი კონტაქტების დამყარებას, თბილისის თანამედროვე არტსცენის პოპულარიზაციას. სხვადასხვა ქვეყნებიდან მოწვეული მხატვრებისა და კურატორების შეხვედრებისა და ურთიერთგაცვლის საფუძველზე მათ შორის არსებული მსგავსებისა და განსხვავების შემოქმედებითი კვლევა „არტისტერიუმი“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც მხატვრისთვის, ისევე კურატორისთვის, რათა მოხერხდეს საკუთარი ადგილისა და ხელოვნებაში საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბება.

ბოლო 15 წლის მანძილზე თბილისში ჩატარებული საერთაშორისო და ადგილობრივი საგამოფენო პროექტების ორგანიზებისას შეძენილი გამოცდილება საქართველოს დედაქალაქში დიდი საერთაშორისო სახელოვნებო ღონისძიების ჩატარების კარგი წინაპირობა აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ თბილისში სხვადასხვა დროს იმართებოდა დიდი ინტერნაციონალური სახელოვნებო ღონისძიებები, „არტისტერიუმი“ ერთადერთი დიდი საერთაშორისო გამოფენაა, რომელიც დღეს ამ სივრცეში ტარდება, რადგან სხვადასხვა მიზეზების გამო, საქართველოში ძალიან რთულია, ხანგრძლივად შეინარჩუნო ღონისძიების პერიოდულობა. ამას აქვს თავისი მიზეზები – პოლიტიკური თუ ფინანსური.

მიუხედავად ამისა, თბილისური არტსცენა ერთობ ცოცხალი და მრავალფეროვანია. „არტისტერიუმზე“ მუშაობისას ბევრ სირთულეს წავეწყდით, რადგან ქვეყნის სახელოვნებო ინფრასტრუქტურა, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, არ განგანყოფს მასშტაბური სახელოვნებო ღონისძიების ჩასატარებლად ქალაქში, სადაც თანამედროვე საგამოფენო სივრცის დეფიციტია და ძალიან მწირია საშუალებები შემოქმედებითი პრაქტიკისა თუ სახელოვნებო წარმოების სტიმულირებისთვის. სწორედ ამიტომაც, „არტისტერიუმის“ ერთ-ერთი და არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზანი ყველა იმ პრობლემის აღმოჩენა და გადაწყვეტის გზების ძიებაა, რომელიც დღეს ჩვენ წინაშე დგას. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ფინანსური მხარეა. დღესდღეობით ქვეყანაში თანამედროვე ხელოვნების დამფინანსებელი მხოლოდ ორი სტრუქტურა არსებობს: საქართველოს კულტურისა და ძეგლოვანი დაცვის სამინისტრო და ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო, ანუ სოროსის ფონდი. რასაკვირველია, მხოლოდ ორი ინსტიტუცია,

რომელსაც, თავის მხრივ, დაფინანსების განსაზღვრული მოდელები, მოთხოვნები და პირობები აქვს, არ არის საკმარისი საჭირო პროცესის ჩამოსაყალიბებლად. ასევე არასაკმარისია მხოლოდ ერთი დიდი ღონისძიების არსებობა, აუცილებელია პერიოდული გამოფენები, ვორქშოფები, საგანმანათლებლო პროგრამები. აუცილებელია, არსებობდეს სახელოვნებო ფონდები, რომლებიც მხატვრებს საშუალებას მისცემს, შედარებით მარტივი პროცედურის გავლით მიიღონ თუნდაც მცირე დაფინანსება უწყვეტი არტპრაქტიკისთვის ანუ ნამუშევრების განსახორციელებლად. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, გამოძენოს სახსრები სამოგზაუროდ, რადგან მხატვრებს, რომლებიც არ მუშაობენ კურატორებთან და ინსტიტუციებთან, უჭირთ იმ პროცედურების განხორციელება, რომლებიც ფინანსების მოზიდვას უკავშირდება.

აქედან გამომდინარე, „არტისტერიუმი“ დღეს მიზნად იმასაც ისახავს, რომ საზოგადოების, ბიზნეს სტრუქტურებისა და სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება მიიქციოს, რადგან სხვა შემთხვევაში, არსებობს შანსი, რომ ისევე, როგორც აქამდე არსებული სხვა საერთაშორისო ღონისძიებები, „არტისტერიუმიც“ შეწყვეტს არსებობას და შემდეგ ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდება.

ამდენად, „არტისტერიუმის“ შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ბინალეს თემა მეტად მნიშვნელოვანია, თუნდაც ღონისძიების გადარჩენის თვალსაზრისით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში 200-ზე მეტი ბინალე ფუნქციონირებს. ამის გათვალისწინებით, ძალზე მნიშვნელოვანია, შევქმნათ მეტ-ნაკლებად საქართველოზე მორგებული ბინალეს სტრუქტურა და პროცესი, რომელიც მას უკვე არსებული უამრავი დიდი თუ პატარა ბინალესგან განასხვავებს, თუნდაც ერთი, მაგრამ მნიშვნელოვანი, ადვილად დასამახსოვრებელი, შემოქმედებითად საინტერესო და შინაარსობრივად დატვირთული მახასიათებლით.

ცნობილია, რომ ნებისმიერი ბინალე მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოს კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოსთან. ბინალე, როგორც არტსისტემის ერთ-ერთი ნაწილი, სახელმწიფოსა და მასში მოქმედი სახელოვნებო ინსტიტუციების მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. ამდენად, საქართველოში ბინალეს დაფუძნების პროცესში გადამწყვეტი იქნება ქვეყანაში ფუნქციონირებადი დამოუკიდებელი არტინსტიტუციების ინტეგრაცია და სახელმწიფოს მხრიდან მიშვნელოვანი ფინანსური თუ პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვება.

მაგდა გურული

„არტისტერიუმის“ კურატორი

ქართული არტპროდუქცია საერთაშორისო პროექტებისათვის – სპეციფიკა და ახალი ამოცანები

დასაწყისისთვის მინდა, წამოგიდგინოთ ქართველი მხატვრის, მიშა შენგელიას, ნამუშევარი „კურატორების გემი“. გროტესკი, შავი იუმორი, პაროდია სახასიათო ნიშნებია მიშა შენგელიას ნამუშევრებისთვის. ერთი მხრივ, ამ ნამუშევარს მხატვრული საზოგადოების ნაწილი მხატვრულ პროვოკაციადაც აღიქვამს, რომლის ინტრიგაც კურატორთა და კრიტიკოსთა ყურადღების მიპყრობას ისახავს მიზნად. ამ ნამუშევრის პრეზენტაციის შემდეგ მართლაც გაიზარდა ინტერესი მხატვრის მიმართ. მეორე მხრივ კი, ის, რაც ამ ნამუშევრის თემაა და მხატვრულად უტრირებულია, ქართულ არტსივრცეში საკმაოდ ფართოდ გავრცელებულ მოსაზრებას გამოხატავს. ზოგადად, ქართველი მხატვრები მუდმივად უკმაყოფილონი არიან კურატორთა, გალერისტთა და კრიტიკოსთა უმოქმედობით, ეს უკანასკნელი კი პრეტენზიას გამოთქვამენ მხატვრების მიმართ, რომ ისინი ნაკლებად ზრუნავენ საკუთარი თავის განვითარებაზე, მხოლოდ შემოთავაზებული პროექტების ფარგლებში ამზადებენ ნამუშევრებს და, უმეტეს შემთხვევაში, მზად არიან, დაამუშაონ ნებისმიერი შემოთავაზებული თემა, მიუხედავად იმისა, აქტუალურია ეს მათთვის, თუ არა. ამ სიტუაციის ობიექტური მიზეზი ის არის, რომ გამოფენების მონაცემებისა და პროდუქციის დაფინანსების შესაძლებლობა იშვიათადაა და თუ ის არსებობს, მასზე უარს არავენ ამბობს. ინფრასტრუქტურა არ მუშაობს სქემით: მხატვარი – გალერეა – გალერისტი – კრიტიკოსი – არტბაზარი – მუზეუმი – კულტურული პოლიტიკა. შესაბამისად, სპონტანური, უმეტეს შემთხვევაში, თვითრეგულირებადი და არაკონტროლირებადი პროცესი მიდის, ხოლო პროექტები ერთჯერადია.

გადუღახავ პრობლემად რჩება ქართული ხელოვნების ჩაკეტილობა, მიუხედავად სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებისა, რომელთა

კონცეფცია უმეტესად გარედან არის მონოდებული და რომლებშიც ქართველი მხატვრები მონაწილეობენ. თუმცა ეს მონაწილეობა ხშირად ფორმალურია და მხოლოდ პერსონალური კომუნიკაციისა და კულტურათა გაცვლის ფუნქციას ასრულებს. უშუალოდ მხატვრული ნაწარმოების პრობლემეტიკა ყოველთვის უკანა პლანზეა.

თანამედროვე ხელოვნების პრობლემეტიკა საქართველოში ძირითადად მგავსია სხვა ყოფილი ტოტალიტარული ქვეყნების სახელოვნებო სივრცეში არსებული პრობლემეტიკისა. ის, რასაც contemporary art-ს ვუწოდებთ, დასავლეთის ქვეყნებთან შედარებით, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში სრულიად განსხვავებულ საფუძველს ეყრდნობა. ტენდენციები, რომელთაც საბჭოთა ცენზურა კრძალავდა, ამ ქვეყნებში დაგვიანებით და სპეციფიკური ინტერპრეტაციებით შემოვიდა. თავის დროზე ის, პირველ რიგში, მოქალაქეობრივ პოზიციას და ერთგვარ დისიდენტურ სტატუსს ნიშნავდა. „არაოფიციალური ხელოვნება“ საბჭოთა კავშირის პირობებში გამოხატავდა საპროტესტო რეაქციას იდეოლოგიზირებული ხელოვნებისა და ცენზურის წინააღმდეგ, თანაც აკრძალულ დასავლურ მიმდინარეობებზე რეფლექსიას საკუთარ კონტექსტს უკავშირებდა, ახდენდა მათ ერთგვარ ადაპტაციას. საქართველოში ეს პროცესი კიდევ უფრო დაგვიანებით დაიწყო და აქ, მოსკოვისგან განსხვავებით, არც სტილების პლურალიზმი შეიმჩნეოდა. იყო რამდენიმე ნონკონფორმისტი მხატვარი, მაგალითად, ავთო ვარაზი, მაგრამ მათ ქართული არტსცენის ძირითად დინამიკაზე დიდი გავლენა ვერ მოახდინეს. მნიშვნელოვანი ცვლილება შემოიტანა ალექსანდრე (შურა) ბანძელაძემ, რომელიც აბსტრაქტული ექსპრესიონიზმით დაინტერესდა და 1970-იან წლებში მოსკოვში ლეონიდ ბაჟანოვის, თანამედროვე ხელოვნების სახელმწიფო ცენტრის დირექტორის, ინიციატივით, ქართული ავანგარდის ერთადერთ წარმომადგენლად აღიარეს. თვითონ ეს ფაქტი ნიშანდობლივია, რადგან ყველაფერი მოსკოვიდან კონტოლირდებოდა და მოსკოვშივე წყდებოდა, ვის დაერქმეოდა ავანგარდისტი.

ყოფილი საბჭოთა სივრცის მხატვრების კონცეპტუალური ხელოვნებით დაინტერესება, ერთი შეხედვით, ყოფილ საბჭოთა სივრცეში, მათ შორის, საქართველოშიც და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, დასავლური კულტურის გაცნობის სურვილსა და ამ კულტურის ვიზუალურ ნიშანთა სისტემასთან იდენტიფიკაციისაკენ სწრაფვას უფრო გამოხატავდა, ვიდრე მხატვართა მხრიდან თვითრეალიზაციის აუცილებლობას. ამ პერიოდში მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ინფორმაცია, რომელიც არსებული რეჟიმის გამო საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ძნელად ხელმისაწვდომი იყო.

მოგვიანებით, როცა იზოლაციისა და ინფორმაციის დეფიციტის პრობლემა გადაწყდა და ქართველი მხატვრებისთვის აღარ იყო ჩაკეტილი უცხოური არტსივრცე, მათ დაინახეს, რომ სტილი, რომლითაც

ისინი მუშაობდნენ, არ იქნებოდა საინტერესო დასავლეთისათვის. მათ წინაშე გაჩნდა ამოცანა, შეექმნათ ავთენტური არტპროდუქცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა თანამედროვე ხელოვნების დასავლური გამოცდილებაც და ორიგინალური გამოცდილებითი ინფორმაციაც, ანუ ექნებოდა თავისი „მესიჯი“.

ამგვარად, თანამედროვე ხელოვნების წარმოშობისა და განვითარების პირობები საქართველოში ძალიან განსხვავდება დასავლური მოდელისაგან. პირველ რიგში, გასარკვევია ადგილობრივ კონტექსტში აქტუალური ხელოვნების მნიშვნელობა თანამედროვე ხელოვნების ფორმატით. ასევე აუცილებელია მისი პოპულარიზაცია, სოციალური ჩართული და ინტერაქტიული პროექტების განხორციელება. ამგვარად თანამედროვე ხელოვნების ენა საზოგადოებისთვის უფრო ორგანული გახდება და ადვილად საცნობი. შედეგად, ავთენტურ პროდუქციასაც მივიღებთ, რომელიც არ იქნება ხელოვნური, ზოგადად თანამედროვე ხელოვნებისთვის გამიზნული ან საერთაშორისო პროექტებისთვის „დაკვეთით“ შექმნილი.

ქართული არტსიტუაცია პრობლემატურია და ვერ ქმნის განსაზღვრულ ღირებულებით უწყებას („მესიჯს“) საერთაშორისო არტსივრცისათვის. ეს კომპლექსურ მუშაობას და გრძელვადიან პროექტებს ითხოვს. არსებობს რესურსი როგორც უშუალოდ მოქმედი მხატვრების თვალსაზრისით, ისე თეორიული კვლევისა და საორგანიზაციო მიმართულებით, ანუ არიან მხატვრებიც, თეორეტიკოსებიცა და კურატორებიც, მაგრამ მათ ძალიან რთულ პირობებში უწევთ მუშაობა. კონკრეტული კულტურული პოლიტიკისა და გრძელვადიანი პროექტების გარეშე რთული იქნება ამ სიტუაციიდან თავის დაღწევა. სერიოზული მხარდაჭერის, კომპლექსურად გააზრებული კულტურული პოლიტიკის გარეშე ნაკლებად სანუგეშო შედეგაც შეიძლება მივიღოთ – ყველა მხატვარი კონცენტრირებული იქნება ემიგრაციაზე და აღარ დაინტერესდება საკუთარი სივრცეში მუშაობით, რომელშიც, მსგავსად ტოტალიტარული ან თეოკრატიულ სახელწიფოებისა, აღარ იარსებებს თანამედროვე, აქტუალური ხელოვნება.

ხათუნა ხაბულიანი

არტკრიტიკოსი, კურატორი


ინიციატივა პოსტსაბტოთა სივრცეში

უცნაური დამთხვევაა: როდესაც 2004 წელს ჩატარდა ნინო ჭოლოშვილისა და ჰელენ ჰირშის მიერ ინიცირებული პირველი სიმპოზიუმი „ძიება საზღვრების გარეშე“, ჩემი საუბრის თემა „პოტენციური ნაცარი“ გახლდათ. მაშინ დაისვა კითხვები იდეების მატერიალიზაციის აუცილებლობის შესახებ. დღეს, 6 წლის შემდეგ, საერთაშორისო გამოფენის „არტისტერიუმის“ პარალელურად თბილისში კვლავ შეიკრება საინტერესო საზოგადოება, ამჯერად, თბილისის კულტურული იდენტობის საკითხზე სამსჯელოდ. ჩემს, როგორც მხატვრის, პროექტს „არტისტერიუმის“ კონტექსტში ჰქვია „ნაცარქექია სახლი“. ის შესრულებულია არქიტექტორ მიკა ყრუაშვილთან და მოქანდაკე დათო ტაბატაძესთან თანამშრომლობით. ეს ნახევრად ხუმრობით გაკეთებული პროექტია, რომლის დასასრული შეიძლება იყოს ქართული ზღაპრის გმირის ნაცარქექიას ფორმის შენობა. შენობაში განთავსდება პარალელური სამყაროების ინსტიტუტი.

ვისაუბროთ კერძო ინიციატივების შესაძლებლობებზე დღევანდელ საქართველოში.

აქ შეიძლება გამოიყოს ორი პრობლემა, ბარიერი, რომელიც ხელს უშლის ამ ქვეყნის ჩამოყალიბებას სამოქალაქო საზოგადოებად. ეს პრობლემები პარალიზებას უკეთებს ადამიანთა პოტენციალს:

1. საბტოთა წარსულში კერძო ინიციატივის აკრძალვამ ადამიანებს დაუკარგა აღქმა და წარმოდგენა, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებლად საერთოდ რამის განხორციელება. ეს აკრძალვა 3 თაობას შეეხო. ამ თაობების ცხოვრებაში ყველანაირი მართვა, ორგანიზება, მენეჯმენტი სახელმწიფოს მიერ ხორციელდებოდა;
2. ნებისმიერი საკუთრების მხოლოდ სახელმწიფოს ხელში მოქცევამ, განსაზღვრა ადამიანების დამოკიდებულება, უპასუხისმგებლოდ მოეპყრონ ამ ქონებას. ასევე, საბტოთა რეჟიმის იძულებითმა კოლექტივიზაციამ უკურაქცია გამოიწვია და ჩამოყალიბდა ანტიკოლექტიური და ინდივიდუალისტური საზოგადოება.



© mika kruashvili

პირველი პრობლემის აქტუალური გამოვლინება არის ჩვენს საზოგადოებაში არსებული მოლოდინი, რომ ვიღაც (მთავრობა) მოვა და ის გააკეთებს, დამასაქმებს, ხელს შემიწყობს და ა.შ. ამავე დროს, საქართველომ აირჩია ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემა, როგორც თავისუფლების გარანტი. უბრალოდ, ამ თავისუფლების პირდაპირი არტიკულაცია არ მომხდარა. დემოკრატიული სისტემა დაფუძნებულია თითოეული მოქალაქის, კერძო სექტორისა და მთავრობის ერთობლივ მონაწილეობაზე ქვეყნის მართვის პროცესში.

კავშირის დაშლის შემდეგ 70 წლის განმავლობაში ტრავმირებული საზოგადოება რეჟიმის მხრიდან მართვის გარეშე დარჩა. რა თქმა უნდა, მას გაუჭირდება საზოგადოებრივი მართვის მექანიზმების შექმნა. მაგალითად, სოფლებში გლეხები უმეტესწილად ვერ ახერხებენ სარწყავი სისტემების განრიგით გამოყენებას. არის არხი, რომელშიც მოდის წყალი, რომელიც ყველას ყოფნის, მაგრამ სოციალური დაგეგმვის, ერთობლივი ზრუნვის მექანიზმი ატროფირებულია.

ულმერთობისა და ტირანიის გარდა, თურმე საბჭოთა სისტემას ჩვენს ცნობიერებაში წაუშლია ადამიანის ელემენტარული უნარები. მაგალითად, ამის შედეგია, რომ საქართველოს, როგორც აგრარული ქვეყნის, მიწის დიდი ნაწილი დაუმუშავებელი და უპატრონოა.

ვორქშოფებისა და საუბრების იდეა „ინიციატივა პოსტსაბჭოთა სივრცეში“ ორიენტირებულია ჩვენი საერთო წარსულის შეფასებაზე, იმის გაცნობიერებაზე, რომ საბჭოთა კავშირი ერებისთვის იყო არაბუნებრივი, ძალადობრივი და ტრავმატული სისტემა.

ჯერ კიდევ არ მომხდარა ამ საკითხების სათანადო არტიკულაცია. ამიტომ ვფიქრობ, ზოგიერთი ადამიანი ჩვენი შეხვედრის შემდეგ უფრო რეალურად დაინახავს და განახორციელებს საკუთარ პოტენციალს.

„ინიციატივა პოსტსაბჭოთა სივრცეში“ ითვალისწინებს მონაწილეებისთვის იმის ჩამოყალიბებას, თუ რა შეუძლიათ მათ ჩათვალონ საკუთარი პროექტისთვის გამოსაყენებელ მატერიალურ, ინტელექტუალურ თუ ინფორმაციულ კაპიტალად.

ვატო წერეთელი

თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისის დირექტორი

ამ დროს. დე- და რე-კონსტრუქციის დროს

GeoAIR დაარსდა 2003 წელს ქართველი მხატვრის სოფია ტაბატაძის მიერ, რომელიც მრავალწლიანი სწავლის, ცხოვრებისა და მუშაობის შემდეგ ჰოლანდიიდან საქართველოში დაბრუნდა. 2007 წლიდან ის ოფიციალურად რეგისტრირებულია როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია და არაკომერციულ საქმიანობას ეწევა პროექტებთან დაკავშირებულ ფონდებთან ერთად.

GeoAIR-ის დაარსების მიზანი იყო ქართული და კავკასიური მხატვრობის ორგანიზება და თანამშრომლობა საერთაშორისო გაცვლითი პროექტების ფარგლებში, რათა თავი მოეყარა სხვადასხვა წარმომავლობის მხატვრებისათვის და მოეძებნა შეხების წერტილები, რომლის დახმარებითაც ისინი პროექტში მუშაობას შეძლებდნენ.

2003-2004 წლებში, როდესაც გერმანიიდან მეც დავბრუნდი, ხელოვნების სფეროში საკმაოდ რთული ვითარება იყო: თანამედროვე ხელოვნებას საქართველოში ნაკლებად აღიარებდნენ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყველა მხატვარი თავის სახელოსნოშია ჩაკეტილი. გარეშე პირისთვის შეუძლებელი იყო, თვალი ედევნებინა ქალაქის კულტურული ცხოვრებისთვის. ვერ იპოვიდი მუზეუმს ან გალერეას, რომელიც გაგაცნობდა ხელოვნების სფეროში არსებულ მდგომარეობას, არ არსებობდა ჟურნალი, რომელიც თანამედროვე ხელოვნებას ან მის კრიტიკას ეძღვნებოდა, არ მოიძებნებოდა ქალაქის გზამკვლევი გალერეებისა და კულტურული ღონისძიებების ნუსხით. ერთი სიტყვით, შეუძლებელი იყო კულტურული ცხოვრების შესახებ ინფორმაციისა თუ რჩევის მიღება. 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სამხატვრო ღონისძიებების დოკუმენტირება იშვიათად ხდებოდა. მასალა დღემდე გაფანტულია სახლებში, სახელოსნოებსა და დროებით გალერეებსა თუ ინსტიტუტებში. ადგილობრივი სამხატვრო სფერო უცნობი იყო როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე დანარჩენი მსოფლიოსთვის. მისი განვითარება ფერხდებოდა. პოლიტიკური არასტაბილურობის, ასევე კულტურული სტრატეგიის, შორსმჭვრეტელობისა და სისტემური ანალიზის არარსებობის გამო, ხორციელდებოდა მხოლოდ მოკლევადიანი კულტურული პროექტები.

ეს იყო მოცემულობა. ამ ვითარებიდან გამომდინარე, GeoAIR-მა იგრძნო საჭიროება, განევიტარებინა საერთაშორისო გაცვლითი პროექტები.

2010 წლამდე GeoAIR-ს არ ჰქონდა კონკრეტული ფიზიკური სივრცე. პროექტების ორგანიზება და წარდგენა ხდებოდა მისი შინაარსის კონტექსტიდან გამომდინარე. GeoAIR ძირითადად ისეთ არასამხატვრო და არასახელოვნებო სივრცეებს ირჩევდა, როგორცაა ღვინის ქარხანა, აბრეშუმის მუზეუმი, ყოფილი სამინისტრო და ა.შ. საამისოდ არაერთი მიზეზი არსებობდა: უმთავრესი მიზეზი დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ თბილისში და მთლიანად საქართველოში არ არსებობს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ან გალერეა. უკანასკნელ დრომდე საქართველოში არ მოიძებნებოდა დაწესებულება, რომელიც თანამედროვე ხელოვნებას წარმოაჩენდა. თანამედროვე ხელოვნების ცენტრი თბილისი, CCA – Tbilisi, 2010 წლის 1 ოქტომბერს გაიხსნა. „საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიული მუზეუმი – ქარვასლა“ ერთადერთი სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც თბილისში გამართულ თანამედროვე ხელოვნების გამოფენებს მასპინძლობს, მაგრამ მასაც არ აქვს ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული პროფილი. საქმე, რომელსაც ეს მუზეუმი აკეთებს, ძალიან დასაფასებელია. რომ არა „ქარვასლა“, შეუძლებელი იქნებოდა დიდი პროექტების განხორციელება. სახელმწიფო მუზეუმებისა და გალერეების დიდი ნაწილი უკვე წლებია დაკეტილია რეკონსტრუქციის გამო.

სხვა მიზეზი, რის გამოც GeoAIR გამუდმებით მოგზაურობს ერთი ადგილიდან მეორეში, განპირობებულია ჩვენი სურვილით, მივკვლიოთ თანამედროვე ხელოვნების განვითარებით დაინტერესებულ სხვა ორგანიზაციებსა თუ ინიციატივებს და კონტაქტი დავამყაროთ მათთან. GeoAIR პოპულარიზაციას უწევს კულტურასა და ხელოვნებას არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაში. ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პიროვნებებთან, რომლებიც ჩვენს მიზნებს იზიარებენ.

ერთი მხრივ, GeoAIR ცდილობს, დიალოგი აწარმოოს ხელოვნებთან, სხვა მხრივ კი, დაინტერესებულია, კონტაქტი დაამყაროს საზოგადოებასთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. GeoAIR-ის პროექტების ყურადღების ცენტრში ექცევა ქალაქისა და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და ურბანულ პრობლემემატიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები.

2007 წელს GeoAIR-მა დაიწყო პროექტი „არქიდრომი – თანამედროვე ხელოვნების არქივი“. პროექტის მიზანია, მოიპოვოს ცნობები კულტურის განვითარებისა და ხელოვნების შესახებ და ხელი შეუწყოს ამგვარი ინფორმაციის გენერირებას, პირველ რიგში, საქართველოში,

ასევე სომხეთში, აზერბაიჯანსა თუ თურქეთში. პროექტი საშუალებას აძლევს ადგილობრივ და უცხოელ მხატვრებს, ხელოვნებათმცოდნეებს, დამოუკიდებელ მკვლევრებსა და საზოგადოებას, გაცვალონ იდეები, ცოდნა და გამოცდილება თანამედროვე ხელოვნების ამჟამინდელი ტენდენციების შესახებ. „არქიდრომი“ უზრუნველყოფს მხატვრული ნამუშევრების ხელმისაწვდომობას, შესაბამისი დისკუსიის არსებობას, ქმნის საფუძველს, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ინტერესის გასაღვივებლად. „არქიდრომის“ ფარგლებში ხორციელდება ზემოაღნიშნული რეგიონის მხატვართა ნამუშევრების, ასევე მათთან დაკავშირებული ინფორმაციის, კრიტიკული წერილებისა და თეორიული მასალის ელექტრონულ ფორმატში დაარქივება. „არქიდრომი“ ფლობს მხატვართა პორტფოლიოებს, ტექსტებს, DVD-ის, საფოსტო ბარათებს, ხმის ჩანაწერებს და ა.შ., ინვესტს როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ მხატვრებს პრეზენტაციებისა და ლექციებისათვის, რომლებიც რეგიონის კულტურულ ღონისძიებებს ეხება.

2010 წლიდან GeoAIR-მა დაიწყო თვითმართვადი რეზიდენციის პროგრამა, რომელიც სთავაზობს კურატორებსა და ხელოვანებს, დაფუძნდნენ თბილისში და გამოიყენონ ეს ადგილი კონტაქტების დასამყარებლად, შეხვდნენ მხატვრებს, კულტურის სფეროში მოღვაწე ან სახელოვნებო ინსტიტუტებსა და კურატორებს კავკასიის რეგიონიდან, რათა განავითარონ და გააღრმავონ თავიანთი ცოდნა და კვლევა კავკასიის კონტექსტში. აქამდე არ არსებობდა პროგრამით გათვალისწინებული სახელოვნებო რეზიდენცია თბილისში. კურატორებსა და თეორეტიკოსებს თითქმის არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ემუშავათ საქართველოში საქართველოსა და კავკასიის რეგიონის კონტექსტზე.

GeoAIR-ის რეზიდენციის პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კავკასიის რეგიონის სხვადასხვა ინსტიტუტებთან, ორგანიზაციებთან და კულტურის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებთან თანამშრომლობას, რათა გაძლიერდეს ამ არეალში კულტურული ფონდების მუშაობა, ხელი შეეწყოს ცოდნის გაცვლას და მნიშვნელოვანი კულტურული პროექტების გახანგრძლივებას.

GeoAIR მიზნად არ ისახავს, შექმნას პროგრამები ან წამოაყენოს საკუთარი პირობები. პირიქით, ის ღიაა იდეებისთვის და შესაძლებლობებისთვის, რომელიც მოდის ჩვენი ქსელის წევრებისგან თუ ადგილობრივი პროექტებიდან. GeoAIR უკავშირდება შესაბამის ორგანიზაციებს, კურატორებს, მხატვრებს და თანამშრომლობს მათთან, რითაც ხელს უწყობს ახალი პროდუქციისა თუ კვლევის განხორციელებასა და ინვესტირებას. GeoAIR-ის მოქნილი პლატფორმა შესაძლებლობას აძლევს რეზიდენტებსა და პროგრამებს, იმუშაონ მრავალ პარტნიორთან ინოვაციური პროექტების განვითარებაზე.

ყოველი რეზიდენტი ვალდებულია, ჩაატაროს საჯარო პრეზენტაცია. თუ პროექტი ამის საშუალებას იძლევა, ჩვენი რეზიდენცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რეზიდენტების მოგზაურობას თბილისს გარეთ, კავკასიის რეგიონის ფარგლებში, საჯარო პრეზენტაციის ჩასატარებლად.

მხოლოდ რეზიდენტზე დამოკიდებული, თუ რა სახის პრეზენტაციას წარმოადგენს. ეს შეიძლება იყოს მოხსენება, ვორქშოფი, ლექცია რაიმე სპეციფიკურ საკითხზე, პროექტის პრეზენტაცია, დისკუსია ან გამოფენა.

GeoAIR თხოვს ყველა რეზიდენტს, თავისი წვლილი შეიტანოს თანამედროვე ხელოვნების არქივში „არქიდრომი“. ჩვენ ვთხოვთ რეზიდენტებს, მოგვანოდონ მასალები არა მარტო საკუთარი შემოქმედების შესახებ, არამედ თავიანთი ქსელის მხატვრებზე, კურატორებსა და ინსტიტუტებზე, რათა გავამდიდროთ ფონდი და გავაძლიეროთ რეზიდენციის მისწრაფება საერთაშორისო თანამშრომლობისა და დიალოგისკენ.

GeoAIR-ის მიერ და მასთან თანამშრომლობისას ინიცირებული პროექტებია:

- „უცხოელი“, 2003. ადგილი – ღვინის ქარხანა, თბილისი, საქართველო და ფელიქს მერიტისის ფონდი, ამსტერდამი, ნიდერლანდები; კონცეფცია და ორგანიზება – GeoAIR/ქუიდი: სოფია ტაბატაძე, ნინო ფურცხვანიძე;
- „საქართველო, ჩვენ მოვდივართ“, 2006. ადგილი – ეროვნული ხელოვნების ცენტრი, თბილისი, საქართველო, უტრეხტი, ნიდერლანდები; კონცეფცია და ორგანიზება: მაიავე გუვენბერგი / ბარტ ვიტე (Expodium), მარიოლინ დიკმანი და მარტენ ვანდენ ეიდენი (ERforS), სოფია ტაბატაძე, ნადია ნულუკიძე, ფრეია ვან დინ (GeoAIR „გაცვლითი აკადემია“, 2008. ადგილი – აბრემუმის სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, საქართველო; კონცეფცია და ორგანიზება – ფრეია ვან დინ, ონო დირკვერ და სოფია ტაბატაძე (GeoAIR);
- „ორმხრივი ვიზიტი“, 2008. ადგილი – აბრემუმის სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი, საქართველო, DEPO, სტამბული, თურქეთი; კონცეფცია და ორგანიზება: სელდა ასალი, სერა ოზჰანი;
- „გაყინული მომენტები: არქიტექტურა გვპასუხობს. კვლევა და დასვენება“, 2010. ადგილი – საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საავტომობილო გზების ყოფილი სამინისტრო. ჭოანა ვარშას პროექტი; პროდიუსერები: აზერ სფენი ფონდი (Other Space Foundation) და ლაურა პალმერის ფონდი, ვარშავა (Laura Palmer Foundation Warsaw); GeoAIR-ისა და აიკა –

„გაყინული
მომენტები:
არქიტექტურა
გვასახობს“,
გიორგი ჩახავას
კერძო არქივიდან;
22-25 ივლისი,
2010, თბილისი;
საქართველოს
საზღვრათა
სოციალისტური
რესპუბლიკის
საავტომობილო
გზების ყოფილი
სამინისტრო

Frozen Moments:
Architecture Speaks
Back. From George
Chakhava's private
archive, July
22–25, 2010, Tbilisi,
Georgia; The Former
Ministry of Highways
of the Georgian
Soviet Socialist
Republic



სომხეთის (AICA) მონაწილეობით; უძრავი ქონების ეკონომიკისა და პროექტის მენეჯმენტის ინსტიტუტი, ბიბერახი, გერმანია.

www.geoair.blogspot.com
www.geoairresidency.blogspot.com
www.archidrome.blogspot.com

ნინი ფალავანდიშვილი

GeoAIR-ის კურატორი

ბიენალეს ახლებური გააზრებისათვის

ტექსტი ეფუძნება ესეის „ბიენალეოლოგია“, რომელიც დაინერა კრებულისთვის „ბიენალეს ქრესტომათია, თანამედროვე ხელოვნების მრავალწლიანი ფართომასშტაბიანი გამოფენების ანთოლოგია“. რედაქტორები: ელენა ფილიპოვიჩი, მარიეკე ვან ჰალი და სოლვეიგ ოვსტებო, გამომცემლობა – Bergen and Ostfildern: Bergen Kunsthall and Hatje Cantz Verlag, 2010. (The Biennial Reader, an Anthology on Large-Scale Perennial Exhibitions of Contemporary Art, edited by Elena Filipovic, Marieke van Hal, and Solveig Øvstebø, Bergen and Ostfildern: Bergen Kunsthall and Hatje Cantz Verlag, 2010.)

ო თხმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული მსოფლიოში ბიენალეების რიცხვის ზრდასთან ერთად აქტუალური გახდა ბიენალეს ყოფნა-არყოფნის საკითხი. ეს ჟანრის შესაძლებლობების ამოწურვაზე ან მის გაჭერებაზე უნდა მიუთითებდეს. შექსპირისეულ შეკითხვას ძირითადად სხვადასხვა, უმეტეს შემთხვევაში, კულტურისა და პოლიტიკის (დამფინანსებელი) სფეროს წარმომადგენლები სვამენ. ბიენალე მათთვის ის ინსტრუმენტი, რომელსაც ყოველ ჯერზე ხელახლა სჭირდება გადახედვა და შემოწმება. ბიენალეს ორგანიზატორი ახალი ორგანიზაციების უმეტესობისთვის შთაგონების წყარო უკვე არსებული მოდელები და ტიპებია, თუმცა მათი უმრავლესობა ასევე ცდილობს, ბიენალეს ზუსტი ფორმატი მისი ჩატარების კონკრეტულ ადგილსა და სპეციფიკას მოარგოს. რათა ჩვენი განხილვა უფრო სიღრმისეული იყოს და არ შემოიფარგლოს საკითხით, თუ რამდენად საჭიროა ბიენალეს ჩატარება და ამ ფორმატის გავრცელების პრობლემად აღქმა (ამის გამო წარსულში მრავალი დისკუსია საწყის ეტაპზე შეწყვეტილა), მნიშვნელოვანია, გავაანალიზოთ ბიენალე, როგორც კულტურული ობიექტი. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს ბიენალეს მნიშვნელობა და კრიტიკული ფასეულობა საფუძვლიანი კამათის საგანია.

რა არის ბიენალე? ზოგიერთისთვის ეს საგამოფენოდ გათვალისწინებული ექსპერიმენტებისთვის მზადმყოფი სივრცეა, რომელიც საშუალებას აძლევს ხელოვანებს, კურატორებსა და დამთვალეირებლებს, რომ შესთავაზონ სასიცოცხლო ალტერნატივა მუზეუმებსა და სხვა მსგავს დანესებულებებს, რადგანაც მათ არ შეუძლიათ, სწრაფად და მოქნილად აყვანენ თანამედროვე ხელოვნების განვითარებას. სხვებისთვის ბიენალე სხვა არაფერია,

თუ არა მომწესხველი და გაბერილი ღონისძიება, რომელიც მსოფლიოში გვიანი კაპიტალიზმის ხანაში მომხდარი ზოგიერთი დიდი ტრანსფორმაციის შედეგია. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს დასავლური ტიპოლოგიაა, რომელმაც თავისი გავრცელების გამო მსოფლიოს ყველაზე შორეულ კუთხეებშიც კი შეაღწია, სადაც ამგვარი ღონისძიებები უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მზარდი ტურისტული ინდუსტრიისთვის განკუთვნილი კომერციული ხასიათის გასართობი.

გამოფენების ისტორია ჩვენი კულტურული ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო და, ამავდროულად, უცნაურად დავინწყებული ნარატივია. ამიტომაც, ბიენალესა და თანამედროვე ხელოვნების სხვა გამოფენების მნიშვნელოვანი როლის გათვალისწინებით, საჭიროა თანამედროვე კულტურაში მათი ევოლუციისა და დღევანდელი მდგომარეობის განხილვა. ზოგადად გამოფენები, კერძოდ კი, ბიენალეები, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ ხელოვნების აღსაქმელად. თუკი ვიტყვით, რომ საუკუნეზე მეტხანს მუზეუმებსა და გალერეებში გამოფენილი ნამუშევრები უმეტესწილად „ის შუამავალი იყო, რომლის მეშვეობითაც ხელოვნების ნიმუშებს ვეცნობოდით“, იმის თქმაც შეიძლება, რომ ბიენალეს გამოფენები თანამედროვე ხელოვნებას გვაზიარებს.¹ მართლაც, რამდენიმე უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ბიენალეები თანამედროვე ხელოვნების შექმნის, გავრცელებისა და მის გარშემო არსებული საჭარო დისკურსისთვის ერთ-ერთ ყველაზე ცოცხალ და შესამჩნევ ადგილად იქცა.

¹ Bruce W. Ferguson, Reesa Greenberg, and Sandy Nairne, "Introduction," in *Thinking about Exhibitions* (London, 1996), p. 2.

იმისთვის, რომ ბიენალეს პოტენციური მნიშვნელობა განვსაზღვროთ, საჭიროა, გადავხედოთ ისტორიასა და იმ საგამოფენო პრეცედენტებს, რომლებმაც მისი ჩატარება შესაძლებელი გახადა. თუმცა, ბიენალეს წარმოშობის შესახებ ჯერაც ბევრს კამათობენ: დაკავშირებულია თუ არა ის 1851 წლის ბროლის სასახლესთან? არის თუ არა ვენეციის ბიენალე ამ ჟანრის ფუძემდებელი? ხომ არ უნდა ვეძიოთ ბიენალეების სათავე 1984 წელს დაარსებულ პირველ სრულიად საერთაშორისო და ყოვლისმომცველ ჰავანის ბიენალეში, რომელიც შესაძლოა მომავალი ბიენალეების მოდელს წარმოადგენს? ერთ-ერთი გამოფენა, რომელიც შეგვიძლია დავასახელოთ საგამოფენო პრეცედენტებს შორის, არის Les Magiciens de la Terre. 1989 წელს მისი კურატორი იყო ჟან-იუბერ მარტინი. სავარაუდოდ, ამ გამოფენამ შეცვალა მსოფლიოში არსებული ბიენალეების პარამეტრები. განსხვავებულ პერსპექტივათა არსებობა არა თუ გამოხატავს ბიენალეს შესაძლო პრეცედენტების მრავალფეროვნებას, არამედ წარმოდგენას გვიქმნის მის წარმოშობასთან დაკავშირებული მითების შესახებაც.

განა შეიძლება საუბარი ბიენალეს წარმოშობის ერთადერთი ვერსიის ან ისტორიის შესახებ, თუკი მსოფლიოში ამ მოვლენის უამრავი სხვადასხვა მაგალითია გაბნეული, თანაც მათ შორის არსებული

კულტურული, ფინანსური და მსოფლმხედველობრივი განსხვავებები ამდენად დიდია? ფაქტია, რომ არსებობს ბიენალეს და არსების არაერთი ვერსია. მართლაც, მიუხედავად განსაკუთრებული საერთაშორისო ამბიციებისა, დიდმასშტაბიანი, პერიოდული გამოფენები, ძირითადად, სწორედ გაბედული „ადგილობრივი“ ღონისძიებების წყალობით ხორციელდება. თუმცა მათი იერ-სახე შეიძლება იცვლებოდეს, რაც განპირობებულია სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ ეკოლოგიური საჭიროებით, რადგან ამგვარი საკითხები თავისებურ გავლენას ახდენს ბიენალეს პროექტის მასშტაბსა თუ შინაარსზე.

2003 წელს დაწერილ ესეში კარლოს ბასუალდო ბიენალეს უწოდებდა ფუნდამენტურად „არასტაბილურ ინსტიტუციას“, რომლის იდენტობაც საუკეთესოდ შეიძლება განისაზღვროს *ex negativo*. ამით ის უპირისპირდება უკვე დამკვიდრებულ, საკუთარ თავზე კონცენტრირებულ, მუდმივად ფიქსირებულ და სიმბოლურად მძიმეწონიან ინსტიტუციას – მუზეუმს. თუკი გავაგრძელებთ მსჯელობას იდეის შესახებ, უნდა ვახსენოთ მარია ჰლაავაიოვაც, რომლის აზრითაც, „ბიენალე არის რაღაც ისეთი, რაც აუცილებლად არასტაბილურია, მუდმივი დინების პროცესში იმყოფება და ძნელი დასახასიათებელია განგრძობითობის თვალსაზრისით. ის არის რაღაც უფრო მეტი, ვიდრე უბრალოდ მისი ჩატარების რაოდენობათა ჯამი“. მისი აზრით, „უნდა გვახსოვდეს, რომ ბიენალეს შესახებ საუბარი უპერსპექტივო წამოწყებაა, რადგანაც არ არსებობს რომელიმე ცალკეული ფორმა, რომელიც კულტურული საქმიანობის მთელ ამ ჰიბრიდულ ველს გამოხატავდა“. ამ მსჯელობას საინტერესო პარადოქსამდე მივყავართ: შეუძლებელია ბიენალეს ამომწურავი განსაზღვრების პოვნა, თუმცა, როგორც ამ სფეროში მოღვაწე მეცნიერებისა და პროფესიონალების უმეტესობა თანხმდება, მისი შესწავლა აუცილებელია. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია მარტივი განსაზღვრების დადგენა, ჩვენ უნდა გავიაზროთ ბიენალე, რათა წარმოდგენა გვქონდეს თანამედროვე ხელოვნების მდგომარეობისა და განვითარების შესახებ.

ამ პარადოქსს კიდევ უფრო ართულებს შემდეგი საკითხი: მას შემდეგ, რაც დაისმის კითხვა იმის შესახებ, თუ რა არის ან იყო ბიენალე, როგორ განვსაზღვროთ, რად შეიძლება იქცეს ის მომავალში?

ერთი მხრივ, ფართომასშტაბიან გამოფენებს ადარებენ ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ხელოვნების ბაზრობა ან თუნდაც ოლიმპიური თამაშები. სხვა მხრივ კი, მუზეუმი ის ერთადერთი ინსტიტუციაა, რომელთან მიმართებაში, ან სულაც რის საპირისპიროდაც, მათ განიხილავენ. თუკი მუზეუმი, კოლექციათა სანახი, მუდმივობის, კლასიფიკაციისა და კონსერვაციის ადგილად მოიაზრებოდა, ბიენალე ის სივრცეა, სადაც დასაშვებია ექსპერიმენტებისა და ცდების ჩატარება.

2009 წელს ქალაქ ბერგენში თანამედროვე ხელოვნების ბიენალეს დაარსება მოისურვეს. ბერგენის ხელოვნების საგამოფენო დარბაზმა,

² ბერგენის ბინალეს იდეა ნორვეგიაში პირველად ქალაქ ბერგენის 1995-2005 წლის ხელოვნებისა და ხელოვანების სამოქმედო გეგმის ფარგლებში გამოცხადდა (City of Bergen's Action Plan for Arts and Artists 1995–2005 (The Arts Plan)). ეს იდეა 2007 წელს ხელახლა გააქვლია ფინანსთა, კულტურისა და სპორტის საკითხების კომისარმა.

³ პირველი ფართომასშტაბიანი კონფერენცია ბინალეების თემაზე 1997 წელს ჩატარდა ბელაჯიოში (იტალია). როკველერის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე თხუთმეტი კურატორი აფრიკიდან, აზიიდან, ამერიკიდან, ევროპიდან და აშშ-დან ფონდის საკონფერენციო და სასწავლო ცენტრში შეიკრიბა იმისთვის, რომ საერთაშორისო ხელოვნების გამოფენების სწრაფად განვითარებადი სფერო გაეხილა. ამას მოჰყვა უცხოური კულტურული ურთიერთობების ინსტიტუტის მიერ 'Institute for Foreign Cultural Relations – IFA (DE)' შესაბამისი კონფერენციების სერიის ორგანიზება კასელში („ბინალეების დიალოგი“, 2000), ფრანკფურტში (2002), სინგაპურში (2006) და შანხაიში (2008).

რომელიც აქ თანამედროვე ხელოვნების უმთავრესი დაწესებულებაა, ქალაქს ბინალეს მაგივრად კონფერენციის ფორმის სადისკუსიო პლატფორმის ორგანიზება შესთავაზა.² ქალაქმა უარი თქვა (ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც) გამოფენის ორგანიზებაზე. ბერგენის ბინალე-კონფერენციამ თავი მოუყარა ოცდათორმეტ კურატორს, ხელოვნებათმცოდნეს, ხელოვანსა და მოაზროვნეს მთელი მსოფლიოდან, რათა მათ ერთად განეხილათ ბინალეს, როგორც ინსტიტუციის, პრაქტიკა და პოტენციალი. კონფერენცია, რომელიც დღეს არსებული ბინალეების ფენომენის ყველაზე ფართო განხილვის შემთხვევად ითვლება, მიზნად ისახავდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არსებული „ბინალეს ცოდნის“ კვლევასა და იდენტიფიცირებას. შეხვედრა შედგებოდა დარგის წამყვანი სპეციალისტების თაოსნობით გამართული სამდღიანი ლექციების, საჯარო დიალოგისა და სემინარის ტიპის ვორქშოფებისგან.³

კონფერენციის დასრულების შემდეგ გამოიცა ბინალეს ქრესტომათია, თანამედროვე ხელოვნების მრავალწლიანი ფართომასშტაბიანი გამოფენების ანთოლოგია (The Biennial Reader, an Anthology on Large-Scale Perennial Exhibitions of Contemporary Art). კრებულში შევიდა მსოფლიოში შეგროვებული ტექსტების ხელახლა გამოცემული ვერსიები და წამყვანი სპეციალისტების, კურატორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და მოაზროვნეების მიერ დაწერილი ტექსტები. მრავალწლიანი გამოფენების ფორმატის ისტორიისა და თეორიის შესახებ არსებული მასალის სიმწირის გამო, გამოცემა მიზნად დაისახა, გამხდარიყო პირველი ცნობარი-სახელმძღვანელო ბინალეების შესახებ, რომელიც იკვლევდა ხელოვნების, თეორიული, პოლიტიკური თუ სხვა ამბიციების მქონე ფართომასშტაბიან საგამოფენო პროექტებსა და მათ შედეგად ორგანიზებულ გამოფენებს. ბინალეს ქრესტომათია მოიცავდა პასუხებს არა მარტო იმ კითხვებზე, რომლებიც იძიებდა, საჭიროა თუ არა ბინალე, არამედ ეხმაურებოდა იმ პრობლემებსაც, რომლებიც საერთაშორისო ხელოვნების სამყაროს აწუხებდა. ბერგენის ადგილობრივი დილემა ხომ დღესდღეობით მსოფლიოს მრავალი ქალაქის პრობლემას მიესადაგება.

ბინალეს ფენომენის ზუსტი ან აბსოლუტური განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა ბინალეთა რაოდენობა და გავლენა ხელოვნებასა და სახელოვნებო დაწესებულებებზე მსოფლიოს მასშტაბით აუცილებლად მოითხოვს მის შესწავლას. არსებულ ეჭვს იმის შესახებ, საჭიროა თუ არა დღეს ბინალე, შესაძლოა სხვა კითხვით ვუპასუხოთ: რა და როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი ბინალეზე? შესაძლოა, ეს საინტერესო იყოს თბილისისთვის.

მარიეკე ვან ჰალი

Biennial Foundation-ის დირექტორი

იმოქმედე ლოკალურად, გაათართოვე კავშირები (რეგიონალური ქსელების შესახებ)

ბინალუმი – რისი შემოთავაზება შეუძლიათ მათ?

უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომეცა, ჩამოვსულიყავი თბილისში და შევხვედროდი ჩემს კოლეგებს, რომლებიც, ჩემი არ იყოს, დაინტერესებული არიან ხელოვნების სფეროში ჩატარებული კვლევისა და მიღებული გამოცდილების საკითხებით.

მსურს, ვილაპარაკო სხვადასხვა ბინალუმიებსა და განმეორებით ორგანიზებულ გამოფენებზე, რომლებსაც რეგულარულად ვესწრები. ჩემი მთავარი მიზანია, გამოვყო ის, რაც მათში მიზიდავს და რაც შესაძლოა სხვებისთვისაც გამოსადეგი აღმოჩნდეს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვრო, რომ ბინალე სხვა არაფერია, თუ არა გამოფენა ან ღონისძიება, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება. ეს იმას ნიშნავს, რომ მისი დაგეგმვა გრძელვადიან პერსპექტივაში ხდება.

არის თუ არა ბინალე თბილისისთვის შესაფერისი ფორმატი, გარეშე პირთა გადასაწყვეტი არაა, თუმცა რამოდენიმე კონკრეტულმა მაგალითმა შესაძლოა ამ საკითხის განხილვას ხელი შეუწყოს.

როგორც ყველამ ვიცით, ხელოვნება სწრაფად ცვლებადი სფეროა. ჩემნაირი პროფესიონალისთვისაც კი პრაქტიკულად შეუძლებელია, თვალი გაადევნოს თუნდაც მის უშუალო გარემოში მიმდინარე ყველა მოვლენას.

მიუხედავად ამისა, როგორც ხელოვნების ჟურნალის რედაქტორი,

მე მუდმივად იძულებული ვარ, მივიღო გადაწყვეტილებები: რომელი გამოფენის შესახებ განვათავსოთ ჟურნალში ინფორმაცია, რომელი ხელოვანების შესახებ მოვუყვებ მკითხველს, რომელი ღონისძიებების შესახებ გავაკეთოთ რეპორტაჟი... ყველა ეს გადაწყვეტილება ჩვენი ჟურნალისტური მუშაობის ნაწილია.

ამიტომაც ინფორმირებულობა და იმის შეფასება, რასაც ვხედავ, ჩემთვის მოტივაციის მთავარი წყაროა. ჩვეულებრივი ამბავია, მოგზაურობა ბინალურს ან სხვა დიდი გამოფენის სანახავად პატარა ღონისძიებებთან დააკავშირო. ხშირად ეს შესაძლებლობას იძლევა, ხელოვანების ნიმუშები შედარებით კომპაქტურ არეალში დაათვალიერო.

ადგილები, რომელთა შესახებაც ვილაპარაკებ, მხოლოდ პირადი არჩევანია. თუმცა იმედი მაქვს, რომ მათთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ნიშანი, რომელსაც განვიხილავ, შეეხმიანება თქვენ მიერ სხვაგან შეძენილ გამოცდილებას. დავინწყებ ყველაზე უფრო ნათელი მაგალითით:

ვენეცია – „ბინალუმების დღე“

ვენეციის ბინალე 1895 წელს დაარსდა ქალაქის აქტიური მოქალაქეებისა და ხელოვანების ჯგუფის მიერ. დამფუძნებლების მიზანი იყო, დასავინყებლად განწირული (დღევანდელი გადასახედიდან წარმოუდგენელი იდეა) ვენეციის ტურისტულ ღირსშესანიშნობად ქცევა.

ბინალე იმთავითვე კულტურულ ღონისძიებასთან ასოცირდებოდა და მან ეს თვისება დღემდე შეინარჩუნა. ხელოვნება ისევეა მისი ნაწილი, როგორც სოციალური პლატფორმა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. როგორც დამთვალიერებელს, თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ, რატომ მიდიხართ იქ: წვეულებებისთვის, ხელოვნებისთვის თუ ყველაფრისთვის ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერ ცალკეულ ბინალეს უამრავი ნაკლი აქვს, მათგან ასევე ბევრი რამის სწავლაც შეიძლება:

ვენეციის ბინალეს მთავარი ხიბლი ქალაქის კულტურული მემკვიდრეობისა და თანამედროვე ჩარევის მჭიდრო ურთიერთქმედებაშია. ჯარდინის ეროვნული პავილიონებისა და არსენალეს გამოფენების გარდა, ამ ფანტასტიკურ ზღვისიპირა ადგილას, რომელიც ერთ დროს დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ შთავონების წყარო იყო, ბევრი შოუ და ღონისძიება ტარდება. ნამუშევრები, რომლებმაც წლების მანძილზე ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ხშირად ძალიან დეტალურად იყო დაგეგმილი კონკრეტული შენობის ან სივრცის გათვალისწინებით.

მსურს, მხოლოდ რამოდენიმე მაგალითი დავასახელო:

- რაგნარ კიარტანსონი ისლანდიის პავილიონში 2009 წელს: ის უბრალოდ იქ გადავიდა საცხოვრებლად რამოდენიმე მეგობართან ერთად, მოაწყო სტუდია და სოციალურად ძალიან აქტიურ ცხოვრებას შეუდგა. ნამუშევარს ერქვა „დასასრული“. მთლად ნათელი არ იყო, რის დასასრულს ზემოზდა ეს მხიარული ჯგუფი – ტურისტული ქალაქის დასასრულს, ხელოვნების დასასრულს, ბიენალეების, როგორც უზარმაზარი საერთაშორისო ხელოვნების ღონისძიებების, დასასრულს თუ რაიმე სხვას;
- შემდეგი დასამახსოვრებელი ნამუშევარი იყო ხორხე მაკისა და ედგარდო რუდნიცკის მიერ 2005 წელს გაკეთებული აუდიოინსტალაცია „მიძინება“. ნამუშევარი წარმოდგენილი იყო მღვდლების ყოფილ სასწავლო კოლეჯში, სადაც XVIII საუკუნის ფრესკაზე ღვთისმშობლის მიძინებაა გამოხატული. მაკიმ ააგო ბატუტი, რომელიც ჭერის მოხატულობის ფორმას იმეორებდა. რუდნიცკიმ დანერგა მუსიკა, რომელიც თითქოს რიტმულ ხტუნვასა და ჭერის შეწვდომის უსარგებლო მცდელობას ეხმიანებოდა და იმისკენ იყო მიმართული, რომ ღრუბლებს შორის გაუჩინარებული მადონას სფერულ ნახატს შერწყმოდა (www.jorgemacchi.com);
- ან კაბაკოვის მიერ 2007 წელს დამზადებული „ტოლერანტობის გემი“, რომლის აფრებიც ადგილობრივმა ბავშვებმა მოხატეს.

კიდევ ბევრი მსგავსი მაგალითის დასახელება შეიძლებოდა. თუმცა მე იმის აღნიშვნა მინდა, რომ ამ გაბნეული ნამუშევრების ძიება ვენეციის ბიენალეს სტუმრობისას ერთგვარ სირთულეს ქმნის როგორც უბრალო დამთვალეიერებლისთვის, ისე პროფესიონალებისთვისაც. ყველა ჭერზე აცნობიერებ, რომ გამოფენა მთლიანად არავის დაუთვალეიერებია და არ არსებობს ორი ადამიანი, რომლებსაც ერთი და იგივე ნამუშევრები ექნებათ ნანახი.

ეს, რა თქმა უნდა, ბევრ სხვა ბიენალესაც ეხება, მაგალითად, იმას, რომლებიც სტამბულსა ან ტირანაში იმართება. აქ ხელოვანთა გამოგონებები ცვალებად სივრცეში ხორცილედება, რის გამოც ქალაქი მუდმივი ექსპერიმენტის ადგილია.

ბიენალეს ხიბლი ასევე კოლექტიურ კურატორობაშიც მდგომარეობს:

- ეროვნულ პავილიონებს ჰყავთ სხვადასხვა კურატორები;
- ხანდახან ერთზე მეტი კურატორი ჰყავს არსენალეს.

ამიტომაც ბიენალე არასდროს არის აბსოლუტურად ცუდი ან კარგი. ის იმ ბაზარს ემსგავსება, სადაც დადიხარ და ცდილობ, გაესაუბროთ ხელოვანებს, კურატორებს, ჟურნალისტებს, დამთვალეიერებლებს და საინტერესო პროდუქცია ასე გამოხშირო.

ბიენალეს სპეციფიკური დისკურსიული ხასიათი საზოგადოებრივ დონეზე მედიის ცოცხალი განხილვის საგანი ხდება. მიუხედავად იმისა,

რომ გამოძახილი თითქმის ყოველთვის კრიტიკულია, ის ყოველთვის ძალიან დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოებაში, რომელსაც შემდგომში თვითონ სურს, შეაფასოს გარკვეული ნამუშევრები.

ვენეციის უდიდესი არქიტექტურული და კულტურული მემკვიდრეობა ხიფათის მატარებელიცაა: ის არ არის დამოკიდებული ადგილობრივ ხალხზე. თუმცა, თავადვე მიხვდებოდით, რომ ეს ყველგან სხვადასხვაგვარად ხდება.

მანიფესტა – ევროპული ბინალე

მანიფესტას ორგანიზება ხდება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ დანიშნული კურატორის მიერ. ჩვეულებრივ, ეს კოლექტივია. ბინალე ევროპის სხვადასხვა მასპინძელ ქალაქში ან რეგიონში იმართება და მისი მიზანია „ცოდნის გადაცემა“. მისი ნაკლებად ბიუროკრატიული ადმინისტრაციული სტრუქტურის შტაბბინა ამსტერდამშია, ღონისძიებები კი იმართება როტერდამში, ლუქსემბურგში, ლიუბლიანაში, ფრანკფურტში, სან სებასტიანში, ნიქოზიაში, ტრენტინოში ან, როგორც ამჟამად, ესპანეთში – მურსიასა და კართაგენში.

განსაკუთრებით კარგად დამამახსოვრდა ლიუბლიანას მანიფესტა, რომელიც ევროპაში ომისშემდგომი იდეოლოგიების ფრაგმენტაციას მიეძღვნა. ბევრი ნამუშევარი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათი ავტორების საცხოვრებელ პირობებთან და მკვეთრად ასახავდა მათ ბიოგრაფიულ გამოცდილებას. ჩემთვის სიურპრიზი იყო ერთ-ერთი ნამუშევარი:

- პაველ ალთამერის პერფორმანსი საზოგადოებრივ ადგილას: მაყურებელი წრეზე იჯდა და პერფორმანსის დაწყებას ელოდა. რაღაც მომენტში საზოგადოების ნაწილი წავიდა, ნაწილმა კი პატარა გზამკვლევის კითხვა დაიწყო და უცბად მიხვდა, რომ ის, რაც მასში იყო აღწერილი, უკვე ხდებოდა – მოხუცი კაცი მტრედებს აჭმევდა, შეყვარებული წყვილი ერთმანეთს ეკვკლუცებოდა, გადამღები ჯგუფი ფილმს იღებდა... მხოლოდ ამ ყოველდღიური სცენების გამეორებამ დაგვანახა ჩვეულებრივ საქმიანობათა დახვეწილობა და მნიშვნელობა.

ევროპული ბინალეს ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი ისაა, რომ მას მკვეთრად შემოფარგლული გეოგრაფიული ტერიტორია აქვს. როგორც ევროპული დამთვალეიერებელი, თქვენ ხედავთ იმ კულტურას, რომელიც თქვენს სიახლოვეს იმყოფება, მაგრამ, ჩვეულებრივ, თქვენთვის უჩინარია.

პასელის დოკუმენტა

ვენეციის ბიენალეს შემდეგ ყველაზე დიდი საერთაშორისო გამოფენა, სავარაუდოდ, კასელის დოკუმენტაა. ის 1955 წელს დააარსა არნოლდ ბოდემ, რათა ომისშემდგომი გერმანული ქალაქი ტურისტებისთვის უფრო მომხიბვლელი გაეხადა. თავდაპირველად მისი ჩატარება ყოველ მეოთხე წელს, მოგვიანებით კი – ყოველ მეხუთე წელს დაიგეგმა.

როგორც სახელწოდება გვამცნობს, გამოფენის მიზანი ომისშემდგომ გერმანიაში არსებული დეფიციტის შევსება იყო. ის ცდილობდა, ხელოვნებაში მიმდინარე პროცესები დოკუმენტურად აესახა და დამთვალეიერებისთვის მიენოდებინა ინფორმაცია, რომელიც ნაციისტური მმართველობის დროს ხელმისაწვდომი არ იყო. დაარსებიდან ძალიან მალე გამოფენას დიდი წარმატება ხვდა წილად. ბოლო დოკუმენტას 750, 000 დამთვალეიერებელი ჰყავდა, მათგან მესამედი უცხოელი იყო, 57% კი წინა გამოფენებზეც იყო ნამყოფი.

არ მსურს, გამოფენის განვითარების შესახებ ბევრი ვილაპარაკო. ყურადღებას მხოლოდ მისი გადარჩენის სტრატეგიაზე გავამახვილებ. არნოლდ ბოდე ძალიან ქარიზმატული პიროვნება გახლდათ. მან მოახერხა, შეექმნა მეგობრებისა და მხარდამჭერების უზარმაზარი წრე, რომელიც დააკავშირებდა ქალაქ კასელთან, ჰესენის რეგიონთან და მთელ გერმანიასთან.

თავის დღიურებში ბოდე საუბრობს არა მხოლოდ ინტელექტუალური კონცეფციისა და სხვადასხვა წელს განხორციელებული დოკუმენტას შესახებ, არამედ მხარდამჭერებსა და სრულიად უმნიშვნელო დეტალებზეც კი, მაგალითად, თუ სად შეეძლო გამოფენაზე მოსულ დამთვალეიერებელს სოსისის ჭამა.

მედიმებოდა, როცა ამ ადგილს ვკითხულობდი, რადგან ისე გამოდიოდა, თითქოს მას ჰუმანისტური მოსაზრებები ამოძრავებდა და, ამავე დროს, ზუსტად ჰქონდა გათვალისწინებული, რა სჭირდება სტუმარს, რომელიც ხელოვნების ნიმუშებს საათობით ათვალეიერებს.

სწორედ სხვადასხვა ინდივიდისა და ჯგუფისგან შემდგარი მყარი საფუძველი გახდა საწინდარი იმისა, რომ ყველაზე მკაცრმა კურატორებმაც კი (მაგალითად, ბიურგელ/ნოვაკი) ვერ შეძლეს, შეესუსტებინათ ქალაქის გრძელვადიანი ერთგულება პროექტის მიმართ, მიუხედავად იმისა, რომ მას არ გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი თანამედროვე ხელოვნების განმეორებითი ფართომასშტაბიანი გამოფენის ჩასატარებლად.

SKULPTUR.PROJEKTE

Skulptur.Projekte წარმოადგენდა კასპარ კიონიგისა და კლაუს ბუსმანის პასუხს 1973 წლის სახალხო პროტესტზე გეორგ რაიკის აბსტრაქტული სკულპტურის წინააღმდეგ (სამი მოძრავი კვადრატი), რომელიც მიუნსტერის ერთ-ერთ პარკში დაიდგა. პროექტი პირველად 1977 წელს განხორციელდა და ყოველ ათ წელიწადში ერთხელ მეორდება. ბოლოს ის 2007 წელს ჩატარდა.

კონცეფციის თანახმად, ქალაქში იწვევენ ხელოვანებს, რომლებსაც ეძლევათ უფლება, აირჩიონ ადგილი, სადაც წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევარს. სკულპტურები მთელ ქალაქში იდგმება. ეს მას აქცევს საჯარო ლაბორატორიად, სადაც საზოგადოებრივ სივრცეში მოთავსებული ხელოვნების ნიმუშებისა და მათი გარემომცველი ურბანული კონტექსტის ურთიერთობის კვლევა ხორციელდება.

პროექტი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ზოგიერთი ნამუშევარი ქალაქმა იყიდა და ის მისი ნაწილი გახდა, ზოგიერთი რამდენიმე ეგზემპლარის სახით არსებობს, მაგალითად:

- ჯერემი დელერის ნარგავების პროექტი. მან 2007 წელს დაარიგა პატარა ხის თესლები, რომელთა აყვავებასაც დაახლოებით 10 წელი სჭირდება. წარმატებული გამოდგება თუ არა პროექტი, მხოლოდ შემდეგი გამოფენის დროს, 2017 წელს, შევითვობთ.
- მაიკლ ეშერის „ქარავანი“, რომელიც პირველი გამოფენის ნაწილი იყო, მრავალჯერადი პროექტი გახდა და ყოველ ათ წელიწადში ერთხელ გამოჩნდება ხოლმე ქალაქის სხვადასხვა ნაწილში.

Skulptur.Projekte-მ დიდი გამოძახილი ჰპოვა ადგილობრივ მოსახლეობასა და ორგანიზაციებში. მართალია, დასაწყისში ვანდალიზმის შემთხვევებიც იყო (რამდენიმე ადამიანი შეეცადა, ოლდენბურგის „ბურთები“ ახლომდებარე ტბაში ჩაეგდოთ), მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ზოგიერთი ყველაზე საკამათო ნამუშევარი ტურისტულ ღირსშესანიშნაობად იქცა ან მოგვიანებით საზღვარგარეთ გაიყიდა, რამაც სახელი გაუთქვა ქალაქს.

ბერლინის ბიენალე

ბიენალეს 1998 წელს ჩაუყარეს საფუძველი კლაუს ბიზენბახმა, ჰანს-ულრიხ ობრისტმა და ნენსი სპექტორმა. ის სხვადასხვა ადგილას ტარდება ხოლმე. მინდა, გავისხენო ერთი ნამუშევარი გამოფენიდან, რომლის კურატორიც 2008 წელს ადამ ჩიმჩიკი იყო. ერთ-ერთი საგამოფენო სივრცე მდებარეობდა მის ვან დერ როეს მიერ აგებულ ახალ ეროვნულ გალერეაში. ნამუშევრების უმეტესობა, რომლებიც წარმოდგენილი იყო ამ მონუმენტურ საკულტო ნაგებობაში, ჩამოშვავდა კომენტარს თავად შენობის საერთაშორისო არქიტექტურული ენის

მთავარი მახასიათებლების შესახებ, მაგალითად:

- სუზან ჰილერის „მუნჯი კინო, 2007“ იყო ფილმი ან უფრო სწორად აუდიონამუშევარი თითქმის გადაშენებული ენების შესახებ. ხალხს შეეძლო, მოესმინა ამ ენაზე აჟღერებული საუბრების ნაწყვეტები და წაეკითხა სუბტიტრების სახით მოცემული თარგმანი. ეს ძალიან შთამბეჭდავი კომენტარი იყო ადგილობრივი კულტურების შესახებ, რომლებსაც გლობალური საერთაშორისო ესთეტიკური და კულტურული მოძრაობების მხრიდან განადგურება ემუქრება.

ბიენალე – გამოსახულება მოძრაობაში

მინდა, მოკლედ მოგიხროთ მცირემასშტაბიანი შვეიცარული ინიციატივების შესახებ, რომლებიც კონკრეტულად ადგილობრივ მოსახლეობაზეა გათვლილი.

ბიენალე – გამოსახულება მოძრაობაში 1985 წელს დააარსა ანდრე იტენმა, ჟენევის თანამედროვე გამოსახულების ცენტრის დირექტორმა. დანესებულებას მუდმივად არ ჰყოფნიდა დაფინანსება. თუმცა,



Susan Hiller,
"The Last Silent
Movie", 2008, Neue
Nationalgalerie,
Berlin Biennial

სუსან ჰილერი,
„უკანასკნელი მუნჯი
კინო“, 2008, Neue
Nationalgalerie,
ბერლინის ბიენალე

მიუხედავად ამისა, ამ წამოწყებამ, როგორც თემატურმა ბიენალემ, მაინც შეძლო ძალიან სპეციფიკური რეპუტაციის მოპოვება. ის ისტორიაში შევიდა როგორც ვიდეონამუშევრების, ხელოვანთა

ფილმებისა და მულტიმედია ნამუშევრების ჩვენებისადმი მიძღვნილი ყველაზე ადრინდელი ღონისძიება. დამაარსებლის გარდაცვალების შემდეგ ინიციატივამ, რომელსაც სათავეში ჟენევის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის წარმომადგენელი კატია გარსია-ანტონი ჩაუდგა, სახე იცვალა და მას „მოძრავი გამოსახულება“ დაერქვა. აქ მუდმივად იფინება ანდრე იტენის ფონდიდან აღებული ნამუშევრები. ერთი მხრივ, ბიენალეს ფორმატი გაქრა, მაგრამ, მეორე მხრივ, პროექტი მდგრადი აღმოჩნდა: დამაარსებლის ინტერესმა მოძრავი გამოსახულების მიმართ სხვა ფორმით გააგრძელა არსებობა.

ბერნის ბიენალე

ბერნის ბიენალე 1999 წლიდან არსებობს. თავიდან ეს იყო მუსიკის ფესტივალი, ვიდრე 2003 წელს ეკონომიკური მიზეზების გამო ხელოვნებისა და სამუსიკო სკოლების გაერთიანებამ მისი ფორმატი არ შეცვალა. ყოველივე ამან თანამშრომლობის ახალი ფორმები წარმოშვა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სხვადასხვა პროექტში სტუდენტების ჩართვას, რაც „ახალწვეულთა მხრიდან ხელოვნების სფეროში ერთგვარი შენატანია“.

განსაკუთრებული შთაგონების წყაროდ მე მაინც რამდენიმე ერთობლივ პროექტს მივიჩნევ, რომელშიც ვიზუალური სფეროს წარმომადგენელ ხელოვანებთან ერთად მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ, მაგალითად:

- თომას სტრუთი და ფრენკ ბუნგარტენი, შვეიცარელი გიტარისტი და ხელოვანის მეგობარი. მათ ორი ეკრანის საშუალებით გააკეთეს ვიდეოინსტალაცია, რომელიც მრავალ საათს გრძელდება და ბუნგარტენის მიერ ჩატარებულ გიტარის ხუთ გაკვეთილს გვიჩვენებს. ნელ-ნელა გამოსახულება სტუდენტების ჯგუფის ინტიმურ სურათად გარდაიქმნება და ასახავს მათ მუშაობას კონკრეტულ მუსიკალურ ნაწარმოებზე. ისინი სულ ერთსა და იმავეს იმეორებენ და ამასობაში ძალიან დახვეწილი ნიუანსები გამოაშკარავდება. ეს ძალიან შთამბეჭდავი გამოცდილებაა, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვანია ვარჯიში და დისციპლინა ხარისხის მისაღწევად, განსაკუთრებით მუსიკაში (გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე ვიზუალური ხელოვნების შემთხვევაში).

აპენცელის ბიენალე

ვირტუალური ბიენალე პირველად დოკუმენტა 11-ის დროს დაიწყო და წარმოადგენდა კომენტარს ორი ახალგაზრდა კურატორისა და ერთი ხელოვანის (პეტერ სტოფელის, ქრისტიანე რედაკეს, ემანუელ გაისერის) მიერ გამართულ უზარმაზარ ღონისძიებაზე. ის

რამდენიმე ადგილას ჩატარდა, მათ შორის, შვეიცარიის პატარა ქალაქ აპენცელშიც, სადაც ქუჩაში განათებულ ყუთში წარმოდგენილი იყო დანიელი ხელოვანის სიმონ სტარლინგის ნამუშევარი. ნამუშევარი აჩვენებდა გატეხილ და აღდგენილ კბილს და მას ერქვა „კინცუგი“ (ეს იაპონური გამოთქმაა, რომელიც გატეხილი თიხის ჭურჭლის აღდგენას აღწერს). ახლა ბიენალეს ორგანიზატორები ცდილობენ, მიიღონ უფლება ზაფხულში ოლაფ ნიკოლაის ნამუშევრის შვეიცარიის მაღალმთიან რეგიონში განხორციელების თაობაზე. გეგმის მიხედვით, უნდა გაშენდეს ედელვასისების მინდორი. ეს ძალიან იშვიათი, დაცული ყვავილია, რომელიც პრაქტიკულად გაქრა ალპებიდან, მაგრამ კვლავ რჩება შვეიცარული სუვენიერების აუცილებელ ატრიბუტად.

ანარქიული ტიპის ბიენალე ჯაკვიანური იდეაა, რომელსაც უფრო ფართო დისკუსიის გამოწვევა შეუძლია. ბიენალეს ეტიკეტი, რომელიც პატარა, მაგრამ ამბიციურ პროექტს მიაწვდის, აღძრავს ინტერესს, რომელიც სხვა შემთხვევაში ალბათ შეუმჩნეველი დარჩებოდა. როგორც რედაქტორს, შემოიძლია ვთქვა: ცხადია, ჩვენ მივუძღვინით რეპორტაჟს ამ ღონისძიებას, რადგან ეს კარგი შესაძლებლობაა, რომ ბიენალეს ფორმატის აზრისა და უაზრობის შესახებ ვიკამათოთ.

ვიდრე ამ მოკლე მიმოხილვას დავასრულებ, მსურს ვახსენო ადგილობრივი ინიციატივაც, რომელსაც ზოგიერთი თქვენგანი სავარაუდოდ უკვე იცნობს.

თბილისის სტუდია

2004 წელს ხელოვნების ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორიის (თბილისი), ხელოვანთა ჯგუფისა და შვეიცარიელი კურატორის დანიელ ბაუმანის თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა პროექტი „სამშაბათი გავიდა“ (<http://www.tuesdayisgone.com>). პროექტის განხორციელებისას ჯგუფი თანამედროვე ხელოვნების სივრცის არარსებობასთან დაკავშირებული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენდა სამხატვრო აკადემიაც, რომელიც რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესებში იყო ჩართული. რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წელს მომხდარი ომის გამო ეს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა: ბევრმა ადამიანმა დატოვა ქვეყანა, მათ შორის ახალგაზრდა ხელოვანებმაც.

ამ სიტუაციაში ხელოვნების ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორიამ ლუიზა ლაფერაძესთან, ხელოვანებთან – გელა პატაშურთან და დანიელ ბაუმანთან ერთად დააარსა თბილისის სტუდია (www.tbilisi2.com, www.tbilisi3.com...), რომელიც ბინსა და სასწავლო კომპონენტისგან შედგება. ბინა ის ადგილია, სადაც ახალგაზრდა სტუდენტებს შეუძლიათ ერთმანეთს შეხვდნენ და თანამედროვე ხელოვნება და მისი ტექნიკები შეისწავლონ. პროექტის

მიზანია ადგილობრივი გარემოს ამოძრავება და მისი საერთაშორისო გარემოსთან დაკავშირება.

ეს გამოფენები გვიჩვენებს წლების განმავლობაში ობიექტებიდან



“Tbilisi Studio,
2004 ...”, Tbilisi (www.tbilisistudio.org)

„თბილისი სტუდიო,
2004...“, თბილისი
(www.tbilisistudio.org)

პერფორმატიული პროექტებისაკენ, ბაზრიდან – საცხოვრებელ გამოცდილებაზე გადასვლას. ეს ის სივრცეა, სადაც შესაძლებელია დისკუსიების გამართვა და საერთაშორისო ქსელის ბაზის შექმნა. ამგვარი ან ახლად დაარსებული თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისის მსგავსი ადგილების არსებობა გვარწმუნებს, რომ ნაბიჯი სასურველი მიმართულებით გადადგმულია. ეს ხელს უწყობს ურთიერთობების, თანამშრომლობისა და მრავალჭერადი გაცვლის განვითარებას, რაც ხელოვანთა მდგრადი ქსელის ყოველგვარი განვითარების საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვეულებრივ, ბიენალეს საფუძველი ეყრება როგორც ქალაქის ხელოვნებისა და ტურისტული ცხოვრების გამოსაცოცხლებლად მიმართულ ადგილობრივ ინიციატივას. ისინი სოკოებივით ამოყოფენ ხოლმე თავს, ბევრი მათგანი თითქოს ვაკუუმშიც კი ხორციელდება. მიუხედავად ამისა, მრავლადაა შთაგონების მომცემი მაგალითი,

რომელიც წარმოდგენას გვიქმნის როგორც მასპინძელი ადგილის, ისე დამთვალეირებლების შესახებ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბიენალე ან რომელიმე სხვა არსებული ფორმატი პერსპექტივაში აღიქმება, რაც შესაძლოა საზოგადოებრივი დაფინანსების მოპოვებაში დაგვეხმაროს. თანაც ეს დამოკიდებულია არა მასშტაბსა ან არსებულ ინფრასტრუქტურაზე, არამედ ღონისძიების პროფილსა და მისი შემქმნელების ჩართულობაზე. თუკი არ არსებობს ინტერესი ადგილობრივი სცენის მიმართ, შეუძლებელია კავშირი დაამყარო საერთაშორისო დონეზე. ბიენალეს, რომელიც ძლიერადაა მიჯაჭვული ადგილობრივ გარემოს, უკეთესი შანსი აქვს, გაიბრწყინოს უფრო მასშტაბურ კონტექსტში. ამგვარად, ადგილობრივი საფუძველი და გლობალური კავშირების დამყარება, როგორც ჩანს, კარგი სტრატეგიაა.

ზოგიერთი ძირითადი შეკითხვა:

- რა არის თქვენი მიზანი?
- რომელია ის ადგილობრივი ღირებულებები, რომლებიც თბილისის უნიკალურობას განსაზღვრავს?
 - კულტურული მემკვიდრეობა.
 - ადგილობრივი თემი, ხელოვანთა ჯგუფები...
- ვინ შეიძლება გახდეს თქვენი მოკავშირე?
 - ადგილობრივი ქსელი;
 - არსებული სტრუქტურები.
- ვინ შეიძლება იყოს თქვენი აგენტი – კურატორი, კრიტიკოსი, ხელოვანი – და რა ფორმით შეიძლება მათი დაინტერესება მონაწილეობის მისაღებად?
- როგორ შეიძლება სტრუქტურული და ფინანსური ბაზის აგება?
 - კერძო პირები;
 - ტურისტული კომპანიები;
 - პოლიტიკური მხარდამჭერები.
- ვინ არის თქვენი აუდიტორია?
- რა მოთხოვნები აქვს აუდიტორიას და რა კონკრეტული კომუნიკაციის საშუალებებია ამისთვის საჭირო?

დღეს აქ იმისთვის შევიკრიბეთ, რომ ზემოთ აღნიშნული საკითხები განვიხილოთ და მე ძალიან მაინტერესებს, ეს რა შედეგს გამოიღებს. ვიმედოვნებ, ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს და ვნახავთ, რით დასრულდება პროცესი.

კლაუდია იოლესი

Kunsbulletin-ის მთავარი რედაქტორი

ქალაქის ბრენდირება: ჰოლონის შემთხვევა ორი პროექტის მაგალითზე – ‘Jesse Cohen’ და ‘Weizman Rally’

ჰოლონი თელ-ავივის სამხრეთით მდებარეობს და სიდიდით ისრაელის მეცხრე ქალაქია, რომლის მოსახლეობაც 170 000 ადამიანს შეადგენს. ჰოლონი მრავალმხრივ შეიცვალა, მოხდა მისი რებრენდირება, რის შედეგადაც, როგორც კულტურული ცენტრი, იგი თელ-ავივის კონკურენტად იქცა.

ეს პროცესი იდენტიფიცირდება ქალაქის ადმინისტრაციასთან და მის დღევანდელ მერთან, რომელიც უკვე 15 წელზე მეტია მართავს ჰოლონს. ბრიტანულმა ჟურნალმა ‘Monocole’ ჰოლონის მერი მსოფლიოს 10 ყველაზე წარმატებულ მერთა შორის დაასახელა, რაც ამ ქალაქის აღიარებაა. ისრაელის სიდიდით საშუალო ქალაქი მსოფლიოს კულტურულ რუკაზე დაიტანეს, რაც, თავის მხრივ, ხუთი მუზეუმის არსებობამ განაპირობა. ესენია: ბავშვთა მუზეუმი; დიגיტალური ხელოვნების მუზეუმი; მედიათეკა (Mediateque), რომელიც მოიცავს კომიქსების მუზეუმს, მედია ბიბლიოთეკას, ბავშვთა თეატრს; სინემათეკა (Cinemateque) და დიზაინის მუზეუმი. ეს ქალაქის უმნიშვნელოვანესი პროექტია. ჰოლონის თავზე განთავსებულია ხუთი სხვა გალერეა, რომლებიც უკვე ერთი წელია მოქმედებს და სხვადასხვა ფესტივალებსა და კულტურული ღონისძიებებს მასპინძლობს.

ქალაქმა ხელოვნებისა და კულტურის ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით მოახერხა, ხელახლა დაემკვიდრებინა თავი, მიეზიდა არა მხოლოდ ხელოვნებისა და კულტურის სფეროში მოღვაწე საზოგადოება, არამედ საშუალო ფენის ჩვეულებრივი მოსახლეობაც.

აღსანიშნავია, რომ ხელოვნებისა და კულტურის დახმარებით ქალაქის რებრენდირების შემთხვევა ხშირია და ამ ხერხს მიმართავენ არა მგავალი სხვები, არამედ პერიფერიული ქალაქები. საინტერესოა ისიც, რომ თელ-ავივის ირგვლივ მდებარე ყველა ქალაქში არსებობს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, რომელიც წარმატებით ფუნქციონირებს და პოპულარობითაც სარგებლობს. ეს ფაქტი სხვა თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია – იცვლება ე.წ. „მძინარე ქალაქის“ იმიჯი, თანდათან ჩნდება ადგილი, სადაც დიდია მოთხოვნა თანამედროვე ხელოვნებასა და კულტურაზე. ორ ამგვარ ქალაქში – სამხრეთით ბატ-იამში (Bat Yam) და ჩრდილოეთით ჰერტელიაში (Herteliya) – გაჩნდა მცდელობა, დაეარსებინათ ხელოვნებისა და არქიტექტურის გრძელვადიანი ბიენალე. ამ ღონისძიებათა მხარდასაჭერად ქალაქი ფართომასშტაბიან ინვესტიციებს გაიღებს და ეს იქნება ერთგვარი ორიენტირი ურბანული ცვლილებებისთვის.

ჰოლონის კულტურულ დაწესებულებები ფინანსდება არა კერძო წყაროებიდან, არამედ ქალაქის ბიუჯეტიდან. იგივე ითქმის ყველა სპორტულ და გასართობ სივრცეზე. ისინი ქალაქის დაქვემდებარებაშია და საზოგადოებრივი დაფინანსების საფუძველზე ფუნქციონირებს. ეს მართვის საუკეთესო გზაა. მსგავს სტრატეგიას მიმართავენ ისრაელის სხვა ქალაქებშიც, რომლებმაც უკანასკნელი 20 წლის მანძილზე შესაბამისი სფეროების პრივატიზება მოახდინეს.

თუმცა, ხელოვნებისა და კულტურის ინფრასტრუქტურაში ამდენად გრანდიოზული თანხების ჩადებას უარყოფითი მხარეც აქვს. არტსცენის შექმნა ხელოვნურად შეუძლებელია. შესაბამისად, ინსტიტუციები ფუნქციონირებენ საზოგადოებაში, რომლისთვისაც სულაც არ წარმოადგენს აუცილებლობას, დაინტერესებული იყოს ზემოაღნიშნული საკითხით და ისინი, მეტწილად, ქალაქის სტუმრებს იზიდავენ. დიდი დრო დასჭირდება იმის გარკვევასაც, საერთოდ რამდენად განაპირობა ამგვარი ინვესტიციების არსებობამ ადგილობრივი არტსცენის შექმნა. ამჟამად, ყოველგვარი აქტივობა სრულად კონტროლდება ქალაქისა და საქალაქო ინსტიტუციების მიერ, ყველაფერი მათი ინიციატივით ხდება. ვიდრე არ გაჩნდება აქტიური, ტონის მიმცემი არტსაზოგადოება, ნებისმიერი მოვლენა სახელოვნებო და კულტურულ ინსტიტუციებთან იქნება დაკავშირებული. ინსტიტუციონალიზაცია დასრულებულია და, ამდენად, ყოველგვარი აქტივობა, შედარებით მარგინალური თუ უდიდესი მნიშვნელობის მქონე, ქალაქის ეგიდით მიმდინარეობს.

შეუძლებელია, ყურადღება არ მივაქციოთ იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ბრენდირებისა და ცვლილების პროცესს შორის. თუმცა ხანდახან მათი აღრევაც ხდება, რადგანაც არსებობს მოლოდინი, რომ ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული მოვლენები, ინსტიტუციები ან ბიენალე შეძლებს, შეცვალოს მთლიანად საზოგადოება ან მისი ნაწილი. მე მნამს, რომ თანამედროვე ხელოვნება არ არის მასებზე

გემოქმედების იარაღი. მას იშველიებენ ვინრო წრეებსა და ამა თუ იმ თემში, სადაც შესაძლებელია, რაიმე შეიცვალოს პოლიტიკური ან კრიტიკული მეთოდის გამოყენებით.

მეგაგამოფენებსა და სახელოვნებო ინსტიტუციებს ნამდვილად ძალუძს წვლილის შეტანა რებრენდირების პროცესში, თუმცა მათ განყვეტილი აქვთ კავშირი ადგილობრივ თემთან და მიმართულნი არიან საერთაშორისო თუ ეროვნულ არტსაზოგადოებაზე.

ნარმოგიდგენტ შესაძლო აქტივობათა ორ მაგალითს უკვე არსებული არტსცენის ფარგლებში, რომლებიც განახორციელა ისრაელის დი-გიტალური ხელოვნების ცენტრმა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ მუდმივად ხდებოდეს იმ როლისა და პასუხისმგებლობის გადახედვა, რომელიც გვეკისრება, როგორც ქალაქის დოტაციაზე მყოფ საჯარო არტსივრცეს. როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ ეს პრივილეგია, რათა შესაბამისობაში ვიყოთ პრობლემებთან, რომლებიც სასწრაფო გადაჭრას საჭიროებს? ამგვარი საკითხები უხვადაა ისრაელის საზოგადოებაში. ის, ერთი მხრივ, თვალს ხუჭავს მანკირებებზე, რომლებზეც თვითონაა პასუხისმგებელი, სხვა მხრივ კი, მეტად მგრძნობიარეა ნებისმიერი კრიტიკის მიმართ. რა შეგვიძლია გავაკეთოთ, რათა გავხდეთ ნაწილი იმ სოციალურ-პოლიტიკური რეალობისა, რომელშიც ვცხოვრობთ, თუ არადა, როგორ შევცვალოთ იგი?

‘Jesse Cohen’ ნარმოადგენს არტპროექტს, რომელიც ცდილობს, გამოიკვლიოს ხელოვნებისა და სახელოვნებო ინსტიტუციების როლი, როდესაც ისინი მოქმედებენ გვერდიგვერდ, ქალაქში ან გარკვეული საზოგადოების ფარგლებში. შემდგომი ორი წლის განმავლობაში პროექტის ყურადღების ცენტრში იქნება Jesse Cohen-ის მოსახლეობა ჰოლონის მეზობელად. Jesse Cohen არის იმიგრაციული ერთობა ჰოლონის მიმდებარე რაიონში. დღევანდელ რეზიდენტებს შორის არიან ახალი ემიგრანტებიც ეთიოპიიდან. ისინი შეუერთდნენ 90-იან წლებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩამოსულ ემიგრანტებს და მათ, ვინც კიდევ უფრო ადრე, 50-იან წლებში, გადმოსახლდა არაბეთის ქვეყნებიდან.

პროექტის უმთავრესი კონტექსტია ეთიოპიელების 130-ოდე ოჯახის გადმოსახლება (ადრე ისინი იუდეველები იყვნენ, შემდეგ რელიგია შეიცვალეს და გაქრისტიანდნენ). იუდაიზმზე გადასვლასთან დაკავშირებით, რასაც სახელმწიფო ითხოვს, მათ სერიოზული პრობლემები აქვთ, რთულია შეგუება ახალ კულტურულ და გეოგრაფიულ გარემოსთანაც.

პროექტი ეცდება, განსაზღვროს ხელოვნებისა და ტექნოლოგიის როლი და შესაძლებლობები, რათა მოხერხდეს იმ სპეციფიკური პრობლემების დაძლევა, რომელთა წინაშეც დგას მეზობელი რაიონების ესა თუ ის

თემი. უპირველეს ყოვლისა, არტპროექტების თვალსაწიერში მოექცევა სხვადასხვა თემზე ორიენტირებული კულტურული სივრცის შექმნა Jesse Cohen-ში. ცალკეული ინდივიდი თუ თემი უფლებამოსილი უნდა იყოს, ეძებოს თვითგამოხატვის გზები, გაიღრმავოს ცოდნა, გაერკვეს საკუთარ უფლებებში, ისარგებლოს სამთავრობო თუ მუნიციპალური ოფისების, ტექნოლოგიური ვორქშოფების ხელმისაწვდომობით და ა.შ. პროექტი ეცდება, შექმნას რეზიდენტთა ფართო წრეები, ჩააბას ისინი სხვადასხვა აქტივობაში და, ამგვარად, Jesse Cohen-ის მეზობელი რაიონის ცხოვრებაშიც. ყოველივე ამის განსახორციელებლად აუცილებელია:

- არტცენტრის გახსნა მეზობელ რაიონში;
- ხორცშესხმა არტპროექტებისა, რომლებიც დაგეგმილია სპეციალურად Jesse Cohen-ისთვის. ეს უნდა იყოს ხანგრძლივი და დამოუკიდებელი პროექტები, რომლებიც გათვლილი იქნება მონაწილეთა დიდ რაოდენობაზე მეზობელი რაიონებიდან;
- ვორქშოფების სერიის დამკვიდრება, რომლებიც გააღრმავებს



Daniel Landau, "Bustards, and election speech", part of the Weizman Rally project, Holon, September, 2010

დანიელ ლანდაუ, "Bustards, and election speech", პროექტ Weizman Rally-ის ნაწილი, ჰოლონი, სექტემბერი, 2010

ცოდნას ადგილობრივი გარემოს შესახებ, ასევე, სახელოვნებო და ტექნოლოგიური ვორქშოფების ჩატარება, რომლებიც ღია იქნება საზოგადოებისთვის.

პროექტის სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენენ როგორც Jesse Cohen-ის რეზიდენტები, ასევე სახელოვნებო საზოგადოებებიც. ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ არტპროექტის ახალი მოდელი, რომელიც მოერგება მულტიკულტურულ გარემოს და დაეფუძნება ერთიან, არაიერარქიულ სტრუქტურას. პროექტი ეყრდნობა სახელოვნებო

ინსტიტუციების, ხელოვანების, კურატორების, არქიტექტორების, სოცურუნველყოფისა და განათლების სისტემის, გარემოსდაცვითი ორგანიზაციებისა თუ სხვა სტრუქტურების უნიკალურ ალიანსს. ამგვარი ალიანსი ქმნის სამუშაო სივრცეს, რომელშიც ჩაერთვებიან ხელოვანები არასახელოვნებო ტიპის გადაწყვეტილებათა მისაღებად, ხოლო არასახელოვანები – სახელოვნებო ამოცანების დასაძლევად.

ვიმედოვნებთ, ამგვარი რადიკალური მიდგომა ხელს შეუწყობს, რომ შეიქმნას ახალი, მნიშვნელოვანი და ეფექტური მოდელი ხელოვნებისთვის, რაც ბიძგს მისცემს სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებას.

მეორე პროექტი – ‘Weizman Rally’ – იყო ძალზე ხანმოკლე ღონისძიება, რომელიც გაიმართა ერთ-ერთ მოედანზე (Weizmann Square) ძველი პოლონის ცენტრში.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი საღამოს მანძილზე ვაიციანის სკვერმა დაიბრუნა თავისი ტრადიციული ფუნქცია და მახასიათებლები, რომლებიც ესეოდენ ორგანულია ამ ტიპის მოედნისთვის: სპონტანური თავყრილობები, ომის დეკლარაცია, ადღუმები, დემონსტრაციები და მიტინგები, ალტკინებული გამოსვლები, მოხეტიალე თეატრები და მასობრივი ზეიმები.

ქალაქის მოედანი ის ადგილია, საიდანაც იწყება რევოლუციები, სადაც ახმოვანებენ იდეებს და იწყებენ მათ რეალიზებას. მისი სტრუქტურა, გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლებლობას იძლევა, გაერთიანდეს სოციალური-ადამიანური ელემენტები და სივრცულ-ფიზიკური პრობლემები. ამასთანავე ჩნდება ცალკეული აქტივობები, რომლებიც შეზღუდულია სივრცეში. ჭეშმარიტი დემოკრატიის პირობებში მოედანი ის საზოგადოებრივი ადგილია, სადაც მოსაზრებებსა და დისკუსიებსაც მოისმენთ და საჯარო მანიფესტაციაც იმართება. ეს კი, არსებული პოლიტიკური ატმოსფეროს გათვალისწინებით, მუდმივ საფრთხეს წარმოადგენს ისრაელისთვის.

პროექტმა ‘Weizman Rally’ მოედანი გაცოცხლა რვა ნამუშევრით, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდა და მთლიანობაში სპეციალურად მოედნის სპეციფიკაზე გათვლილ ქორეოგრაფიასა და ქრონოლოგიას ქმნიდა. ნამუშევრები, ზოგიერთი ახალი, ზოგიც ადრეული, მორგებული იყო მოედნის ხასიათთან და ისტორიული საჯარო სივრცის უნიკალურ განწყობას ქმნიდა. ჩვენ გადავეჩვიეთ ამგვარ სივრცეთა არსებობას, რადგანაც თანამედროვე ეპოქაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები კორპორატიული რეკლამის არენად იქცა. დღეს თითქოს ნაკლებად მიღებულია, რომ პოლიტიკური თუ სოციალური დისკუსია საჯარო მონაპოვარი გახდეს, რადგანაც ადამიანთა შეხვედრებმა ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა, ხოლო აზრთა გაცვლა მეტწილად ჰიპერმედია გარემოში ხდება.

დასკვნის სახით მოგახსენებთ, რომ განხილული ორი მაგალითი გვიჩვენებს იმ სარგებელსა თუ ნაკლს, რომელიც თან სდევს კარგად ჩამოყალიბებული არტსცენის ფარგლებში მუშაობას. აქვე იპოვით მინიშნებას იმაზე, თუ როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ სისტემის შიგნით. პროექტი 'Jesse Cohen' ერთვარი მცდელობაა, დამყარდეს სტაბილური და სოლიდარული კავშირი ხელოვანებს, დიზაინერებს, სოციალური უზრუნველყოფის მუშაკებს, პედაგოგებს, ერთობის აქტივისტებსა და რეზიდენტებს შორის, რათა შესაძლებელი იყოს ზემოქმედება როგორც ადგილობრივ საზოგადოებაზე, ისე სახელოვნებო გაერთიანებებზეც. რაც შეეხება პროექტს 'Weizman Rally', ეს იყო ერთგვარი ინტერვენცია საჯარო სფეროში და ის მიზნად ისახავდა, დაებრუნებინა საჯარო სივრცისთვის პოლიტიკური, დისპუტებისთვის განკუთვნილი არენის სახე. ორივე პროექტი მოითხოვდა თანამშრომლობას სხვადასხვა საქალაქო ორგანიზაციასთან და ინსტიტუციასთან. ეს აუცილებელია ქალაქის რებრენდირების პროცესში, რასაც კარგად ვაცნობიერებთ კიდევ. ამავდროულად, ჩვენ საქალაქო ინსტიტუციას წარმოვადგენთ, ამიტომაც ჩვენი მიზანია, ვეცადოთ, „დავუბრუნოთ“ ინვესტიცია ქალაქს მისივე მოსახლეობის სასარგებლოდ. ქალაქის ბრენდირების პროცესი, ხშირ შემთხვევაში, მის „გაკეთილშობილებასაც“ გულისხმობს, არცთუ იშვიათად, იგი სცდება ლოკალურ მიზნებს და, შესაბამისად, ქალაქი ახლებურ ხიბლს იძენს. აუცილებელია, შევეცადოთ და ოდნავ მაინც შევცვალოთ ეს ტენდენცია, რათა მეტი სარგებელი მოვუტანოთ ადგილობრივ მოსახლეობას თუ სხვა აუდიტორიას.

იელ დენონი

ისრაელის დიგიტალური ხელოვნების ცენტრის დირექტორი და მთავარი კურატორი

თანამედროვე ხელოვნების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ აზერბაიჯანში

ბიენალეების ან სხვა ფართომასშტაბიანი საერთაშორისო გამოფენების ორგანიზატორების წინაშე შეიძლება მრავალი პრობლემა და სირთულე დადგეს. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად, ფინანსური მხარდაჭერა, მონაწილეთა რაოდენობა და „ხარისხი“, ქვეყნების საკითხი, ტექნიკური პრობლემები, ხანგრძლივობა თუ სხვა, გაკვირვებას არ იწვევს. მე შევჩერდები პრობლემაზე, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბოლოო შთაბეჭდილების შესაქმნელად და მთლიანად ივენთის საბოლოო შედეგისათვის. ეს არის სივრცის პრობლემა, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ პროექტს.

პედანტურად თუ ვიმსჯელებთ, ეს არის ანსამბლის პრობლემა, სადაც ყველა ელემენტი ერთ მთლიანობას ქმნის და გარკვეულ კორელაციაშია სხვებთან. ნებისმიერი სახელოვნებო სტრუქტურა უნდა იყოს გასაგები, როგორც დასრულებული „ხელნაწერი“, ხოლო მაყურებელს ან სტუმარს უნდა გაუჩნდეს ცალსახა და ერთგვაროვანი შეგრძნება, პოზიტიური ან ნეგატიური, რომელიც ასახავს მის დამოკიდებულებას ნანახის მიმართ. ამგვარი გარკვეულობის შეგრძნება (რაც ესეოდენ გვენატრება ცხოვრებაში) მნიშვნელოვანი ფაქტორია ხელოვნების ნიმუშის აღქმისას. გამოფენის ფარგლებში ამ ფაქტორს უდავოდ ექსპოზიცია განსაზღვრავს. ბიენალეს კონტექსტში ეს პრობლემა უფრო აქტუალური ხდება იმიტომ, რომ მასშტაბური ივენთი ადვილად შეიძლება გადაიქცეს ერთგვარ ბაზრობად, უთავბოლო თავყრილობად, სადაც შეიძლება დაიკარგო და ვერ აღიქვა ორგანიზატორების მთავარი იდეა.

ეს საკითხი სხვა პრობლემასაც ნამოჭრის, კერძოდ, გამოფენებზე მისული დამთვალიერებლის პრობლემას. არტივენტები მთელ მსოფლიოში თანდათან სწორედ ბიენალეს ფორმას იღებენ. ზოგჯერ ბიენალეები ტარდება შორეულ პროვინციასა თუ პატარა სოფელში, რომელიც ასახულიც კი არ არის მსოფლიო რუკაზე. ალბათ ამის გამოც,

ხელოვანები უფრო დაინტერესებულნი არიან, ჩამოვიდნენ და ენვიონ ასეთ ადგილებს. მართლაც, ტოტალური გლობალიზაციის ეპოქაში ცინცხალი შთაბეჭდილება იშვიათობად იქცა და მეტად ღირებულ ფენომენს წარმოადგენს.

უდავოა, რომ დამკვიდრებულ „ბრენდებს“ (ვენეციისა თუ სტამბულის ბიენალეს, დოკუმენტას, მანიფესტას) საკუთარი აუდიტორია ჰყავს. ხელოვნების სამყაროში კარგად იცნობენ მათ, ითვალისწინებენ და სტუმრობენ კიდევ. ძნელია იმის თქმა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ამაცობს იმით, რომ უმასპინძლა მსოფლიოში სახელგანთქმულ ღონისძიებას, თუმცა მათი უმრავლესობა სტუმრობს ამ გამოფენებს.

იგივეს ვერ ვიტყვით მცირემაშტაბიან ბიენალებზე, რომლებსაც აკლია საჭაროობა და რეკლამა. ეს ჯერ „ახალგაზრდა“ ღონისძიებებია,



The 4th International Biennial of Contemporary Art "Aluminium" in Baku, Azerbaijan, December 2009. Fragment of exposition in Shirvanshahs Palace.

თანამედროვე ხელოვნების მე-4 საერთაშორისო ბიენალე "ALUMINIUM" ბაქოში, აზერბაიჯანი, 2009 წლის დეკემბერი. ექსპოზიციის ფრაგმენტი შირვანშაჰის სასახლეში

რომლებიც ახლა იწყებენ რეპუტაციის მოპოვებას. ორგანიზატორებმა უნდა იზრუნონ პრივილეგიებსა და პირობებზე, რათა დააინტერესონ მეტ-ნაკლებად ცნობილი ხელოვანები მთელი მსოფლიოდან და ამგვარად მოიზიდონ მონაწილეები. ეს გარკვეული ინვესტიციაცაა, რომელიც ემსახურება არა ეკონომიკურ, არამედ ეროვნულ (გინდაც, პოლიტიკურ) ინტერესებს. ამგვარი ივენთის საბოლოო მიზანია, გახდეს კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბრენდი, ხოლო უახლოესი ამოცანა არის ის, რომ ივენთი შედგეს და სტუმარი იყოს ბედნიერი. ამ

შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება დიდი საერთაშორისო ივენთები, რომლებიც რეგულარულად იმართებოდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

როცა ღონისძიება იმართება უძველეს ტრადიციულ დედაქალაქში (მაგალითად, თბილისში, ბაქოში, ტაშკენტში), იგი აღბეჭდილი იქნება ადგილობრივი სპეციფიკური ნიშან-თვისებებით. მაგალითად, ამ სამ ყოფილ საბჭოთა დედაქალაქს აქვს აბსოლუტურად განსხვავებული არქიტექტურული ინფრასტრუქტურა, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც საბჭოთა პერიოდში, ასევე უფრო ადრე თუ მის შემდეგ, დამოუკიდებლობის წლებშიც. მათ აქვთ ისტორიული და ტრადიციული საფუძველი, ეკონომიკური პირობები, ხოლო მათ ხელისუფალთ – გარკვეული პოლიტიკური ამბიციები. მიუხედავად ამისა, ამა თუ იმ გაგებით, ზემოთ ნახსენები საგამოფენო სივრცისა თუ პუბლიკის პრობლემა თანაბრად აქტუალურია ყველასთვის.

ამჯერად აზერბაიჯანში განხორციელებული ორი საერთაშორისო არტივენთის შესახებ მოგახსენებთ. ესენია ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი განჯაში (8-10 სექტემბერი, 2006) და კონცეპტუალური ხელოვნების საერთაშორისო ბიენალე “Aluminium” (11-17 დეკემბერი, 2009).

ვიზუალური ხელოვნების ფესტივალი განჯაში განახორციელა ბაქოს ხელოვნების ცენტრმა, ინსტიტუცია „ღია საზოგადოება – აზერბაიჯანის“ მხარდაჭერით (დირექტორი – რ. გულამამადლი, კურატორი – დილარა ვაგაბოვა). ივენთში მონაწილეობა მიიღო ოცმა ხელოვანმა უცხოეთიდან (თურქეთიდან, ირანიდან, საქართველოდან, რუსეთიდან, ყაზახეთიდან) და ასევე, 40 ხელოვანმა აზერბაიჯანიდან.

განჯა, აზერბაიჯანის უძველესი დედაქალაქი, აზერბაიჯანული კულტურის ტრადიციული ცენტრია. დღეს ის ქვეყნის მეორე ქალაქია, მაგრამ, გარკვეული მიზეზების გამო, კულტურული ცხოვრება აქ ფრიად მძიმედ მიდის. ამიტომაც, ამ პროექტის უმთავრესი პრიორიტეტი იყო კულტურული პროცესების გამოცოცხლება, განჯის მაცხოვრებლებისთვის მსოფლიო თანამედროვე ხელოვნების უახლესი ტენდენციების გაცნობა, ადგილობრივი ხელოვანების ჩართვა ზოგად კულტურულ პროცესში და ამ გზით კულტურული იზოლაციის გარღვევა. უფრო მეტიც, მოსახლეობა თვითონ უნდა ყოფილიყო უშუალო მონაწილე არტისტული აქციების, პერფორმანსებისა და პრეზენტაციებისა. ამგვარად, უნდა მომხდარიყო პასიური მაყურებლის თანავეტორად ტრანსფორმირება.

ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ადგილზე, რომელსაც ვწვდით, ბატონობდა პროვინციული აზროვნება და ტრადიციული შეხედულებები ხელოვნებისა და ხელოვანთა შესახებ. ჩვენ, სტუმრები, მოვალენი ვიყავით, არა მხოლოდ წარმოგვეჩინა საკუთარი თავი (თუ რამდენად

თანამედროვენი ვართ), არამედ პატივი გვცვა ადგილობრივთა ინტერესებისთვის. სწორედ ამის გამო, კონცეპტუალური პროექტების გარდა, აქ განხორციელდა რამდენიმე ტრადიციული გამოფენაც. გამოფენების თემების დასადგენად ჩვენ დავათვალიერეთ ყველა შესაძლო კულტურული სივრცე განჯაში, მათ შორის, შესაძლო საგამოფენო ადგილები და აქ მოღვაწე ხელოვანთა სტუდიებიც. შედეგად მივიღეთ ის, რომ საფესტივალო გამოფენები ფრიად აქტუალური და ადგილობრივი გარემოსათვის შესაფერისი აღმოჩნდა. ჩვენდა სასახელოდ, ყოველივე ამან დაინტერესება გამოიწვია. ჩვენ თავიდანვე გაგვიჩნდა ერთგული აუდიტორია, რომელსაც ერთი ღონისძიებაც კი არ გამოუტოვებია.

ფესტივალის კონცეპტუალური აქციები ტარდებოდა მთელი ქალაქის ირგვლივ. გამოყენებული იყო ყველა შესაძლო სივრცე, თუმცა მხატვრული იდეების განსახორციელებლად ყურადღების ცენტრში სამი ადგილი მოექცა: შუა საუკუნეების აბანოები, პარკი, რომელიც 300 წლისაა და მდინარე განჯას დამშრალი კალაპოტი. მოწვეულმა ხელოვანებმა წინასწარ მიიღეს ყველა შესაძლო სივრცის ფოტოები, სადაც შეიძლება გამოფენილიყო მათი ნამუშევრები ან პროექტები. ამან ნაყოფიერი შედეგი მოგვცა: სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული უცნობი ხელოვანები ერთმანეთს კარგად შეეწყვინენ და ერთიან კრეატიულ გუნდად იქცნენ. ორგანიზატორების ჩანაფიქრმა, იმპროვიზაციის პრინციპმა, შესანიშნავად „იმუშავა“. იდეების განხორციელებაში ერთმანეთისთვის ხელი არავის შეუშლია. ხელოვანები განაწილებულნი იყვნენ ისე, რომ სხვადასხვა პროექტის ამა თუ იმ კომბინაციას უკეთ წარმოეჩინა მათი თავისებურება და ღირსება.

კონცეპტუალური ხელოვნების მე-4 საერთაშორისო ბინალეს (Aluminium – ბაქო, 11-17 ოქტომბერი, 2009) ორგანიზატორი იყო აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო (დირექტორი – ლ. ახუნდბაღე, კურატორი – დ. ვაგაბოვა). ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 60 ხელოვანმა, 25-მა უცხოეთიდან და 40-მა – აზერბაიჯანიდან. 14 სხვადასხვა სივრცეში განაწილებული ბინალეს პროექტები ძირითადად კონცენტრირებული იყო ბაქოს ცენტრში, რომელიც ისტორიული მნიშვნელობის არქიტექტურული ანსამბლს წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც, საგამოფენო სივრცეების ფოტოები დაეგზავნა ყველა პოტენციურ მონაწილეს. ასე რომ, ხელოვანებმა იცოდნენ, სად მიდიოდნენ და რომელი სივრცე იყო ხელმისაწვდომი მათი პროექტებისთვის.

მოსამზადებელ პერიოდში მონაწილეთა მონვევის პრინციპი ეფუძნებოდა მათ შერჩევას კურატორული პროექტების მიხედვით. დიდი რაოდენობით იყვნენ მონვეული ხელოვანები ინდივიდუალური პროექტებით, რომელთაც წინასწარ შეათანხმეს თავიანთი პროექტები ორგანიზატორებთან. ამგვარად, ივენთის დაწყებისთანავე ყველა პროექტს, მიუხედავად იმისა, იყო ის ინდივიდუალური თუ ჯგუფური,

ჰქონდა კონკრეტული „მისამართი“. ასეთი მიდგომის წყალობით, ბინალეს ყოველი ივენტი იყო სისტემატიზირებული, ხოლო მთლიანი შთაბეჭდილება – ცხადი. თითოეულ გამოფენას ჰქონდა აბსოლუტურად ინდივიდუალური „სახე“, საკუთარი ხასიათი, ასე რომ, ყველა მონაწილეს შეეძლო მაქსიმალურად წარმოეჩინა თავისი შემოქმედებითი პოტენციალი.

ამგვარად, თუკი მხედველობაში მივიღებთ შექმნილ გამოცდილებას, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ასპექტებთან ერთად გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორებიც, როგორებიცაა ხელოვანთა მიერ საგამოფენო სივრცეების წინასწარი გაცნობა და ფოკუსირება კურატორულ პროექტებზე. ეს ნამდვილად მოუტანს წარმატებას ფართომასშტაბიან საერთაშორისო არტივენტებს.

დილარა ვაგაბოვა

კურატორი, არტკრიტიკოსი

რელიგმი – კომუნისტური და პოსტკომუნისტური ეპოქის სამხატვრო ტრადიციების შესწავლა – ლაიფციგი

„რკინის ფარდის“ ნგრევიდან ოცი წლის შემდეგ ლაიფციგი „რადიარებულ კულტურულ ცენტრად იქცა. ქალაქმა, გარკვეულწილად, ის ნამყვანი პოზიციაც დაიბრუნა, რომლითაც ოდესღაც სარგებლობდა და საერთაშორისო აუდიტორიისთვის კვლავ ახლობელი გახდა.

ლაიფციგს საკმაოდ ხანგრძლივი კულტურული ტრადიციები აქვს, განსაკუთრებით, ბეჭდვითი და მუსიკალური ხელოვნების სფეროში. ამ ტრადიციების მრავალმხრივი და მრავალფეროვანი ხასიათი ქალაქის ისტორიას უკავშირდება. თუკი მეგაპოლისი დრემდენი ტრადიციულად სამეფო ქალაქს წარმოადგენდა ხელოვნების ცენტრალიზებული პატრონაჟით, ლაიფციგი დიდი ხნის მანძილზე გერმანიის ერთ-ერთი ნამყვანი სავაჭრო ქალაქი იყო.

მე-19 საუკუნის ინდუსტრიული ბუმის შედეგად, გაიზარდა იმ ხალხის რაოდენობა, ვისაც ჰქონდა სურვილი და შესაძლებლობა, რომ ფინანსები კულტურულ კაპიტალად ექცია. ამან პატრონაჟის დეცენტრალიზაციამდე და ინდივიდუალური გემოვნების გამრავალფეროვნებამდე მიგვიყვანა. სწორედ ამ ადამიანთა დამსახურებაა, რომ 1848 წელს შესაძლებელი გახდა, ლაიფციგში გახსნილიყო ქალაქისა და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმები.

იმ დროისთვის ლაიფციგს უკვე ჰქონდა აუცილებელი ინსტიტუციური რესურსი, რათა უზრუნველყო ხელოვნების მომზადების ხარისხი. საქონელმა პრინციპმა ფრანც ქსავერმა ჯერ კიდევ 1746 წელს დააარსა გერმანიის ერთ-ერთი უძველესი აკადემია – სამხატვრო აკადემია, რომელიც დღეს ცნობილია როგორც გრაფიკისა და წიგნის ხელოვნების

უმადლესი სკოლა (HGB – Hochschule für Grafik und Buchkunst). ოფიციალურად მას ვიზუალური ხელოვნების აკადემიას უწოდებენ. ინდუსტრიული რევოლუციის სწრაფი ზრდის ფონზე ინტელექტუალური პროდუქციის დიზაინზე მოთხოვნილება უფრო და უფრო იზრდებოდა.

შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტექნიკური მომზადება მაღალ დონეზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული მხატვარი თუ არტისტთა ჯგუფი იყენებდა მხატვრულ ფორმებს, რომლებმაც საერთაშორისო მიღწევების კვალი იგრძნობოდა, კვლავაც დომინირებდა ჟანრი, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული აკადემიურ, ფიგურატიულ სამხატვრო ტრადიციებთან. ამას მხარს უჭერდა არაერთი ხელოვანი, მათ შორის, ვოლფგანგ მათოიერი, ბერნარდ ჰაისიგი და ვერნერ ტუბკე, HGB-ის პროფესორები, რომლებიც „ლაიფციგის სკოლის“ მიმდევრებად არიან აღიარებულნი.

მათ აღზარდეს მომდევნო თაობა – არნო რინკი და ზიგჰარდ გილი – შემდგომში თავადაც პროფესორები და „ახალი ლაიფციგის სკოლის“ დამაარსებლები. უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჟურნალისტების მონდომებით, ამ ტერმინმა კარგად მოიკიდა ფეხი, რაც ერთ რამეზე მიუთითებს – ტექნიკური, კარგად დამკვიდრებული ფიგურატიული მხატვრობის ტრადიციები გრძელდება. არტურ ლუბოვი 2006 წელს „ნიუ-იორკ თაიმსში“ წერდა: „ფიგურატიულ მხატვრობას, რომელსაც პარიზსა და დიუსელდორფში დაუმსახურებლად აძაგებდნენ და უიმედო წარსულად მიიჩნევდნენ, არასდროს დაუკარგავს გავლენა ლაიფციგში“.¹

¹ Arthur Lubow, 'The New Leipzig School', The New York Times, January 8, 2006.

გდრ-ის აღსასრული და გერმანიის გაერთიანება 1990 წელს, გარკვეული თვალსაზრისით, მასიურ ისტორიულ ნგრევას გულისხმობდა. რთულია, შეფასება მისცე იმ სირთულეებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდა ლაიფციგი, როგორც გახსნილი სივრცე და “tabula rasa”. ინდუსტრია მეტწილად განადგურდა, პროფესიონალთა მთელი თაობა სამუშაოს საძებნელად დასავლეთში გაემგზავრა. ამან ქალაქში ნამდვილი ვაკუუმი შექმნა – გათავისუფლდა შენობები, რომელთა უმრავლესობა ნახევრად დანგრეული იყო, დაეცა ქირაც.

90-იან წლებში მხატვრებმა და სტუდენტებმა ამ ახალი შესაძლებლობების გამოყენება დაიწყეს და დაცარიელებულ ფაბრიკებს ახალი დანიშნულება მოუძებნეს. იგივე ხდებოდა აკადემიაშიც: ვიდრე ძველი შენობა განახლდებოდა, ბევრმა სტუდია და სახელოსნო ადგილი შეიცვალა და სწორედ მითვებულ ფაბრიკებში განთავსდა. ამგვარად, არაერთ სტუდენტს მიეცა საშუალება, აეთვისებინა სრულიად უნიკალურ სივრცე. ზოგჯერ მხატვარი მართო მუშაობდა 900 მ² სტუდიაში. სივრცე უამრავი იყო, ქირა დაბალი და თანაც 2002-2003 წლამდე წარმოდგენაც კი არავის ჰქონდა, თუ რამდენად „მნიშვნელოვანი“ იყო ლაიფციგი, როგორც სამხატვრო არენა, ამის შესახებ არაფერი იცოდნენ თავად მხატვრებმაც. სტუდენტები და არტისტები იძულებულნი იყვნენ,

ემუშავათ და ექსპერიმენტები ჩაეტარებინათ თავისუფალ სივრცეში, რამაც ლაიფციგში მხატვრობის, ფოტოგრაფიისა და მედიახელოვნების აყვავება განაპირობა.

ყოფილი ბამბის ფაბრიკა (Baumwollspinnerei) 25 აკრს მოიცავდა და იყო ერთ-ერთი იმ სივრცეთა შორის, რომელიც მეტად იზიდავდა მხატვრებს. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი აკადემიის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა არაკომერციულ ინიციატივას. ბოლო წლებში ფაბრიკა შემოქმედებითი ცხოვრების საკვანძო ადგილად იქცა. უკვე არსებული სამხატვრო სტუდიების კვალდაკვალ, ქალაქის ძირითადმა გალერეებმაც აქ გადმოინაცვლა. თანდათან უცხოელი მხატვრების რეზიდენციებიც გაჩნდა და ჩიკაგოს, ლონდონის, ნიუ-იორკის, მეხიკო-სიტისა თუ ჰარლემის გალერეებმაც დაიდეს დროებით ბინა. ასეა თუ ისე, მზარდი კერძო პატრონაჟი, სახელმწიფო მხარდაჭერასთან ერთად, ხელს უწყობს სამხატვრო აქტივობას, თანდათან საერთაშორისო მასშტაბებს იძენს და დიდი ხანია აღარ არის მხოლოდ ლოკალური ხასიათის.

მიუხედავად იმისა, რომ გემოთქმულის გათვალისწინებით, ეს ალოგიკური ჩანს, ლაიფციგის ფიგურატიულ სამხატვრო ტრადიციას საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ.² ის კვლავაც სტალინისტური ეპოქის სოციალისტური რეალიზმის კონტექსტში მოიაზრება. 1939 წელს გამოქვეყნებულ ესეში „ავანგარდი და კიჩი“ აღიარებულმა ამერიკელმა არტკრიტიკოსმა კლემენტ გრინბერგმა სტალინისტური ეპოქის სოცრეალიზმი და ტოტალიტარული ხელოვნების სხვა ფორმები დასავლეთის კომერციული მასკულტურის გვერდით დააყენა და მათი მხატვრული ღირებულების საკითხი დასვა. იგივე განმეორდა 1999 წელს, როდესაც ლაიფციგიდან ერთი საათის სავალზე მდებარე ქალაქი ვაიმარი ევროპული კულტურის დედაქალაქად გამოცხადდა.³

ვაიმარში გამართულ გამოფენაზე „მოდერნის აღმასვლა და ვარდნა“ გდრ-ელი მხატვრების მედიახელოვნება აჩვენებს და სხვა ნამუშევრები ნაცრისფერ ცელოფანზე უწესრიგოდ მიყარ-მოყარეს ნაცისტების მიერ აშენებულ კვადრატულ შენობაში.⁴ სრულიად ამკარა იყო მინიშნება ნავაჟსაყარზე. ბერლინის კედლის დანგრევადან ათი წლის თავზე ეჭვქვეშ დადგა ყოფილი გდრ-ელი ხელოვანების შემოქმედების მხატვრული ღირებულება.

ეს, უპირველეს ყოვლისა, იყო ერთგვარი ესთეტიკური პარალელი მესამე რაიხის დეგრადირებული ხელოვნების გამოფენასთან. ზოგიერთმა ლაიფციგელმა მხატვარმა, მაგალითად, ნეო რაუხმა, თავისი ნამუშევრები გამოფენიდან მოხსნა კიდევ და სასამართლოშიც იჩივლა. ეს „სურათების ომი ვაიმარში“ (Der Weimarer Bilderstreit) წარმოადგენს აღმოსავლეთ გერმანული მხატვრობის 50-ფურცლიან დოკუმენტირებულ ისტორიას, რომელიც მის ხასიათსა და ინტელექტუალურ თავისებურებებზე ჩაგვაფიქრებს.⁵

² Georg Baselitz, „Heimatkunde“, Cicero-Magazin für politische Kultur, January 2010; Daniel Birnbaum, Isabelle Graw, *The Power of Judgment: A Debate on Aesthetic Critique* (Frankfurt am Main: Sternberg Press, 2008), p. 41.

³ Boris Groys, *Art Power* (Cambridge, Massachusetts: The MIT Press, 2008), pp. 144-146ff, further reading on modernism in Socialist Realism: Boris Groys, *Gesamtkunstwerk Stalin* (München: Carl Hanser Verlag, 1988/96), pp. 72-73ff.

⁴ Roger Cohen, „Exhibiting the Art of History, s Dustbin, Dictators 'Treasures Stir German Anger'“, *The New York Times*, August 17, 1999.

⁵ Der Weimarer Bilderstreit, *Szenen einer Ausstellung, Eine Dokumentation* (Weimar: Kunstsammlungen zu Weimar, 2000).

2000 წელს ცნობილმა არტკრიტიკოსმა რობერტა სმიტმა „ნიუ-იორკ თაიმსში“ დადებითად შეაფასა ლაიფციგელი მხატვარი ნეო რაუხი, რამაც სრულიად შეცვალა მისი შემოქმედების აღქმა. სმიტის თქმით, რაუხის ნამუშევრებში ბევრია ნასესხობა სოციალისტური რეალიზმის მხატვრობიდან და ის ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიაში გაბატონებული სარეკლამო სტილის ქვეშ უნდა გაერთიანდეს.⁶ მოკლედ რომ ვთქვათ, შედეგად, ლაიფციგმა სახელი გაითქვა, როგორც ქალაქმა, სადაც შესაძლებელია მაღალ ტექნიკურ დონეზე შესრულებული მხატვრული ნამუშევრის ნახვა და ყიდვა.

⁶ Roberta Smith, "Art in Review: Neo Rauch", New York Times, March 10, 2000.

მომდევნო წლებში ლაიფციგს ცნობილი ამერიკელი კოლექციონერები ეწვივნენ – სუზან და მაიკლ ჰორტები და დონ და მერა რუბელევი. ლაიფციგის მხატვრობა ერთგვარ ბრენდად იქცა და, საბაზრო თვალსაზრისით, მისი გადაფასებაც მოხდა. ყოველივე ეს მუზეუმებზეც აისახა. ხელოვნების არსის პრობლემა ("What is art?") დემოკრატიულად არ წყდება.⁷ მას განსაზღვრავს სისტემა, რომელიც ხელოვანებს, ხელოვნების ინსტიტუტებსა და ბაზარს აერთიანებს.

⁷ Hanno Rauterberg, "Es gibt da keine Grenzen!", interview with Boris Groys, Die Zeit, No. 49, 1999.

წარმატებამ ბაზარზე მოგვიანებით თავისი გამოძახილი ჰპოვა. ბამბის ფაბრიკა ბრენდის მისამართად იქცა. მონანილეობა დიდ ივენთში, რომელსაც „გალერეების ტურს“ უწოდებენ, ყველა ძირითადი მონანილისთვის, განსაკუთრებით, მხატვრებისა და კოლექციონერებისთვის, პრესტიჟის საკითხია, ხოლო მათი შემოსავალი სიმბოლურია.⁸ ბამბის ფაბრიკა მხოლოდ მხატვრობით არ შემოიფარგლება, იგი ღიაა ყოველგვარი შემოქმედებისთვის. აღსანიშნავია, რომ ის კერძო ან არაკომერციულ ინიციატივებს ეფუძნება.⁹ ამგვარად, ადგილობრივი და უცხოელი მონანილეები ტრიალებენ ლოკალურ თუ საერთაშორისო არენაზე. მხატვრებზე, კურატორებზე, გალერეების მფლობელებსა თუ ბიზნესმენებზე და მათ აქტივობაზეა დამოკიდებული, რამდენ ხანს შეინარჩუნებს ლაიფციგი პოპულარობას ადგილობრივ და საერთაშორისო სამხატვრო სივრცეში.

⁸ Peter Sloterdijk, Über die Verbesserung der guten Nachricht. Nietzsches fünftes "Evangelium" (Frankfurt am Main: Suhrkamp Verlag, 2001), p.21.

⁹ Walter Grasskamp, Kunst und Geld: Szenen einer Mischehe (München: Beck'sche Reihe, 1998) for further reading on art and the market.

ანა ლუიზე კრატცში

ლაიფციგის საერთაშორისო არტპროგრამის დამაარსებელი და დირექტორი

ჰერმეტიზაციის გარღვევა

საერთაშორისო სახელოვნებო ივენთის ჩატარება მნიშვნელოვანი საკითხია როგორც ადგილობრივი არტსცენისთვის, ასევე მსოფლიო არტლანდშაფტისთვის. ეს 21-ე საუკუნის მთავარი ამოცანაა. საკითხი მით უფრო მნიშვნელოვანია სომხეთისათვის, რადგანაც იგი გარკვეულწილად იზოლაციაში მყოფი ქვეყანაა. იმისთვის, რომ მოგახსენოთ, რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო სახელოვნებო ივენთები სომხეთისთვის, გთავაზობთ მცირე ექსკურსს არცთუ შორეულ წარსულში.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა პერიოდში სომხეთს დიდ სამეცნიერო და კულტურული პოტენციალი ჰქონდა და, საბჭოთა იმპერიის კრიტიკრიუმების მიხედვით, საკმარისად განვითარებული ქვეყანაც იყო, ის მაინც იზოლირებული რჩებოდა მსოფლიოსგან „რკინის ფარდის“ არსებობის გამო. ყველა სახის კოლაბორაცია და კომუნიკაცია მსოფლიოსთან ხორციელდებოდა ოფიციალური მოსკოვის საგარეო პოლიტიკის გათვალისწინებით. 1990 წლის შემდეგ, როცა სომხეთი დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა და უკვე შეეძლო თვითონვე აერჩია „მეგობრები“, კავკასიის რეგიონში მიმდინარე გრძელვადიანი შეიარაღებული კონფლიქტებისა და სხვა გეოპოლიტიკური პრობლემების გამო სომხეთი ახალი ტიპის იზოლაციაში აღმოჩნდა. სომხეთის კავშირი მსოფლიოსთან ძირითადად დღესაც კი მხოლოდ საჰაერო გზით ხორციელდება. ამდენად, ქვეყანა, რომლის მაცხოვრებელთა 96% სომეხია, მონოკულტურულ „ჰერმეტიზებულ“ მდგომარეობაშიც აღმოჩნდა. მიმდინარე სახელოვნებო განათლების მოდელი, რომელიც სომხეთს ყოფილი სსრკ-დან მემკვიდრეობად ერგო, მოძველდა და ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მსოფლიოს ამოცანებს.

საბჭოთა კავშირის კოლაფსთან ერთად დაიკარგა სისტემაც, რომელიც „ზრუნავდა“ არტსცენასა და იმ ხელოვნებზე, რომელთათვისაც მისაღები იყო არსებული პოლიტიკური სისტემის იდეოლოგია. შეიქმნა აქტივობათა ერთგვარი ვაკუუმი. ამ სიტუაციაში ნამდვილად გაიზარდა ხელოვნების ინიციატივა და ამან სხვაგვარი მნიშვნელობაც შეიძინა – ისინი თანამედროვე მსოფლიოს არტმოძრაობათა შესატყვისი

არტსცენის შექმნას ცდილობდნენ. ხელოვანებმა ჩამოაყალიბეს რამდენიმე სახელოვნებო ორგანიზაცია, ასოციაცია, ცენტრი (სომხეთის თანამედროვე ექსპერიმენტული ხელოვნების ცენტრი (ACCEA), “HayArt”, “the 3rd floor”, “Goyak”, გიუმრის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი (GCCA) და სხვ.). მათ ორგანიზება გაუკეთეს საერთაშორისო და ადგილობრივ არტივენტებს სომხეთში – სიმპოზიუმებს, ვორქშოფებს, ფესტივალებს, ბიენალეს, გაცვლით პროგრამებს, არტრეზიდენტურებს და სხვა საჯარო ღონისძიებებს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მათგანი წარმატებული აღმოჩნდა. ხელოვანებს შესაძლებლობა მიეცათ, შეხვედროდნენ კოლეგებს სხვადასხვა ქვეყნებიდან, გაეზიარებინათ იდეები, გამოცდილება და ეთანამშრომლათ მათთან.

ახლა კი მინდა, თქვენი ყურადღება გიუმრის საერთაშორისო ხელოვნების ბიენალეს მივაპყრო. ჩემი აზრით, გიუმრის ბიენალე ერთ-ერთია იმ უკვე ჩამოყალიბებულ, გრძელვადიან საერთაშორისო არტივენტთა შორის, რომლებიც სომხეთში ხორციელდება და სადაც მრავალი ხელოვანის პროფესიონალური კარიერა შედგა.

ინიციატივა წამოვიდა გიუმრიდან. ამას შეუერთდნენ ხელოვანები ერევნიდან და დიდი და მნიშვნელოვანი პროექტიც განხორციელდა. ბიენალე დაფუძნდა გიუმრიში, რადგანაც მისი მისია სწორედ იმაშია, რომ თანამედროვე ხელოვნების ენა გასაგები იყოს ფართო პუბლიკისთვის. მიზანს წარმოადგენდა აქტივობების დეცენტრალიზაცია, რადგან ამ დრომდე ივენტების კონცენტრაცია მხოლოდ ერევანში ხდებოდა.

გიუმრის თანამედროვე ხელოვნების ბიენალე, რომელიც ორგანიზებულია გიუმრის თანამედროვე ხელოვნების ცენტრისა (GCCA) და დამოუკიდებელი ხელოვანების მიერ, 1997 წელს დააფუძნა არასამთავრობო ორგანიზაციამ. მას ანალოგი არ აქვს პოსტსაბჭოთა სივრცეში და იგი უწყვეტად აგრძელებს მოქმედებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

გიუმრი, სომხეთის სიდიდით მეორე ქალაქი, მაშინ არათუ მხოლოდ პოსტსაბჭოთა რეალობაში იმყოფებოდა, არამედ 1998 წლის დეკემბერში მომხდარი უდიდესი მიწისძვრის შედეგად მიყენებულ ტრავმებსაც იშუშებდა.

კონტექსტის გათვალისწინებით, გიუმრის ბიენალეს ამბიციები, მასშტაბურობის თვალსაზრისით, არასდროს ყოფილა გრანდიოზული, თუმცა ბიენალემ აჩვენა დინამიზმი და გაიზარდა კიდევ მისი მიზნების კვალდაკვალ.

ეს მიზნები, შემუშავებული 12 წლის წინ, უნდა ყოფილიყო ფუნდამენტი გრძელვადიანი სტრატეგიისა, რომელიც მიზნად დაისახავდა გიუმრის გადაქცევას რეგიონალურ თანამედროვე არტსცენად. აი, ამონარიდი

პრეზენტაციის ტექსტიდან, წარმოთქმული კონფერენციაზე, რომელიც შედგა თესალონიკის I ბიენალეს ფარგლებში:

ბიენალეს მიზნებია:

- წვლილის შეტანა სომხეთის თანამედროვე არტსივრცის განვითარებაში და მხატვრული პროდუქციის ხარისხის შენარჩუნება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ჯანსაღი და კრეატიული გარემოს განვითარების ხელშეწყობა ქალაქსა და რეგიონში საბჭოთა პერიოდის ინერციის შემდეგ, როდესაც იგრძნობოდა ადგილობრივი თუ საერთაშორისო კომუნიკაციისა და ინფორმაციის მკვეთრი ნაკლებობა;
- მინისძვრის შემდგომი ტრავმის გადალახვა;
- ახალი კრეატიული ინიციატივების განვითარება, კერძოდ კი, ახალგაზრდა ხელოვანების მხარდაჭერა;
- თანამედროვე სომხური კულტურის განვითარების წახალისება ხელოვნების დედაქალაქიდან დეცენტრალიზაციის გზით;
- გიუმრის რესტავრაციის პროცესის ხელშეწყობა და მისი გადაქცევა გავლენიან კულტურულ ქალაქად, ჩამოყალიბება რეგიონალურ, თანამედროვე ხელოვნების ცენტრად.

ამ მიზნების განხორციელების გზაზე, GCCA-მ მიაღწია შემდეგს:

- 7 ბიენალე – 1998, 2000, 2002, 2004, 2006, 2008, 2010 წლებში;
- კატალოგების პუბლიკაცია ყოველ ბიენალეზე;
- სომხური თანამედროვე ხელოვნების რევიუს პუბლიკაცია: „ხელოვნება დღეს“ (დღესდღეობით გამოსულია 2 გამოცემა, მე-3 გამოცემა მზადაა და ელის დაფინანსებას);
- სატელევიზიო პროგრამების რეალიზება ადგილობრივ ტელეარხზე;
- ხელოვანებისა და კურატორების გაცვლები;
- არტრეზიდენტურის პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამები (ძირითადად, გიუმრის სახვითი ხელოვნების აკადემიაში). ამ პროცესში მონაწილეობა მიიღო 400 ხელოვანმა დაახლოებით 35 ქვეყნიდან (ზოგიერთი მათგანი რამდენიმეჯერაც მონაწილეობდა), გიუმრის ხელოვანებს მიეცათ შესაძლებლობა დაემყარებინათ კონტაქტები გარე სამყაროსთან;
- სომეხი ხელოვანების (ძირითადად გიუმრიდან) პრეზენტაცია, საერთაშორისო ივენთები ევროპასა და მსოფლიოს ირგვლივ.

იყო რაღაც ყველანაირი საერთაშორისო გაცვლისთვის, GCCA-მ და გიუმრის ბიენალემ აქცენტი გააკეთეს გაცვლებზე მეზობელ ქვეყნებთან (შესთავაზეს მათ სივრცე კულტურული დიალოგისთვის დელიკატურ პოლიტიკურ კონტექსტში), პოსტსაბჭოთა სივრცეზე, ახლო აღმოსავლეთზე, ხმელთაშუა ზღვისპირეთზე და რეგიონებზე, რომლებთანაც სომხეთს ისტორიული და კულტურული პარალელები აკავშირებდა.

გიუმრის ბიენალეს ჰყავს დაახლოებით 2000-დან 3000-მდე სტუმარი



(ძირითადად ერევნიდან და დიასპორის წარმომადგენლები). ასეთი მცირერიცხოვანი მოსახლეობისთვის ეს მნიშვნელოვანია როგორც ეკონომიკურად, ასევე, ფსიქოლოგიურად.

ბინალეს მეშვეობით, გიუმრი გადაიქცა იმ ადგილად, სადაც ერთმანეთთან თანამშრომლობენ ადგილობრივი ინსტიტუტები (მუზეუმები, გალერეები თუ სხვ.) და დაწესებულებები, რომლებიც შეძლებისდაგვარად მხარს უჭერენ ამ ღონისძიებას თავიანთი რესურსებით.

არტრემზილენტურა

ახლა მოგახსენებთ სხვა, ასევე ძალზე მნიშვნელოვანი კულტურული ინსტიტუციის არსებობის აუცილებლობის შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს გეშმარიტი პლატფორმა ხანგრძლივი კულტურული გაცვლებისთვის და ხელოვანთა კოლაბორაციისთვის. ეს არის მუდმივმოქმედი არტრემზიდენტურის პროგრამა, ეფექტური გზა, რომ გაირღვეს „კულტურული ჰერმეტიზაცია“ იქ, სადაც დაფუძნებულია ეს რემზიდენტურა. მაშინ, როცა არტრემზიდენტურის პროგრამები მრავლადაა მთელ მსოფლიოში, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ეს ჯერ კიდევ ახალ გამოცდილებას წარმოადგენს.

მუდმივმოქმედი საერთაშორისო არტრემზიდენტურის პროგრამის დაფუძნებით სომხეთში ჩვენ შეგვიძლია დავცხმართ ახალი საშუალებების, ახალი მნიშვნელობებისა და ხელოვნების გამოხატვის ახალი გზების განვითარებას, რითაც ხელოვნება შეაღწევს საჯარო სივრცეებში არა მხოლოდ ერევანში, არამედ სომხეთის პერიფერიაზეც, რომელიც უფრო იზოლირებულია ისედაც იზოლირებულ ქვეყანაში.

კულტურული არასამთავრობო ორგანიზაცია 'Akos' დაფუძნდა 2002 წელს და დღემდე მან ორგანიზება გაუკეთა სხვადასხვა მასშტაბის

ეროვნულ და საერთაშორისო ივენთებს. იგი არის არტრეზიდენტურების მსოფლიო ქსელის Res Artis Worldwide Network-ის წევრი და უმეტესწილად კონცენტრირებულია არტრეზიდენტურის პროგრამის განვითარებაზე სომხეთში.

2006 წელს Akos-მა ჩამოაყალიბა არტრეზიდენტურის პროგრამა ACOSS (სოციალური კვლევის ხელოვნების ცენტრი), რომელიც დაფუძნებულია ერევანში, ორგანიზებას უკეთებს რეზიდენტურებს სომხეთის სხვადასხვა რეგიონებშიც.

ACOSS რეზიდენტურის პროგრამა არის პროექტი – ვორქშოფი მულტიდისციპლინარული ხელოვნებისა და საერთაშორისო კულტურული გაცვლების განვითარების ხელშეწყობისთვის სომხეთის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. ჩვენ ვინვევთ ყველა სახელოვნებო დისციპლინის წარმომადგენელ ხელოვანებს და სოციოლოგებს, რათა იცხოვრონ, იმუშაონ და ითანამშრომლონ რეზიდენტურაში ყოფნისას მათთვის შესაფერისი დროის განმავლობაში.

არტრეზიდენტურის პროგრამის საშუალებით, კულტურული არასამთავრობო ორგანიზაცია 'Akos' ეხმარება საერთაშორისო არტივენტებს და ამრიგად ცდილობს, რეგიონში შეიტანოს მულტიკულტურული განზომილება. მოწვეულ ხელოვანებს ეძლევათ შანსი, მოწყდნენ ყოფით პრობლემებს და იმუშაონ მშვიდობიან სივრცეში, დაამყარონ ახალი კონტაქტები ხელოვანებთან თუ ადგილობრივ საზოგადოებასთან. პროგრამა წარმოადგენს რეზიდენტურას ერთ წლამდე ხანგრძლივობით და ფლობს კერძო და საერთო სტუდიებსა თუ საცხოვრებელს.

2006 წლიდან ACOSS-მა უმასპინძლა 26 სტუმარს 12 ქვეყნიდან.

Akos-ის მთავარი პარტნიორი სომხეთის საზღვრებს გარეთ, არის CIJ – ვიზუალური ხელოვნებისა და მედიის ვორქშოფი, რომელიც მდებარეობს ირალანდიაში, გელტახტში.

მეგობრობა, რომელიც ყალიბდება რეზიდენტურაში ყოფნის დროს, ხშირად საფუძველია შემდგომი თანამშრომლობისთვის, რაც, გარკვეულწილად, ქმნის ერთგვარ მსოფლიო ქსელს.

www.tonoyan.com
www.akos.am

მკრტიჩ ტონოიანი

ხელოვანი, კულტურული არასამთავრობო ორგანიზაცია Akos-ის რეზიდენტი

მსოფლიო N°1 – თბილისური რედაქცია

მსოფლიო გამოფენა კოლოფში

HOIO წარმოგიდგენთ გლობალური გემოების ნარევის – „მსოფლიო N°1“

H OIO წარმოგიდგენთ სანელებლების ნარევის გლობალურ მისწრაფებებთან – „მსოფლიო N°1“. პროდუქტი შეიქმნა პორტ-ლუისის (არარსებული კუნძულის, სანტა ლემუზას, დედაქალაქი) ლაბორატორიაში – Musée des épices et Aromates და ერთბაშად გვავრძნობინებს მთელი მსოფლიოს გემოს, რადგანაც „მსოფლიო N°1“ შეიცავს ინგრედიენტებს პლანეტის შვიდივე კონტინენტიდან.

არსებობს სანელებლების ნაზავი, რომელიც მაშინვე ასოცირდება მსოფლიოს რომელიმე კუთხესთან: Raz el Hanut მყის გადაგვიყვანს ჩრდილოეთ აფრიკაში, Baharat – არაბეთის სრუტეში, Sambar-ის ფხვნილი – სამხრეთ ინდოეთში, Five-Spice – ჩინეთში, ხოლო Shichimi Togarashi კი – იაპონიაში. ეს სრულიად განსაცვიფრებელია, თუმცა იქნებ შესაძლებელია, უკეთესი ეფექტიც მივიღოთ? იქნებ მიგვეგნო სანელებლების ნაზავისთვის, რომელიც გვავრძნობინებდა გლობალურ გემოს, მთელი სამყაროს თრთოლვას და ისეთ შეგრძნებას გაგვიჩენდა, რომ ჩვენ წინ მაგიდაზე დანასა და ჩანგალს შორის თვით მსოფლიო ძევს და არა თეფში?

2010 წლის დასაწყისში HOIO შეუდგა თანამშრომლობას კელმა სალასთან, პორტ-ლუისის „სუნელებისა და სურნელის მუზეუმის“ (Musée des Épices et Aromates) ლაბორატორიის ხელმძღვანელთან. მეცნიერმა მრავალი სირთულე გადალახა, რათა გამოეგონებინა სანელებლის რეცეპტი, რომელიც დედამიწის შვიდივე კონტინენტის არომატს შეიცავს. დაძაბული მუშაობის შემდეგ, 2010 წლის მაისში, სალამ წარმოადგინა სანელებელთა თორმეტნაირი ნაზავი. შეირჩა ერთ-ერთი მათგანი,

სპეციალური ტესტებით მოხდა მისი მოდიფიცირება და, საბოლოო ჯამში, მივიღეთ საკაზმი, რომელსაც ეწოდა „მსოფლიო N°1“. იმავე წლის ივნისსა და ივლისში HOIO-მ ახალი სანელებლის სადგეუსტაციოდ სპეციალურად შერჩეული ექსპერტები მიიწვია კინშასასა (კონგო) და შვეიცარიაში, ორი თვის შემდეგ კი – თბილისში. ამ შეფშარეულების კულინარიული ექსპერიმენტები ვიდეოზეც აღიბეჭდა.

კინშასას ფრანგული კულტურის ცენტრისა და Museum of Murten-ის შემდეგ (2010 წლის სექტემბერი), HOIO-მ 2010 წლის ოქტომბერში „მსოფლიო N°1“ საქართველოსაც წარუდგინა. პრეზენტაცია შედგა საქართველოს გოეთეს ინსტიტუტში თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმის (“Transrelation”) ფარგლებში. „მსოფლიო N°1“ HOIO-ის მხრიდან ერთგვარი შემონირულობაა „ქართული რეცეპტის“ შესაქმნელად.

არსებობს „მსოფლიო N°1-ის“ სამი „რედაქცია“: კინშასას – შეიცავს გარკვეული რაოდენობით აფრიკულ სანელებელსაც – სამოთხის მარცვლებს ანუ მელეგეტას (*Aframomum melegueta*); ჰელვეციის – მის შემადგენლობაში არის ტიპიური ევროპული ინგრედიენტი კვლიავი (*Carum carvi*); თბილისის – შეიცავს ცოტაოდენ უცხო სუნელს (*Trigonella caerulea*), რომლის სამშობლო კავკასიაა, თუმცა ხშირად გამოიყენება როგორც საქართველოში, ასევე შვეიცარიაში.

წყვილი – სანელებელი-ტერმინი

2010 წლის 5 ოქტომბერს თბილისის გოეთეს ინსტიტუტში ვორქშოფის ფარგლებში „სპეციალური რეცეპტები საქართველოსათვის“ HOIO-მ დაამზადა „მსოფლიო N°1“. თითოეულ ინგრედიენტი ისინჯებოდა და განიხილებოდა. ჩვენი მიზანი იყო, გაგვერკვია, რამდენად შესაძლებელია სანელებლების არომატისა და გემოს მეშვეობით იმ ტერმინთა დადგენა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქართული თანამედროვე არტსცენის შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით კი, მომავალი ბიენალეს დაგეგმვას თბილისში, საქართველოში ან სულაც კავკასიის მთელ რეგიონში.

დადგინდა სანელებელისა და ტერმინის 17 წყვილი, რომლებიც დალაგდა კონტინენტთა მოცულობის მიხედვით:

აზიდან:

1. შავი მდოგვი (*brassica nigra*) = სიგიჟე, შეშლილობა, სიფიცხე;
2. მიხაკი (*syzygium aromaticum*) = ზეიმი, თავყრილობა;
3. უცხო სუნელი (*trigonella foenum-graecum*) =სიახლეები;
4. წინაკა (*piper nigrum*) =საბაზისო ფასეულობები, სტანდარტები;
5. კურკუმა (*curcuma longa*) = საღი გონება;

აფრიკიდან:

- 6. მავრიტანული წინაკის მარცვლები (*xylopia aethiopica*) = ეგზოტიკა;
- 7. თეთრი ქუნჯუთი (*sesamum indicum*) = გახსნილობა;
- 8. შავი ქუნჯუთი (*sesamum indicum*) = საზრიანობა;

ჩრდილოეთ ამერიკიდან:

- 9. ცერცვი (*vigna visa*) = ბაზისი, რომელიც აერთიანებს ყველაფერს;

სამხრეთ ამერიკიდან:

- 10. წითელი წინაკა (*capsicum annum*) = ძალა;

ანტარქტიდიდან:

- 11. *squama aptenodytes forsteri* = სიგიჟე;

ევროპიდან:

- 12. მუხუდო (*cicer arietinum*) = იუმორი;
- 13. მიხაკი (*coriandrum sativum*) = ესთეტიკა, დიფერენცირებული აღქმის გაგებით;
- 14. ძირა (*cuminum cyminum*) = მუდმივი ცეცხლი, თავჯარიანობა;

ავსტრალიიდან:

- 15. ტასმანიური წინაკა (*drimys lanceolata*) = ის, რაც განგვაცვიფრებს.

„მსოფლიო N°1-ის“ თბილისური „რედაქციის“ გამორჩეული მახასიათებელია უცხო სუნელი. ეს სანელებელი ექსკლუზივია შვეიცარიისა და საქართველოსთვის და მას სხვადასხვაგვარად ამუშავებენ ამ ქვეყნებში. შვეიცარიაში, სადაც უცხო სუნელს Schabziegerklee-ს უწოდებენ, ბალახს აშრობენ და შემდეგ ფქვავენ მწვანე ფხვნილის მიღებამდე, საქართველოში კი, იფქვება მხოლოდ თესლი მისი გარსითურთ და ამგვარად მიიღება მოყავისფრო ფხვნილი.

ვორქშოპის მონაწილეებმა გადანყვიტეს, რომ თუკი „მსოფლიო N°1-ის“ თბილისურ „რედაქციას“ შვეიცარული Schabziegerklee-თი და ქართული უცხო სუნელით შეაზავებდნენ, ამით მას ინტერნაციონალიზაციისა (16) და თანამშრომლობის (17) ელემენტებს შემატებდნენ.

www.hoio.ch

სამუელ ჰერცოგი

Neuer Zürcher Zeitung-ის კულტურის რედაქტორი

ინგრედიენტები ქართული არტსცენის მომავლისთვის

თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი

თბილისი, 5 ოქტომბერი, 2010
საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი, 14:00-16:00

ვორკშოპის რაპორტი

მოდერატორები – ჰელენ ჰირში, ნინო ჭოლოშვილი
პროტოკოლი – მაია ყიფიანი

ვორკშოპის ჩანაწერი:¹

ჰელენ ჰირში, ნინო ჭოლოშვილი: რომელია საქართველოში არსებული ის ინსტიტუციები, რომელთაც ძალუძთ და სურთ, წვლილი შეიტანონ სამომავლო სტრატეგიების ჩამოყალიბების პროცესში არტსცენის განსავითარებლად? გთხოვთ, გავგიზიაროთ იდეები, შემდეგ კი, გაფილტვრის შედეგად, განვიხილოთ ბიენალეს განხორციელების გზები. ბუნებრივია, ყველას ვერ ჩამოვთვლით, მაგრამ ვთხოვთ დამსწრე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დაგვისახელონ საკუთარი ორგანიზაციები.

არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) ჩამონათვალი:
GeoAIR, არტისტერიუმი და CGCCA, კულტურისა და მენეჯმენტის ლაბორატორია, თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისი (CCA-T), თბილისი სტუდიო (Tbilisi Studio), არტვილა გარიყულა, არტელი – რაჭა (Arteli Ratcha), TRAM, ვიზუალური კვლევის ცენტრი (Centre For Visual Researches), AIRL (Arts International Research Lab), არტ კავკასია (Art Caucasus)...

ჰელენ ჰირში, ნინო ჭოლოშვილი: რომელია სხვა ინსტიტუციები, რომლებიც წვლილს შეიტანენ საქართველოში ბიენალეს დაფუძნებაში?

სახელმწიფო დაწესებულებები:
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, საქართველოს ეროვნული

¹ მონაწილეთა მრავალრიცხოვნების გამო, ვორკშოპი წარიმართა როგორც ღია დისკუსია სპეციალისტებსა და აუდიტორიას შორის.

მუზეუმი და მასში შემავალი მუზეუმები, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი და სხვ.

სამართაშორისო ორგანიზაციები:

საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი, ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო, დიუმას ფრანგული კულტურის ცენტრი, ბრიტანეთის საბჭო, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიები – საელჩოები, ფონდები.

გალერეები, ხელოვნების ცენტრები:

ევროპის სახლი, ბაია გალერეა, გალა გალერეა, გალერეა „ჰობი“, გალერეა „9“, გალერეა „უნივერსი“, გალერეა „ვერნისაჟი“, გალერეა „აკადემია+“, თსსა-ის დიდი საგამოფენო დარბაზი, გალერეა „შარდენი“.

ჰელენ ჰირში: რომელი ფაქტორებია მნიშვნელოვანი ბიენალეს პროექტის განსახორციელებლად ორ წელიწადში?²

² პირველად სიმპოზიუმის ორგანიზებისას, შედგა მჭიდრო თანამშრომლობა კულტურისა და მენეჯმენტის ლაბორატორიასა და „არტისტერიუმს“ შორის.

ფაქტორების ჩამონათვალი (შემოთავაზებები აუდიტორიიდან):

- ადგილმდებარეობა;
- დაფინანსება, სპონსორები;
- აუდიტორია;
- ლოკალური და გლობალური ქსელი;
- შემოქმედებითი გუნდი;
- განათლება;
- ორგანიზაცია;
- ტექნიკური უზრუნველყოფა;
- პოლიტიკური მხარდაჭერა;
- მოხალისეები;
- მედია კომუნიკაციის საშუალებები;
- ხელოვნები, მონაწილეები;
- კლასტერები;
- გამომცემლები;
- კვლევა;
- იდენტობა.

ბიენალეს პოლიტიკა უნდა მოიცავდეს სახელოვნებო და საორგანიზაციო პოლიტიკას. უნდა არსებობდეს ლოკალური და გლობალური ბორდი.

ღისკუსია თემაზე: რა შეიძლება მოხდეს, თუკი...

მარიკაე ვან ჰალი: მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას ბიენალეს იდენტობა, განისაზღვროს მისი არსებობის საფუძველი. ბიენალეს

შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული დატვირთვა განსხვავებულ ადგილებში. ჩვენ შემთხვევაში მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რა მოდელი და მისია მიესადაგება ყველაზე უკეთ თბილისს. მაგალითად, რივაქის ბიენალე პალესტინაში არის ღონისძიება, რომელიც დაკავშირებულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან West Bank-ში. ეს არის მცირემასშტაბიანი, მაგრამ დიდი მნიშვნელობის მქონე ბიენალე, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ადგილთან და პოლიტიკურ სიტუაციასთან.

კლაუდიო იოლმსი: საქართველო თავისი კულტურული მრავალფეროვნებით სრულიად განსხვავდება პალესტინისგან. ყველაზე შთამბეჭდავია ინტეგრაციის ძალა. თუკი მანიფესტას მიგრაციული მოდელი შესაფერისია ევროპისთვის, აქ მე ეთნიკური ტოლერანტობის, მულტიკულტურულობისა და ინტეგრაციის უნიკალური სული შევიგრძენი. ყოველივე ეს კარგად აისახება მედიანზე სამი ეკლესიით, სინაგოგით, ქრისტიანული ტაძრითა და მეჩეთით, ესაა აბრეშუმის გზა – აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინი. ნამდვილად უნიკალური სიტუაციაა, განსაკუთრებით, თუ თვალს გადავავლებთ ქვეყნებს საქართველოს ირგვლივ, სადაც რელიგიური და იდეოლოგიური ფუნდამენტალიზმი გაცილებით მძლავრია. შესაბამისად, ჩემი აზრით, თბილისის ბიენალემ უნდა ასახოს ამგვარი ინტეგრაციის ძალა. ინტეგრაციული ბიენალე გულისხმობს კავკასიური რეგიონის ქვეყნების ჩართვას, რომლებიც, მაგალითად, სომხეთის მსგავსად, სავარაუდოდ, ნაკლებად არიან ჩაბმული საერთაშორისო გაცვლით პროცესებში.

მაგდა გურული: გთხოვთ, ამოსავალი იყოს ღონე, რომელზეც ვიმყოფებით და ნუ დავინწყებთ დინოზავრების ძებნას. დღეს, „არტისტერიუმზე“ წარმოდგენილი იყვნენ სხვადასხვა ხელოვანები, მათ შორის, კონფლიქტში მყოფი ქვეყნების წარმომადგენლებიც. ჩემთვის ინტეგრირება ნიშნავს შეხვედრას, რაც საერთაშორისო ივენთებზე ისედაც ხდება. მოდით, ვიფიქროთ უფრო სიღრმისეულ საკითხებზე.

ბარბარა ვანდერლინდენი: ინტეგრირება ნიშნავს, რომ უნდა შევქმნათ ევროკავშირის მსგავსი არტისტრუქტურა მთელი კავკასიის რეგიონისთვის, რომლის მთავარი ინსტიტუცია დაფუძნებული იქნება თბილისში და მასში შევა ყველა კავკასიური ქვეყნის წარმომადგენელი. ეროვნული ბიენალეს მოწყობის აზრს ვერ ვხედავ, მსოფლიოში ისედაც ბევრი ამ ტიპის ბიენალე არსებობს. რეგიონალური ინტეგრირებული ბიენალე ნამდვილად გაამართლებს, კვლევების, კარგი ბაზისის შექმნის შესაძლებლობაც გაჩნდება.

მარიამკეპან ჰალი: იქნებ მოვუსმინოთ აქ დამსწრე მეზობელი ქვეყნების, აზერბაიჯანისა და სომხეთის, წარმომადგენელთა აზრს ინტეგრაციის შესახებ.

ბარბარა ვანდერლინდენი: არაა საჭირო ვიყოთ პოლიტიზირებული, ჩვენ შეგვიძლია, ავიღოთ მხოლოდ პოლიტიკური სტრუქტურა. მაგალითად მომყავს ლიონის ბიენალე, რომელსაც გავლენა აქვს მთელს საფრანგეთზე. სწორედ ასე, თბილისის ბიენალეს გავლენა უნდა ჰქონდეს მთელ რეგიონზე. შესაძლოა, ყოველი შემდეგი ბიენლე გაიმართოს რეგიონის სხვადასხვა ქალაქში, რაც ხელს შეუწყობს აუდიტორიის, დაფინანსებისა და დახმარების არეების გაფართოებას.

იულე რიტიერი: ინტეგრაციასთან დაკავშირებით მინდა ვთქვა, რომ ომის შედეგად აქ ბევრი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემა გაჩნდა, რომლებიც რატომღაც განხილვის საგანი არაა.

ლილია მემიუსი: ვფიქრობ, უნდა განვიხილოთ ბიენალეს უფრო რადიკალური მოდელის საკითხი, რომლიც არ იქნება ფოკუსირებული თბილისისთვის მხოლოდ კულტურულ ტურიზმზე, არამედ უფრო სიღრმისეულად გაგვარკვევს თანამედროვე კავკასიის ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრობლემებში. ბიენალეს „თემები“ უნდა იყოს ადგილისათვის აქტუალური, დროული, ასევე პოტენციურად გენერირებადი და გავლენიანი. მათ საშუალება უნდა მისცენ საერთაშორისო მონაწილეებს, რომ აღიარონ უნიკალური ადგილობრივი რესურსები, პატივი სცენ მათ ან გამოეხმაურონ მრავალ სპეციფიკურ რეგიონალურ პრობლემას და ამოცანას. კურატორულმა ტაქტიკამ შეიძლება თავი მოუყაროს ადგილობრივ და საერთაშორისო (ან სულაც სხვადასხვა თაობის) მონაწილეთა მულტიდისციპლინარულ „გუნდებს“ თანამშრომლობისთვის, რათა მათ შექმნან პროტოტიპები და ინტერვენციები ინტენსიური ვორქშოპების გზით. ამგვარი სამუშაო შეიძლება შესრულდეს ივენთამდე ან მის დროსაც. ინდივიდუალური პროექტების გვერდით გაჩნდება ერთობლივი წინადადებებიც. ისინი შესრულებული იქნება მონვეული ხელოვანების, ტექნიკური პერსონალის, მუსიკოსების, მოცეკვავეების, პოეტების, რეჟისორების, სტუდენტებისა და სხვათა მიერ, რომლებიც, თავის მხრივ, დაკავშირებულნი არიან ზემოხსენებულ თემასთან. ბიენალეს ამგვარი მოდელი ხელს უშლის ისეთი დაპირისპირების გაღრმავებას, როგორცაა „არტი დიზაინის წინააღმდეგ“, „ხელოვნება ხელოსნობის წინააღმდეგ“, „ვიზუალური ხელოვნება პერფორმანსის წინააღმდეგ“, „ხელოვანები მეცნიერთა წინააღმდეგ“, „პროფესიონალები სტუდენტების წინააღმდეგ“ და მიზანმიმართულად გვაშორებს მიდგომას: „მხოლოდ თანამედროვე ხელოვნება“. მისი მიზანი იქნება, წარმოაჩინოს რეგიონის სირთულე, მიიზიდოს მრავალრიცხოვანი აუდიტორია და თავი მოუყაროს სხვადასხვა პრაქტიკოს-შემოქმედს, რათა მათ ახლებურად წარმოადგინონ ადგილობრივი სიტუაცია.

კლაუდია იოლმსი: ჩემი ჟურნალი არასამთავრობოა და სამეწიფოა. 40 წელია რაც ვარსებობთ მრავალენოვან შვეიცარიაში, თანაც საჯარო სუბსიდირების გარეშე. წლების განმავლობაში მრავალი კომერციული კრიზისის წინაშე ვიდევით, გადავრჩით მხოლოდ იმით, რომ მუდმივად

კავშირში ვიყავით სხვა ინსტიტუციებთან, გამომცემლობებთან და სახელოვნებო ჯგუფებთან. ვფიქრობ, თანამშრომლობა საქმეს ართულებს, რადგანაც არის ფედერალიზაციის ფორმა, დაფუძნებული ურთიერთშეთანხმებებზე. შენ იღებ რაიმეს, თუმცა ეს ნიშნავს, რომ ხშირად ნაბიჯი უკანაც უნდა გადადგა და სხვებსაც მისცე მოქმედების თავისუფლება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია კარგად გაერკვე, ვისთან გსურს თანამშრომლობა. თუ კოლეგების გუნდი არაა მოტივირებული და ვერ ავითარებს საერთო ძალას, სტრუქტურა მძიმე და არაეფექტური ხდება. თუმცა, თუკი კონცეფცია თავიდანვე ჩამოყალიბებულია საერთო პროცესში, საბოლოო ჯამში, გაცილებით უფრო ძლიერნი იქნებით, ვიდრე ის, ვინც ინდივიდუალურად მოქმედებს.

დენიზჰან ოზერი: თუ ბიენალეს გამართავთ, როგორ მოინვესტო რუს ხელოვანებს ღონისძიებაზე, რომელიც ამდენად ფართოდ გაშუქდება?

მამდა გურული: 2008 წელს, ომის შემდგომ გამართულ „არტისტრიუმზე“ მონაწილეობა მიიღო ბერლინში მცხოვრებმა ხელოვანმა რუსული პასპორტით. ქვეყანაში მისი შემოყვანისთვის დიდი პრობლემების გადალახვა გახდა საჭირო, თუმცაღა მაინც შევძელით. შემდეგ „არტისტრიუმში“ მონაწილეობა მიიღო ორმა რუსმა ხელოვანმა, შარშან ჩეჩნეთის ბიენალეშიც მონაწილეობდნენ რუსი არტისტები. ვიმედოვნებთ, რომ აზერბაიჯანელი და სომეხი ხელოვანები ჩამოვლენ თბილისში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა ისინი ამაზე არ თანხმდებიან ევროპაში, როგორც ეს მოხდა ვენეციის ბიენალეს კავკასიური პავილიონის შემთხვევაში. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბიენალე მაინც უფრო პოლიტიკური ხასიათის ივენთია, ვიდრე უბრალოდ საერთაშორისო გამოფენა.

მარიკა ვან ჰალი: ყველაზე მნიშვნელოვანია რეგიონალური თანამშრომლობა. აქ შეიძლება ჩამოყალიბდეს კოლაბორაციული ქსელი. როგორც ათენის ბიენალეს ყოფილი დირექტორი, მე გახლდით ევროპის ბიენალეთა ქსელის შექმნის ინიციატორი, რომლის მიზანიც იყო კონტაქტის დამყარება და სწავლა ევროპელი კოლეგებისგან. ამჟამად, ბიენალეს ფონდის ამოცანაა, გააბას კავშირები და შექმნს პალტფორმა მსოფლიოს ბიენალეს ორგანიზაციებისთვის ცოდნისა და კომპეტენციის გასაცვლელად.

ბარბარა პანდერლინდანი: უპირველეს ყოვლისა, უმნიშვნელოვანესია ვიცოდეთ, რაში მდგომარეობს ბიენალეს მისია. ბიენალეს ყოფნა-არყოფნის საკითხი არაა ამდენად მნიშვნელოვანი. შევხედოთ პრობლემას გლობალურად. თუკი ტარდება ბიენალე და საჭიროა რუსი ხელოვანის მოწვევა, მე ვიცი, რომ ეს ჩემი პასუხისმგებლობაა და ეს უნდა გავაკეთო. მთავარია, გავხდე ინტელექტუალური ქსელის წევრი, რაც ნიშნავს, რომ ვარ აქტიური და მსურს თანამშრომლობა. ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც ჩვენს სიტუაციაში, მე ვხდები ნაწილი გაერთიანებისა, რომლის შედეგადაც ხელოვანი ხდება უფრო ცნობილი გლობალურად.

ჰელმუტ ჰილფი: სიმპოზიუმმა და ვორჟშოფმა ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციალისტების მონაწილეობით ნამდვილად შეიტანა წვლილი საქართველოში ბიენალეს მონახაზის, მოდელებისა და სტრატეგიების გამოკვეთაში. შემდეგი ამოცანა იქნება თანამშრომლობის ინიცირება ინსტიტუციებს შორის და ბიენალეს რუკის გაფართოება, რომელსაც დავეყრდნობით და რომელიც მოახდენს ქართული სახელოვნებო არტსცენის კონტექსტუალიზაციას. დასკვნის სახით კი შეგვიძლია ვთქვათ: თუკი არსებობს სურვილი, გზაც მოიძებნება.

ბიოგრაფიები

მია ბულაძე – მხატვარი, არტკრიტიკოსი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი, პროფესორი, არაერთი სატელევიზიო გადაცემის ავტორი და წამყვანი, მრავალი საერთაშორისო და რეგიონალური გამოფენისა და პროექტის ინიციატორი და მონაწილე. არის მრავალი ჭილდოს მფლობელი, როგორებიცაა: საფრანგეთის პრეზიდენტის პრიზი საუკეთესო ეროვნული კოლექციისთვის კანის საერთაშორისო ფესტივალზე; ანტონ კათალიკოსის მედალი; თსუ-ის ივ. ჯავახიშვილის მედალი; ვატიკანის მედალი „კარლოს მაგნუსი“. მოხატული აქვს არაერთი ტაძარი და საერო ნაგებობა: მარტინ ლუთერის ეკლესია ბერლინში; წმ. ნინოს ეკლესია პარიზში; თსუ-ის ბიბლიოთეკის გუმბათი და საკონფერენციო დარბაზები სტუ-სა და თსუ-ში; საქართველოს პარლამენტის „მეფეთა დარბაზი“; აშშ-ის ლუიზიანას უნივერსიტეტის „თავისუფალი სიტყვის დარბაზი“ და სხვ.

მამდა გურული – თანამედროვე ხელოვნების კურატორი. ცხოვრობს და მოღვაწეობს თბილისში. 2008 წლიდან მოყოლებული არის „არტისტერიუმის“ კურატორი. 2006 წლის შემდეგ კურატორობდა მრავალ გამოფენას საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ (მოსკოვი – 2006, სტამბული – 2007, ნანტი – 2008). მიღებული აქვს მონაწილეობა არაერთ კონფერენციაში, ვორქშოფსა და სიმპოზიუმში თურქეთში, სამხრეთ კორეაში, პოლონეთში, მექსიკაში, შვედეთსა და გერმანიაში. არის ავტორი იტალიურ და ესპანურ რადიოებთან ერთად განხორციელებული სახელოვნებო რადიოპროგრამისა, ასევე – 2 დოკუმენტური ფილმის სცენარის ავტორი.

იმე ღმნონი – ისრაელის დიგიტალური ხელოვნების ცენტრის – Holon – დირექტორი და მთავარი კურატორი. არის მრავალი გამოფენისა და პროექტის კურატორი და თანაკურატორი, მათ შორისაა: სერია ‘Hilchot Shechnim’; პროექტები – Liminal Spaces (ლიმინალური სივრცეები), Free Radicals (თავისუფალი რადიკალები), Weizman Rally, Jesse Cohen და სხვა (www.digitalartlab.org.il). როგორც AYAM-ის დირექტორი და თანადამფუძნებელი, ახორციელებს ჯაფაში პროექტს „ქალაქის ავტობიოგრაფია“ (www.jaffaproject.org.il). არის ხელოვნების, კულტურისა და მედიის ონლაინ ჟურნალის – ‘Maarav’ – რედაქტორი (www.maarav.org.il). ასწავლის მიდრამასა და კალიშერის ხელოვნების სკოლებში.

დილარა შაბაძე – კურატორი, არტკრიტიკოსი, აგერბაიჯანი. მისი სადოქტორო დისერტაცია ეძღვნებოდა 1970-80-იანი წლების აგერბაიჯანის ფერწერის უმთავრეს პრობლემებს (1993). დღესდღეობით ასწავლის აგერბაიჯანის არქიტექტურისა და კონსტრუქციის უნივერსიტეტში. არის ავტორი 60-ზე მეტი პუბლიკაციისა აგერბაიჯანული ხელოვნების შესახებ. მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო კვლევით პროგრამასა და პროექტში: „მითი და რეალობა“, მოსკოვი, 2000; კვლევითი პროექტი „პოსტმოდერნიზმი პოსტსაბჭოთა სივრცეში“; საერთაშორისო სემინარი „მონიშნე ცვლილება“ (პაკისტანი 2004); კავკასიის ბიენალეს დეკლარაცია. იყო აგერბაიჯანის გამოფენის კურატორი (თბილისი, 2006) და კონცეპტუალური ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეს – „ალუმინიუმი“ – თანაკურატორი (ბაქო, 2009).

ბარბარა შანდერლინდენი – დამოუკიდებელი კურატორი და არტკრიტიკოსი, Alice Society-ის დამფუძნებელი და დირექტორი, ბელგია. თხუთმეტ წელიწადზე მეტია ეწევა საერთაშორისო მოღვაწეობას, არის ფილოსოფიის მაგისტრი და მუშაობს ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში. მისი უახლესი პროექტების მიზანია ბრიუსელში თანამედროვე ხელოვნების ახალი ბიენალეს დაგეგმვა და The Alice Society -ის დაფუძნება და გაძლიერება. არის საგამოფენო და სამუზეუმო კვლევების მიმართულების მონაწილე პროფესორი სან ფრანცისკოს ხელოვნების ინსტიტუტსა და გვანჯუს ბიენალეს ფონდში კორეაში. იყო თანამედროვე ხელოვნების Roomade center-ის დირექტორი ბრიუსელში. იყო რა დაინტერესებული ახალი საკურატორო მოდელების შექმნით, კურატორობდა 30-ზე მეტ გამოფენას, მათ შორისაა გამოფენები: კულტურის ცენტრში – Centro Cultural de Belemინ ლისაბონში; თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ანტვერპენში; სახვითი ხელოვნების მუზეუმში ანტვერპენში; სახვითი ხელოვნების მუზეუმში ბრიუსელში; სახვითი ხელოვნების მუზეუმში ტაიპეში; თანამედროვე ხელოვნების ცენტრში – PS1 ნიუ-იორკში. იგი არის მწერალი და გამომცემელი, მრავალი პრიზის მფლობელი, გამომცემელი აქვს 15-ზე მეტი წიგნი, იბეჭდება ისეთ არტგამომცემებში, როგორებიცაა: De WitteRaaf, DA Magazine, MetropolisM, Art Forum და Flash Art. იყო მთავარი რედაქტორი გამოფენების თეორიის შესახებ წერილების კონსტრუქციული ანთოლოგიისა „მანიფესტას დეკადა“ (MitPress: 2006). 2008-2009 წლებში იყო ბრიუსელის ბიენალე 1-ის მხატვრული დირექტორი; ტაიპეის ბიენალეს კურატორი ტაივანში (2004); მანიფესტა 2 -ის თანაკურატორი; თანამედროვე ხელოვნების ევროპული ბიენალეს თანაკურატორი ლუქსემბურგში.

კლაუდია იოლმანი – თანამედროვე ხელოვნების ყველაზე კითხვადი სახელოვნებო ჟურნალის – Kunsbulletin – მთავარი რედაქტორი, შვეიცარია. 1989 წლიდან მუშაობს როგორც კურატორი და დამოუკიდებელი არტკრიტიკოსი სხვადასხვა მედიისთვის. 1985 წელს

თანამშრომლობდა ილია კაბაკოვის მოხეტიალე შოუში „ზღვარზე“ ბერნის Kunsthalle-ში (მარსელის Musee Cantini-ში, დიუსელდორფის Kunstverein Rheinland und Westfalen-ში, პარიზის Centre Des Art Plastiques-ში).

ანა ლუიზა კრატსში – ლაიფციგის საერთაშორისო არტპროგრამის დამაარსებელი და დირექტორი, გერმანია. დაამთავრა ლაიფციგის უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და კულტურული კვლევების დეპარტამენტი. 1997-98 წლებში ცხოვრობდა აშშ-ში (ცინცინატი), 2000-2001 წლებში კი – ესპანეთში (მადრიდი), სადაც მიიღო განათლება ვიზუალურ ხელოვნებასა და მუსიკაში. 2002 წელს გახდა ფედერალური პროგრამის სტიპენდიანტი. 2004 წელს იყო პირველი ჯგუფური გამოფენის კურატორი გალერეაში Eigen & Art და 7 თვე გაატარა ნიუ-იორკში, სადაც გაიარა ინტერნატურა ISCP-სა და ბრუკლინის ხელოვნების მუზეუმში. ლაიფციგში მუშაობდა კულტურული პოლიტიკის პლატფორმაზე (Kulturpolitischer Salon) და ფონდში Foundation Federkiel Spinnerei-ში, ხელოვანთა ახალ უბანში. 2006 წელს დაამთავრა ლონდონის კურტოს ხელოვნების ინსტიტუტი სამაგისტრო ნაშრომით თემაზე: „პოსტკომუნისტური კვლევები თანამედროვე ხელოვნებაში“. 2006-2007 წლებში სწავლობდა მანდარინს და მუშაობდა პეკინის გოეთეს ინსტიტუტში. LIA – ლაიფციგის საერთაშორისო არტ რეზიდენტურის პროგრამის ფარგლებში უმასპინძლა 40-ზე მეტ მხატვარს 17 ქვეყნიდან. მისი კურატორობით გაიმართა გამოფენები ლაიფციგში, ბერლინში (პროექტები Caps Lock, LIA-ის დროებითი პროექტების სივრცე, 2010) და ნიუ-იორკში (Leipzig Calling, გამოფენა ნიუ-იორკის აკადემიაში, 2009).

მპრტიჩ ტონოიანი – ხელოვანი, სომხეთი. კულტურის არასამთავრობო ორგანიზაციის – ACOSS (სოციალური კვლევების სახელოვნებო ცენტრი) – პრეზიდენტი, თანადამფუძნებელი არასამთავრობო ორგანიზაციისა ACSL (სახელოვნებო და კულტურული კვლევების ლაბორატორია) და ხელოვანთა რეზიდენტურის პროგრამისა 'Art Commune' ერევანში. არის მრავალი სტატიისა და თანამედროვე სომხური თუ მსოფლიო ხელოვნების პრობლემებისადმი მიძღვნილი სატელევიზიო გამოშვებების ავტორი.

ნინი ფალაპანდიშვილი – ხელოვნებათმცოდნე და GeoAIR-ის კურატორი. დაამთავრა საზოგადოებრივი და ინდუსტრიული კომუნიკაციების ფაკულტეტი ბერლინში (UdK Berlin). ბერლინში გატარებულმა პერიოდმა გავლენა იქონია მის პიროვნულ და პროფესიულ ჩამოყალიბებაზე. აქ გაუჩნდა ინტერესი ხელოვნებაში ასახული კოლექტიური მეხსიერებისა და ისტორიოგრაფიის მიმართ. თავის პროექტებში კონცენტრირებულია ხელოვნებზე პოსტკომუნისტური სივრციდან, იმ თაობაზე, რომელიც 80-იან წლებში კომუნისტური სისტემის დაჩქარებული რღვევის მომსწრე გახდა, ხოლო არტისტული აქტივობა დაიწყო არსებული სისტემის დემონტაჟის

შემდეგ. იგი ფოკუსირებულია ქალაქის თემატიკაზე – საჭარო და კერძო დანიშნულების არქიტექტურასა და ნაგებობებზე რომელთა ფორმადქმნა განხორციელდა სხვადასხვა რეჟიმების დროს.

პატო წერეთელი – ფოტოხელოვანი, მხატვარი და კურატორი, საქართველო. არის თანამედროვე ხელოვნების ცენტრი – თბილისის დირექტორი. მისი ინიციატივით შეიქმნა: კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრი (მაფი – მედია არტ ფერმა / ფოტოგრაფიისა და ახალი მედიების ინსტიტუტი); ჯგუფი „ცუმბო“; საერთაშორისო არტპროექტი – „აპენდიქსი“. იგი არის მრავალი გამოფენისა და პროექტის კურატორი.

მასკო ჭოლოშვილი – საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე, ფილოლოგიის მაგისტრი. 2007-2008 წლებში მუშაობდა თბილისის მერიამში სოციალური მომსახურების და საქალაქო სამსახურის კულტურისა და განათლების განყოფილების უფროსად. არის არაერთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მიღებული აქვს არაერთი სერტიფიკატი განათლების, ჟურნალისტიკისა და მენეჯმენტის სფეროში. იყო რამდენიმე ჟურნალის მთავარი რედაქტორი.

ნიინო ჭოლოშვილი – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, კურატორი, კულტურისა და მენეჯმენტის ლაბორატორიის დამაარსებელი, საქართველო. არის თსსა-ის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, თსუ-ის მონვეული პროფესორი, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი. განხორციელებული აქვს არაერთი პროექტი, მათ შორის: „1989-2009: ცვალებადი სამყარო – დროის ანარეკლი“ (გოეთეს ინსტიტუტის პროექტი, თანაკურატორი); „Transfusion – თანამედროვე ხელოვნება სამხრეთ კავკასიიდან“, Kunsthaus Palazzo Liestal/ Basselland, შვეიცარია (თანაკურატორი); „ქართული მოდერნიზმი 1910-1930“ (პროექტის თანაკურატორი და კურატორი); „ძიება საზღვრების გარეშე – თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმი“ (კურატორი) და სხვ. იყო საქართველოს პავილიონის კურატორი ვენეციის 52-ე ხელოვნების ბიენალეზე.

ხათუნა ხაბულიანი – არტკრიტიკოსი, თანამედროვე ხელოვნების კურატორი, საქართველო. კითხულობს ლექციებს პოსტმოდერნისტული ხელოვნების შესახებ თსსა-სა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი კრიტიკული წერილები, მიმოხილვები და სტატიები იბეჭდება ადგილობრივ და საერთაშორისო გამოცემებში. 2001-2005 წლებში მუშაობდა კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრის (მაფ – მედია არტ ფარმი) საორგანიზაციო გუნდში. 2004 წელს იყო „არტურის“ (გაზეთ „24 საათის“ კვარტლური დანართი) რედაქტორი, ასევე – რედაქტორი ჟურნალისა „მთაბეჭდილება“ (2008). იგი არის 2 ვიდუო პროექტის ავტორი „ეკო საუბრები“ (თბილისი გოეთეს ინსტიტუტი, 2006) და

„ჰედონისტური დრაივი“ (საქართველოს ქალთა ფონდი და კავშირი – ახალი ხელოვნება, 2009). იგი არის მრავალი გამოფენის კურატორი და თანაკურატორი. 2009 წელს კურატორობდა ქართულ პავილიონს ვენეციის თანამედროვე ხელოვნების 53-ე საერთაშორისო ბიენალეზე. იგი არის არტკრიტიკოსების საერთაშორისო ასოციაციის AICA – სომხეთის სექციის წევრი.

მარიმკე ვან ჰალი – ხელოვნებათმცოდნე, Biennial Foundation-ის დამფუძნებელი დირექტორი, ჰოლანდია. 2001-2006 წლებში მანიფესტას გენერალური კოორდინატორის რანგში მუშაობდა თანამედროვე ხელოვნების ევროპის ბიენალეს სამ ვერსიაზე, რომლებსაც შემდგომში ევროპის სხვადასხვა დედაქალაქებმა უმასპინძლა. 2007 წელს იყო ათენის პირველი ბიენალეს დირექტორი, სადაც წარმოადგინა ევროპის ბიენალეთა ქსელის შექმნის ინიციატივა. უკანასკნელ პერიოდში იყო ბერგენის ბიენალეს კონფერენციის ორგანიზატორი ბერგენის ხელოვნების ცენტრში (სექტემბერი, 2009) და თანამედროვე ხელოვნების მასშტაბური გრძელვადიანი გამოფენების პირველ ანთოლოგიის – The Biennial Reader – თანარედაქტორი (Hatje Cantz, 2010). მარიეკე ვან ჰალი უძღვება თანამედროვე ხელოვნების კურატორულ პრაქტიკას ლონდონის Royal College of Art-ში.

სამშუელ ჰერსტომი – ჟურნალისტი, Neuer Zürcher Zeitung-ის კულტურის განყოფილების რედაქტორი, შვეიცარია. ცხოვრობს და მოვანეობს ციურხში. სწავლობდა ხელოვნების ისტორიას ბაზელსა და ბერნში. 1989-1994 წლებში ხელმძღვანელობდა საგამოფენო სივრცეს 'Fafa's Kabinett' ბაზელსა და ბიენში. 1995 წლიდან მოღვაწეობს როგორც დამოუკიდებელი ჟურნალისტი. 2000 წელს ბაზელის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში უძღვებოდა პროექტს „Total Global – მიმართება არადასავლურ ხელოვნებასთან“. 2001 წლიდან ხელმძღვანელობს კომპანიას HOIO, რომელიც ახორციელებს სპეციალური საკვების იმპორტს არარსებული კუნძულიდან სანტა ლემუზა (www.hoio.ch). 2002 წლიდან მოყოლებული, არის Neue Zürcher Zeitung-ის ვიზუალური ხელოვნების მთავარი რედაქტორი (www.nzz.ch).

ჰელმენ ჰირში – თუნის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი, შვეიცარია. 2005-2007 წლებში იყო Kunsthau Palazzo Liestal-ის კურატორი. 2000 წლამდე მუშაობდა მკვლევრად ბაზელის Kunsthalle-ში. მას, როგორც დამოუკიდებელ კურატორს, განხორციელებული აქვს თანამედროვე ხელოვნების არაერთი პროექტი: Treffpunkt Parkhaus; Lokalzeit/ Localtime; V.I.P. – Very Important Pictures; ძიება საზღვრების გარეშე, თბილისი და სხვა. 2000-2002 წლებში დამთავრა დოქტორანტურა კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით ბაზელის უნივერსიტეტში.

პროგრამა

04.10.2010

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
მისამართი: სანაპიროს ქ. #4

TRANSRELATION – თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო სიმპოზიუმის გახსნა

მისალმებები:

მაკო ჭოლოშვილი – საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე

ვერნერ ვიოლი – საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი

გია ბულაძე – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი

ნინო ჭოლოშვილი – სიმპოზიუმის კურატორი

I სესია: ადგილის მარკირება - საქართველოს თანამედროვე არტსივრცე

მაკო ჭოლოშვილი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე

მაგდა გურული - 'არტისტერიუმის' კურატორი

ხათუნა ხაბულიანი - არტკრიტიკოსი

ვატო წერეთელი - თბილისის თანამედროვე ხელოვნების ცენტრის დირექტორი

ნინო ფალავანდიშვილი - GeoAIR-ის კურატორი

II სესია: არის თუ არა ბიენალე არტსცენის განვითარების მაგიური იარაღი

მარიეკე ვან ჰალი - Biennial Foundation-ის დამფუძნებელი დირექტორი, ჰოლანდია

ბარბარა ვანდერლინდენი - კურატორი და არტკრიტიკოსი, Alice Society-ის დამფუძნებელი და დირექტორი, ბელგია

კლაუდია იოლესი, Kunsbulletin-ის მთავარი რედაქტორი, შვეიცარია

შემაჯამებელი დისკუსია

05. 10. 2010

საქართველოს გოეთეს ინსტიტუტი

მისამართი: ზანდუკელის ქ. #16

I სესია: პერსპექტივები - ალტერნატივები და შედეგები

იელ დენონი - ისრაელის დიგიტალური ხელოვნების ცენტრის დირექტორი და მთავარი კურატორი, ისრაელი

დილარა ვაგაბოვა - კურატორი, არტკრიტიკოსი, აზერბაიჯანი

ანა ლუიზე კრატცში - ლაიფციგის საერთაშორისო

არტპროგრამის დამაარსებელი და დირექტორი, გერმანია

მკრტიჩ ტონოიანი - ხელოვანი, არასამთავრობო ორგანიზაცია ACOSS-ის

პრეზიდენტი, ხელოვანთა რეზიდენტურის პროგრამის ACROSS-is დირექტორი,
სომხეთი

ვორქშოფი: სპეციალური რეცეპტები საქართველოსთვის

ჯგუფი 1, თემა: World No.1 - Edition თბილისი
მოდერატორი სამუელ ჰერცოგი - Neue Zürcher Zeitung-ის კულტურის
რედაქტორი, შვეიცარია

ჯგუფი 2, თემა: ინგრედიენტები ქართული არტსცენის მომავლისთვის
მოდერატორები: ჰელენ ჰირში - თუნის ხელოვნების მუზეუმის დირექტორი,
შვეიცარია; ნინო ჭოლოშვილი - ხელოვნებათმცოდნე, კურატორი, კულტურისა
და მენეჯმენტის ლაბორატორიის დამაარსებელი

ჯგუფი 3, თემა: ინიციატივა პოსტსაბჭოთა სივრცეში
მოდერატორი ვატო წერეთელი - CCA – T-ის დირექტორი

შემაჯამებელი დისკუსია

